

# ქართული 10

## ენა და ლიტერატურა

## მასწავლებლის წიგნი

### ნაწილი I

მაია მენაბდე
ნათია ფურცელაძე
ნინო ლომიძე
ნანა სახეჩიძე

სულაკაურის
გამომცემლობა

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2022 წელს.

ქართული ენა და ლიტერატურა 10
მასწავლებლის წიგნი (ნაწილი 1)

ავტორები: **მაია მენაბდე, ნათია ფურცელაძე, ნინო ლომიძე, ნანა სახეჩიძე**

კონსულტანტი **ნათია ნაფეტვარიძე**
რედაქტორი **მარიამ გოჩიტაშვილი**
დიზაინერი **ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერი **ვიკა კვარაცხელია**
ყდაზე გამოყენებულია **მამია მალაზონიას** ილუსტრაცია **„ვეფხისტყაოსნიდან“**

პირველი გამოცემა, 2022
© სულაკაურის გამომცემლობა, 2022
ყველა უფლება დაცულია.

შპს „სულაკაურის გამომცემლობა“
აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 2910954, 2911165
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-37-058-8

Georgian 10
Teacher's Book (Part 1)

© Sulakauri Publishing, 2022
All rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

# სარჩევი


მე-10 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს ზოგადი კონცეფცია ........ 5

საშუალო საფეხურის სტანდარტი ........ 11

თემატური მატრიცები სახელმძღვანელოსთვის ........ 21

I თავი – პრინციპების ერთგულება ........ 23

II თავი – უდაბნოთა ქალაქმყოფელი ........ 31

III თავი – სიბრძნის წიგნი „ვეფხისტყაოსანი“ ........ 36

კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა ........ 44

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, სოლოტაქსონომია ........ 47

პროექტი ჰაგიოგრაფიის უკეთ შესასწავლად ........ 52

მეთოდური სტატიები ........ 54

ზადიანი არგუმენტების შესახებ ........ 54

არგუმენტი – რაობა და სახეები ........ 56

დემაგოგია ........ 58

ძველი ქართულის სწავლებისთვის ........ 60

დავალებების პასუხები გრამატიკისთვის ........ 65

# მე-10 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს ზოგადი კონცეფცია

## ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო

ჩვენი სახელმძღვანელოს ლიტერატურის ნაწილი აგებულია და ტექსტები გადანაწილებულია ქრონოლოგიურ-თემატური პრინციპით (როგორც სტანდარტშია მითითებული).

ქრონოლოგიურად დალაგებული ტექსტები დავყავით თემატურ თავებადაც, რაც გაუადვილებს მოსწავლეებს ნაწარმოებში ასახულ უმთავრეს პრობლემაზე ყურადღების კონცენტრაციას. ასევე ზოგიერთ თავში შევიტანეთ თემის შესაბამისი ნაწარმოებები, ქართული ან მსოფლიო ლიტერატურიდან, რათა მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურისა და კულტურის ორგანული ნაწილია.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ლიტერატურის განვითარების ქრონოლოგიურ აღქმას ხელს შეუწყობს თეორიული მასალა, რომელიც მოიცავს როგორც ეპოქის მიმოხილვას (კონტექსტის სრულყოფილად გააზრებისთვის), ასევე ლიტერატორთა საინტერესო მოსაზრებები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს სტანდარტით გათვალისწინებული ლიტერატურული ცნებებისა და ქვეცნებების სწორად გააზრებაში.

მუშაობისას ჩვენი პრინციპი იყო, სახელმძღვანელო იმდენად შეკრული, გასაგებად სტრუქტურირებული ყოფილიყო, რომ მოსწავლეს არ გაუჭირდეს ნავიგაცია, აქტივობებსა თუ დავალებებს მასწავლებლის გარეშე, დამოუკიდებლადაც, გაართვას თავი (მნიშვნელოვანია, რომ კომპლექსური დავალება მოსწავლემ დამოუკიდებლად შეასრულოს). ეს მიდგომა განაპირობა იმან, რომ მივიჩნევთ, თანამედროვე განათლება მუდმივად და დამოუკიდებლად მსწავლელი პიროვნების აღზრდას უნდა ემსახურებოდეს.

მეორე მხრივ, სახელმძღვანელო მასწავლებლისთვისაც უნდა იყოს კომფორტული და მაქსიმალურად უადვილებდეს ისედაც გადატვირთული მუშაობის რეჟიმში სრულყოფილი, ეფექტიანი და შედეგიანი გაკვეთილების ჩატარებას.

### თავების სტრუქტურა:

სახელმძღვანელოში შესულია მოცულობითი ტექსტები, რომლებიც დავყავით მცირე მონაკვეთებად. თითოეულის დამუშავებისთვის მოსწავლის წიგნში მოცემულია როგორც სააზროვნო კითხვები (რუბრიკა – **ტექსტის გასააზრებლად**), ისე **აქტივობები**, რომლებსაც მოსწავლე ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავს კომპლექსურ დავალებამდე.

**ტექსტის გასააზრებლად**

4. პირველი აბზაცის მიხედვით უპასუხე კითხვებს:

   ა. ვინ სად და როდის გაემგზავრა?
   ბ. რა შეიტყვე ვარსქენის შესახებ?

5. რას ნიშნავს, შენი აზრით, ის, რომ შუშანიკი ქმრის „უკეთურების“ გამო მუდამ წუხდა და ლოცულობდა – ქმარი „გონს მოსულიყო“? ვისი ხასიათის შესახებ გექმნება ამით წარმოდგენა – შუშანიკის, ვარსქენის თუ ორივესი? პასუხი დაასაბუთე.

6. მე-15 სტრიქონის მიხედვით მთხრობლის რაგვარი დამოკიდებულება ჩანს ვარსქენის მიმართ?

7. ვარსქენმა პირობა მისცა პეროზს, რომ კანონიერ ცოლსა და შვილებსაც მოაქცევდა მაზდეანობაზე. ეს პირობა მან ისე დადო, რომ შუშანიკისგან თანხმობა არ ჰქონია. ხასიათის რა თვისებაა წარმოჩენილი ამ საქციელში?

**კრიპტოგრაფები**

წარმოიდგინე, რომ **კრიპტოგრაფი*** ხარ და ხელთ უცნობი ტექსტი ჩაგივარდა. დავალებად ასეთი რამ გექნება შესასრულებელი:

ძვირფასო „კრიპტოგრაფებო“, თქვენი ამოცანაა, პირველი თავიდან „ამოიკითხოთ“ და ნათლად, მკაფიოდ გადმოსცეთ მთავარი ცნობები. მე-5 საუკუნეში დაწერილი ამ ტექსტის გაგება, შესაძლოა, არ იყოს მარტივი. ალბათ, დაგრჩებათ „გაუშიფრავი“ და გაუგებარი ადგილები. არ შეშინდეთ. ივარაუდეთ და თამამად გამოხატეთ თქვენი ვარაუდები.

საბოლოოდ, ცხადი უნდა გახდეს შემდეგი:

1. ვინ არიან ეპიზოდში წარმოდგენილი მოქმედი პირები (ვინ არის ვარსქენი? ვინ იყო მისი მამა? ცოლი? ვინ არის შუშანიკი? რა ერქვა მის მამას? რა ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან შუშანიკსა და ვარსქენს?);
2. ვინ სად გაემგზავრა და რატომ?
3. რას ამბობს ავტორი (იაკობ ხუცესი) ვარსქენზე? რას ამბობს შუშანიკზე?

ვნახოთ, ვინ რას ამოიკითხავს ჰაგიოგრაფიული ტექსტის პირველი თავიდან.

**ნიმუში:**

ვარსქენ პიტიახში ~~წარემარ~~ გაემგზავრა სპარსეთში. ის იყო არშუშას ძე. თავიდან ქრისტიანი იყო და მშობლებიც ქრისტიანები იყვნენ. ცოლად ~~მის~~ ჰყავდა შუშანიკი. შუშანიკი მორწმუნე იყო ბავშვობიდან.

თითოეულ ტექსტზე მოცემულია ერთი ან რამდენიმე კომპლექსური დავალება (ტექსტის მოცულობის შესაბამისად).

თავის მხრივ, კომპლექსური დავალებები შედგენილია ორი მიმართულებით: როგორც წერითი, ისე ზეპირმეტყველების უნარებზე მორგებული.

თითოეული ტექსტი იწყება რუბრიკით **კითხვის დაწყებამდე** – რომელიც ან ერთგვარი შესავლის ფუნქციას ასრულებს, ან მოიცავს თემასთან გასააქტიურებელ ცნებასთან დაკავშირებულ საკვანძო შეკითხვებსა და აქტივობებს.

**კითხვის დაწყებამდე**

„მხოლოდ დიდ-ბუნებიანთა კაცთა თვისებაა ერთხელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ თავის სიცოცხლის საგნად და მის ქვეშ დაუგონ თავისი ცხოვრება, და თუ საჭიროება მოითხოვს, შესწირონ თავი თვისიცა, ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად უღირს, ვიდრე საკუთარი თავი და საკუთარი სიცოცხლე“, – ილია ჭავჭავაძე.

- ახსენი, რას გულისხმობს ილია ზემოთ მოყვანილ ციტატაში.
- როგორ უკავშირდება ილიას ეს გამონათქვამი უკვე შესწავლილ ნაწარმოებებს?
- შენი აზრით, თავგანწირვა მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით საკუთარი სიცოცხლის შეწირვას გულისხმობს? როგორ ფიქრობ, რაიმე სხვა გზა თუ არსებობს, ემსახურო საკუთარ რწმენას, საკუთარ ჭეშმარიტებას, არჩეულ გზას?
- რა მაგალითები შეგიძლია მოიყვანო თანამედროვე ცხოვრებიდან საკუთარი რწმენის, საქმის, პრინციპების ერთგულებისა?

რა თქმა უნდა, თითოეულ თავს ახლავს სტანდარტით გათვალისწინებული შესაბამისი თეორიული მასალა.

ეს სტრუქტურა არა მხოლოდ ბავშვებს, არამედ მასწავლებლებსაც გაუადვილებს სასურველი შედეგის მიღებას: მათ აქვთ გამზადებული დავალებები ტექსტის შესწავლის ყველა ეტაპისთვის, მოსწავლეებს მრავალფეროვანი აქტივობებით ტექსტს ისე დაამუშავებინებს, რომ დაფაროს საშუალო საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებული ყველა ცნება და ჩამოუყალიბოს ის მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც აუცილებლად უნდა დარჩეს მეათეკლასელ მოსწავლეს ამ კურსის გავლის შემდეგ, ხოლო თითოეული აქტივობა შერჩეულია ისე, რომ მათი დამუშავებით მოსწავლემ, საბოლოოდ, ადვილად შეძლოს კომპლექსური დავალების დამოუკიდებლად შესრულება. ასეთი მიდგომა თავიდან აგვაცილებს ტექსტების გადარბენით სწავლა-სწავლებას. დანაწევრებული ტექსტები თავისთავად უჩენს განწყობას მასწავლებლებს, რომ შეუძლიათ, ერთ ტექსტს რამდენიმე გაკვეთილი მშვიდად დაუთმონ.

სახელმძღვანელოს შედგენისას გავითვალისწინეთ მდგრადი განვითარების პრინციპები, მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც შევთავაზეთ ისეთი დავალებები, რომელთა შესრულება აამაღლებს მათ ცნობიერებას და დაეხმარება, მზად იყვნენ XXI საუკუნის გამოწვევებისათვის.

**სახელმძღვანელოში დამატებით გამოვყავით შემდეგი რუბრიკები:**

**კრიტიკული აზროვნებისთვის** – ეს რუბრიკა სისტემურად ახლავს ტექსტის თითოეულ მონაკვეთს და გულისხმობს იმ საკვანძო საკითხების გამოყოფას, რომლებთან დაკავშირებითაც მოსწავლეს უნდა გაუჩნდეს კრიტიკული დამოკიდებულება, გამოთქვას თავისი შეხედულება, დაეთანხმოს ან უარყოს ლიტერატორების, კრიტიკოსების კონკრეტულ საკითხზე გამოთქმული შეხედულებები.



**კრიტიკული აზროვნებისთვის**

ა) წაიკითხე ანალიტიკური კომენტარი. ტექსტში მონიშნე ორი მონაკვეთ[...] რომლებიც მოცემული კომენტარის დასაბუთებად გამოდგება. რაზ[...] დაყრდნობითაა გაკეთებული ეს დასკვნა?

ბ) დააკვირდი შუშანიკის სულიერ-ემოციურ მდგომარეობას ამ თავში. როგო[...] გადმოსცემს მთხრობელი პერსონაჟის განცდებს? ყველაზე ნათლად გმირი[...] რა ქმედება აცხადებს მის მდგომარეობას?

გ) შუშანიკის ნათქვამი ფრაზებიდან (სტრიქონები: 47-51; 67.) რომელში გამოსჭვივის, შენი აზრით, სიმტკიცე? წუხილი? როგორ ფიქრობ, აცნობიერებს თუ არა შუშანიკი იმ განსაცდელს, რაც მას მოელის? პასუხი დაასაბუთე.

დ) მოაწესრიგე საფიქრალი წერილობით ქვევით მოცემული სქემის გამოყენებით ან დამოუკიდებლად; იმუშავე რვეულში.

| | |
|---|---|
| სიმტკიცე | |
| წუხილი | ნიმუში |
| ცნობიერი გადაწყვეტილება | |

**ანალიტიკური კომენტარი**

„ვარსქენი უფრთხის პირისპირ **კონფრონტაციას***, სურს, წინასწარ შეამზადოს ნიადაგი და მოულოდნელი დარტყმისგან ან რეაქციისგან თავი დაიზღვიოს. ყველაზე ახლობელ ადამიანთანაც კი არჩევს შემოვლით გზას“.

* **კონფრონტაცია** – დაპირისპირება, შეჯახება, პირისპირ დგომა, წინააღმდეგობის გაწევა

**ლექსიკაზე მუშაობა** – ეს რუბრიკა განსაკუთრებით საჭიროა ძველი ქართული ნაწარმოებების დამუშავებისას, რადგან არქაიზმების გაგება მოსწავლეებისთვის რთულია. საინტერესო აქტივობებით, კოგნიტური სქემებით ჩაუღრმავდება მოსწავლე ამა თუ იმ ლექსიკურ ერთეულს, დააკვირდება გენეზისსა და ფუნქციას, რაც საბოლოოდ ტექსტის უკეთ აღქმას გაუადვილებს.

**ლექსიკაზე მუშაობა**

ქვეყანა

ტექსტში ვკითხულობთ:
„ვითარცა ესმა ნეტარსა შუშანიკს, დავარდა ქუეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა და ცრემლითა მწარითა იტყოდა: – საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ, რამეთუ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა ატროშანი და შეერთო იგი უღმრთოთა“.

- როგორ ფიქრობ, რა მნიშვნელობითაა გამოყენებული სიტყვა „ქვეყანა“ მოცემულ ფრაზაში?
- რომელი სიტყვით ჩაანაცვლებდი მას?

**გაიფართოვე თვალსაწიერი** – მასალები, რომლებიც მოსწავლეებისთვის საინტერესოდ წასაკითხია, გაუღრმავებს ცოდნას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით და აუმაღლებს სწავლის მოტივაციას. თითოეულ რუბრიკას ახლავს კითხვები მიწოდებული მასალის გასააქტიურებლად.


გაიფართოვე თვალსაწიერი

V საუკუნის ქართლი და ვახტანგ გორგასალი

V საუკუნის შუა ხანებიდან ისტორიული საქართველოს აღმოსავლეთში მდებარე ქართლის სამეფოს მართავდა **ვახტანგ გორგასალი.**

ქართლს ამ პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიიდან უტევდნენ მომთაბარე ტომები. „გარდამოვიდეს ოვსნი სპანი ურიცხუნი და მოტყუენეს ქართლი თავითგან მტკურისათ ვიდრე ხუნანამდე[1], და მოაოხრნეს ველნი არამედ ციხე-ქალაქნი დაურჩეს, თჳნიერ კასპისა. ხოლო კასპი ქალაქი შემუსრეს და ტყუე ყვეს, და წარიყვანეს დაი ვახტანგისი მირანდუხტ, სამის წლის ქალი“, – ასე აღწერს მოგვიანებით ქართველი ისტორიკოსი მომთაბარე ტომების შემოსევებს. ისინი შემოიჭრებოდნენ ხოლმე ქართლში, იტაცებდნენ, რის მიტაცებაც შეეძლოთ; თუმცა დიდი ხნით აქ არ რჩებოდნენ და არც ციხე-ქალაქების აღებას ცდილობდნენ. ერთხელაც მათ ვახტანგის სამი წლის დაც გაიტაცეს. 15 წლის მეფემ დიდი კრება მოიწვია, თათბირი გამართა და მომთაბარე ტომების შემოსევებისგან თავდაცვის სტრატეგია შეიმუშავა. ამ ამოცანას ვახტანგმა თავი კარგად გაართვა.

**ჩვენ გირჩევთ** – ეს რუბრიკა მოიცავს რეკომენდაციებს, პრაქტიკულ რჩევებს კომპლექსური დავალების შესასრულებლად. მისი დახმარებით მოსწავლეები დაამუშავებენ სხვადასხვა ტიპის კომპლექსური დავალების შესასრულებელ სტრატეგიებს: კითხვის, გააზრების, წერის, ზეპირმეტყველების...

**ჩვენ გირჩევთ**

შენ უკვე იცი, როგორ მოამზადო ეფექტიანი პრეზენტაცია.
სასურველია, დაიხმარო პროგრამა Power Point-ი, რათა თვალსაჩინო მასალით მსმენელს გაუადვილო ინფორმაციის აღქმა.

**მედიაწიგნიერება** – ეს რუბრიკა უმნიშვნელოვანესია თანამედროვე მოსწავლეებისთვის. მისი დახმარებით ისინი ისწავლიან, როგორ მოიძიონ საჭირო წყაროები, გამოიყენონ ინტერნეტრესურსები სასწავლო მასალად, როგორ გადაამოწმონ მათი სანდოობა.

**მედიაწიგნიერება**

- მოიძიე ინფორმაცია უძველესი დამწერლობების შესახებ. ისაუბრე, ანბანურ დამწერლობამდე რა ტიპის დამწერლობის სახეები იყო გავრცელებული?
- შენი აზრით, რატომ გაჩნდა ამ ტიპის დამწერლობები?
- ძირითადად რომელი ანბანური დამწერლობები იყო გავრცელებული უძველეს მსოფლიოში? ყველაზე მეტად რომელმა მათგანმა მოახდინა შენზე შთაბეჭდილება და რატომ?
- გირჩევ, გაეცნო ფილმს „დამწერლობის ისტორია“.

**პროექტები:** რადგან პროექტული სწავლებაც თანამედროვე განათლების ერთ-ერთი გამოწვევაა, გადავწყვიტეთ, რომ უფრო მეტად ორგანული გავხადოთ პროექტები სწავლების პროცესისთვის და რამდენიმე პროექტს მასწავლებლის წიგნში გაეცნობით.

**შეფასება**

თითოეული კომპლექსური დავალება მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს მასწავლებელმა განმავითარებელი (უფრო ხშირად) თუ განმსაზღვრელი შეფასებისას და გაუადვილდეს, სოლოტაქსონომიით დააკვირდნენ მოსწავლეთა ნამუშევრებს.

სახელმძღვანელოში ასევე მოცემულია მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები.

**თვითშეფასება**

**თვითშეფასების კითხვარი**

სახელმძღვანელოს ამ ნაწილის დასრულების შემდეგ შეყოვნების, დაფიქრების, შეჯამების, საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გაანალიზების, შეფასების დროა.
თვითანალიზი, თვითშეფასება დაგეხმარება, ჯეროვნად შეაფასო საკუთარი შესაძლებლობები, მიღებული ცოდნის ხარისხი.
ეს ჩაფიქრება საინტერესო და მნიშვნელოვანია პროცესია.
ერთგვარი „დიალოგი საკუთარ თავთან“, წრფელი, ობიექტური დამოკიდებულება გაჩვენებს – სად ხარ, რას მიაღწიე, რის გაუმჯობესება გჭირდება და რა უნდა გაითვალისწინო სამომავლოდ.

გთავაზობთ თვითშეფასების სხვადასხვა ტექნიკას.

ა. აქ თავმოყრილია კითხვები. დაფიქრდი და გაეცი პასუხი:

კითხვები მიღწეული წარმატების გასაცნობიერებლად
(ნაფიქრი ჩაიწერე სამუშაო რვეულში.)

- რა იყო ჩემი ყველაზე დიდი წარმატება ჰაგიოგრაფიის შესწავლის ამ პერიოდში?
- როგორ მივაღწიე ამას?
- რა სირთულე შემხვდა?
- რა არის ის, რის გაკეთებაც არ გამომდიოდა ადრე, ახლა კი თავისუფლად შემიძლია?

**დამატებითი რესურსი:**

ტექსტებსა და სავარჯიშოებს ხშირად ახლავს ინტერნეტმასალები: ვიდეო და აუდიორეპორტაჟები, ინტერვიუები, მოზარდებისთვის საინტერესო საიტები, დამატებით საკითხავი ტექსტები თემატური პარალელებისთვის – ისინი ჩაისმება არა დაკოპირებული ბმულების სახით (მათი აკრეფა ხშირად ბავშვისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს და უქრება მოტივაცია, გაეცნოს დამატებით საინტერესო მასალას), არამედ სახელმძღვანელოში ჩასმული QR კოდის სახით. მობილური ტელეფონის ფოტოაპარატის სახელმძღვანელოში განთავსებულ სპეციალურ QR კოდზე დანათებით მოსწავლე მარტივად შეძლებს, ნახოს მითითებული მასალა.

**გრამატიკა**

საშუალო საფეხურზე ცნება „გრამატიკა“ ცალკე კომპონენტი არ არის, შესაბამისად, არც ცალკე სახელმძღვანელოა საჭირო. მაგრამ, რადგანაც გრამატიკა მოსწავლის ყოველდღიური სწავლის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს, ჩვენ მაინც შევიტანეთ ის საკითხები, რომლებიც ე.წ. პრაქტიკული გრამატიკაა. მათი გათავისება და პრაქტიკაში სწორად გამოყენება ზოგჯერ აქილევსის ქუსლია ბავშვებისთვის. ასეთი საკითხები ხშირად უკავშირდება ტექსტებსა და კონკრეტულ ლექსიკურ სავარჯიშოებს.

სახელმძღვანელოში ყველა თავს ახლავს გრამატიკული ნაწილი – **ენის სამყარო**. ეს ხელს შეუწყობს მასწავლებელს, გადაბმულად რამდენიმე გაკვეთილი დაუთმოს გრამატიკას, რათა მოსწავლეებს განუმტკიცდეთ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებული ცოდნა.

1 **ენის სამყარო**

## 1. მრავლობითი რიცხვი და მასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები

**1** ძველ ქართულში სახელები (არსებითი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი...) მრავლობით რიცხვში იწარმოებოდა -ნ/ -თა სუფიქსების დართვით.

**ა. არ ჰქონდა მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმები. დააკვირდი ბრუნვებს:**

| | | | |
|---|---|---|---|
| **სახ.** შვილ-ნ-ი | ორ-ნ-ი | | ჩვენ-ნ-ი |
| **მოთ.** შვილ-თა | ორ-თა | | ჩვენ-თა |
| **მიც.** შვილ-თა | ორ-თა | | ჩვენ-თა |
| **ნათ.** შვილ-თა | ორ-თა | | ჩვენ-თა |
| **მოქ.** ______ | ______ | ______ | |
| **ვით.** ______ | ______ | ______ | |
| **წოდ.** შვილ-ნ-ო | | ორ-ნ-ო | ჩვენ-ნ-ო |

# ქართული ენა და ლიტერატურა

## საშუალო საფეხურის სტანდარტი

**ქართული ენისა და ლიტერატურის სავალდებულო კურსი საშუალო საფეხურზე გულისხმობს ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებულად სწავლებას.**

სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია **გრძელვადიანი მიზნები.**

სტანდარტის **შინაარსი** აღიწერება ქვეცნებებისა და თემების სახით.

ეროვნული სასწავლო გეგმა საგანში „ქართული ენა და ლიტერატურა" სავალდებულოდ განსაზღვრავს თემებს, სოლო მათ შესასწავლად საჭირო ქვეცნებებსა თუ საკითხებს სკოლები თავად ირჩევენ.

თემებს ახლავს **შედეგების მიღწევის ინდიკატორები.** ისინი მიგვითითებს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. თითოეულ კრიტერიუმთან აღნიშნულია, თუ რომელ სამიზნე ცნებასთანაა ის დაკავშირებული.

**საფეხურის შედეგები:**

საშუალო საფეხურის სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს, მაგ., **ქართ. საშ. 1.**

**„ქართ."**– აღნიშნავს საგანს „ქართული ენა და ლიტერატურა";

**„საშ."** – მიუთითებს საშუალო საფეხურს;

**„1"–** მიუთითებს საგნობრივი სტანდარტის შედეგის ნომერს.

| ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე | | |
|---|---|---|
| **შედეგების ინდექსი** | **მოსწავლემ უნდა შეძლოს:** | **სამიზნე ცნებები** |
| **ქართ.საშ.1** | ჟანრულ-კომპოზიციური ელემენტებისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების (მაგ., მთავარი იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟების, მხატვრული ხერხების) ცოდნის გამოყენება წაკითხული ნაწარმოების კრიტიკულად გაანალიზებისა და ინტერპრეტირებისთვის, მისი მხატვრულ-ესთეტიკური მნიშვნელობის გააზრებისთვის. | **ჟანრი** (ქართ.საშ.1,4,6,7) |
| **ქართ.საშ.2** | ნაწარმოების აღქმა-გააზრება კონტექსტური ფაქტორების (მაგ., ავტორის ბიოგრაფიის, სოციოისტორიულის) ცოდნის გამოყენებით და მისი ინტერპრეტირება როგორც შექმნის თანადროული ეპოქის, ისე თანამედროვეობის ჭრილში. | **კომპოზიცია** (ქართ. საშ.1,3,4,6,7) |
| **ქართ.საშ.3** | საკუთარი პოზიციისა თუ დამოკიდებულებების წარმოსაჩენად ამა თუ იმ ეპოქასა ან/და კულტურაში შექმნილი ნაწარმოებების გამოყენება მათში ასახულ პრობლემატიკაზე, ფასეულობებსა და შეხედულებებზე მსჯელობის გზით. | **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** (ქართ.საშ.4,6,7) |

| | | |
|---|---|---|
| **ქართ.საშ.4** | ამა თუ იმ ეპოქასა ან/და კულტურაში შექმნილი ნაწარმოებების ერთმანეთთან შედარება და მსგავსება-განსხვავებების ანალიზი მათი საერთო მახასიათებლებისა თუ სპეციფიკურობის/ უნიკალურობის გამოსაკვეთად. | **კონტექსტი** (ქართ.საშ.2,5) |
| **ქართ.საშ.5** | ერთსა და იმავე ნაწარმოებთან დაკავშირებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის ერთმანეთთან შედარება ტექსტის განსხვავებული პერსპექტივების/მიდგომების ჭრილში შესაფასებლად. | |
| **ქართ. საშ.6** | სხვადასხვა ფორმატის, ტიპისა და ჟანრის ტექსტების შედგენა ამა თუ იმ მიზნით (მაგ., ტექსტის ანალიზის შედეგების წარმოსაჩენად, თვითგამოხატვისთვის, განწყობილებების, შთაბეჭდილებების, ემოციების გადმოსაცემად). | |
| **ქართ.საშ.7** | ტექსტების შედგენისას ჟანრულ-კომპოზიციური და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების (მაგ., მსჯელობითი ტექსტისთვის დამახასიათებელი სტრუქტურის, სინტაქსური კონსტრუქციების, მხატვრული ენის, სტილის ელემენტების) მიზნის შესაბამისად გამოყენება (მაგ., ტექსტის ინტერპრეტირებისას, შემოქმედებითი წერისას). | |

**სავალდებულო თემები**

სავალდებულო (საბაზისო) კურსი მოსწავლეებს სთავაზობს ლიტერატურის შესწავლას ქრონოლოგიურ-თემატური პრინციპის საფუძველზე. ეს გულისხმობს, რომ მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც საუკეთესოდ ასახავენ მათი თანადროული ეპოქების სპეციფიკას, მსოფლმხედველობასა და ესთეტიკურ შეხედულებებს. ამ გზით მოსწავლეები შეიქმნიან წარმოდგენას ქართული ლიტერატურის ძირითად პერიოდებზე და სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობაზე. კერძოდ, მოსწავლეები ლიტერატურულ ნაწარმოებებს გააანალიზებენ მათი შექმნის თანადროული ეპოქის კონტექსტში, ეპოქისა, რომელიც განსაზღვრავდა ძირითად პრობლემატიკას, მსოფლმხედველობრივ პრინციპებს, მორალურ-ეთიკურ თუ ესთეტიკურ ორიენტირებს. მხატვრული ლიტერატურის გარდა, მოსწავლეებს შესაძლებელია შევთავაზოთ ქართველი მწერლების პუბლიცისტური თხზულებები და ესეები, რომლებშიც ასახულია ამა თუ იმ კონკრეტული ეპოქისთვის დამახასიათებელი პრობლემატიკა, იდეები, ესთეტიკური შეხედულებები.

| |
|---|
| **V-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა** |
| **XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა** |
| **XX-XXI საუკუნეების ქართული ლიტერატურა** |

თითოეული სასწავლო თემა ისწავლება ქვეთემების მეშვეობით, რომლებიც განისაზღვრება ლიტერატურის უნივერსალური თემების/მოტივების გათვალისწინებით (მაგ., ცხოვრების საზრისის ძიება, ადამიანი საზოგადოების პირისპირ, სიყვარული, ადამიანის კონფლიქტი ბუნებასთან და მისთ.).

**საკითხავი ლიტერატურა**

საკითხავი მასალის ფარგლებში ცალკე ჯგუფს ქმნის სავალდებულო ნაწარმოებები – ქართული მწერლობის კლასიკოსთა თხზულებები, რომლებმაც მყარად დაიმკვიდრეს ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში და წარმოადგენენ საყრდენ ტექსტებს ცალკეული თემების შესწავლის დროს.

**<u>სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი</u>**

1. იაკობ ხუცესი – „შუშანიკის წამება“;
2. იოანე საბანისძე – „აბოს წამება“ (I-III თავები);
3. გიორგი მერჩულე – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (მითითებული სახით. იხ. დანართი);
   *სულ მცირე, ორი ჰაგიოგრაფიული თხზულება.*
4. შოთა რუსთველი – „ვეფხისტყაოსანი“: „დასაწყისიდან“ „ტარიელის თათბირის“ ჩათვლით; „დასასრული“;
5. სულხან-საბა ორბელიანი – „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“: ლეონის თავგადასავალი;
6. დავით გურამიშვილი – „დავითიანი“: „ქართლის ჭირი“ (ისტორიული ნარატივი);
7. გრიგოლ ორბელიანი – „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“;
8. ნიკოლოზ ბარათაშვილი – „მერანი“, „შემოღამება მთაწმინდაზედ“;
9. ილია ჭავჭავაძე – „მგზავრის წერილები“, „ოთარაანთ ქვრივი“, „კაცია-ადამიანი?!“;
10. აკაკი წერეთელი – „გამზრდელი“;
11. ვაჟა-ფშაველა – „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“;
12. დავით კლდიაშვილი – „სამანიშვილის დედინაცვალი“;
13. ტიციან ტაბიძე – „ლექსი მეწყერი“, „ანანურთან“;
14. მიხეილ ჯავახიშვილი – სულ მცირე, ერთი მოთხრობა;
15. ნ. ლორთქიფანიძე – „შელოცვა რადიოთი“;
16. ლეო ქიაჩელი – „ჰაკი აძბა“;
17. გალაკტიონ ტაბიძე – „თოვლი“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „შერიგება“, „მე და ღამე“, „მთაწმინდის მთვარე“, „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“;
18. გიორგი ლეონიძე – „ყივჩაღის პაემანი“;
19. კონსტანტინე გამსახურდია – „დიდოსტატის მარჯვენა“;
20. გურამ რჩეულიშვილი – *სულ მცირე, ერთი თხზულება;*
21. ჯემალ ქარჩხაძე – *სულ მცირე, ერთი თხზულება;*
22. ოთარ ჭილაძე – *სულ მცირე, ერთი თხზულება;*
23. გურამ დოჩანაშვილი – *სულ მცირე, ერთი თხზულება.*

სწავლა-სწავლების პროცესში სავალდებულო ნაწარმოებებთან ერთად მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ არასავალდებულო ლიტერატურაც – მხატვრული და არამხატვრული ტექსტები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და დაეხმარება მათ სტანდარტით განსაზღვრული საგნობრივი ცნებებისა და ქვეცნებების გაცნობიერებაში, უნივერსალური ლიტერატურული მოტივების (/თემების) წვდომა-გააზრებაში.

ქართული ლიტერატურის გარდა, მოსწავლეებს შესაძლებელია შევთავაზოთ უცხოური ლიტერატურის ნიმუშებიც, რაც დაეხმარება მათ, გაიაზრონ მშობლიური ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში (სხვადასხვა კულტურის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენის გზით).

**სამიზნე ცნებები და ქვეცნებები**

**ჟანრი**

<u>მხატვრული ნაწარმოებები:</u> ლექსი, მოთხრობა, ნოველა, პოემა, რომანი, ეპოსი, დრამატურგიული ნაწარმოებები (კომედია, დრამა, ტრაგედია), ალეგორიული ჟანრის ლიტერატურა (მაგ., იგავ-არაკი), <u>არამხატვრული ნაწარმოებები:</u> ბიოგრაფიული ტექსტები, მემუარული ლიტერატურა; სამეცნიერო (სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული სტატია); საგაზეთო სტატია, სხვადასხვა პერიოდის პუბლიცისტიკა; სხვადასხვა სახის ესე, რეფერატი.

**კომპოზიცია**

*შინაარსობრივი მხარე:*

თემა, დედააზრი/მთავარი იდეა, მთავარი/ძირითადი საკითხი; ქვეტექსტური ინფორმაცია;

ავტორი, პერსონაჟი, ლირიკული გმირი; პერსონაჟთა სახეები; ხედვის კუთხე (ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის);

მონოლოგი, მისი სტრუქტურული და სტილისტური თავისებურებანი; მონოლოგის სახეები;

დიალოგი, პოლილოგი და მათი ფუნქციები;

პეიზაჟი, ინტერიერი და მათი ფუნქციები; განწყობა;

ავტორისეული ჩანართები; ლირიკული გადახვევა;

ტექსტის სტრუქტურული ელემენტები (სათაური, აბზაცი, სტროფი, ტაეპი, თავი, ქვეთავი, პარაგრაფი, ეპიგრაფი);

წინადადებათა გადაბმის სახეები (ჯაჭვური, პარალელური);

მხატვრული კონფლიქტის განვითარების საფეხურები (პროლოგი, ექსპოზიცია, კვანძის შეკვრა, მოქმედების განვითარება, კულმინაცია, კვანძის გახსნა, ეპილოგი);

*სტრუქტურა-ორგანიზება:* ტექსტის სტრუქტურული ელემენტები (სათაური, აბზაცი, სტროფი, ტაეპი, ეპიგრაფი, პარაგრაფი, თავი, ქვეთავი); რითმა, მეტრი;

სხვადასხვა სახის საორგანიზაციო ყალიბები (მაგ., შედარება-შეპირისპირება, ქრონოლოგიური თანამიმდევრობა, მიზეზშედეგობრიობა, ახსნა-განმარტებითობა, პრობლემა და მისი გადაწყვეტა).

**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**

*ფუნქციური სტილი* – სასაუბრო, მწიგნობრული; სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანი, პუბლიცისტური, მხატვრული;

*ენობრივი ფიგურები* – ფონოლოგიური ფიგურები (ალიტერაცია, ევფონია), სემანტიკური ფიგურები (მაგ., იდიომები, ევფემიზმი); სტილისტური ფიგურები (ელიფსისი, გამეორება, ანაფორა);

ინტერტექსტუალური მიმართებები და მათი გამოხატვის საშუალებები – ალუზია, ციტატა.

*ენობრივ-გრამატიკული ფორმები* – დროით-სივრცული და ლოგიკური მიმართებების გამომხატველი სინტაქსური კონსტრუქციები თხრობითი, მსჯელობითი და აღწერითი ხასიათის ტექსტებში; ჩართული სიტყვები და გამონათქვამები, ანაფორული ნაცვალსახელები და ზმნიზედები, სინონიმური და ანტონიმური ჩანაცვლებები, დამხმარე ზმნების სტრუქტურა და ფუნქციები.

*მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები* – ალეგორია, გაპიროვნება, ეპითეტი, მეტაფორა, შედარება, ჰიპერბოლა, სიმბოლო და სხვ.;

*ლექსიკისა და სტილის საკითხები* – არქაიზმი; სინონიმური და ანტონიმური ჩანაცვლებები; ტავტოლოგია; კალკი, ატროფია; პარონიმები; ბარბარიზმი, ჟარგონი, სლენგი; კლიშე.

*რიტორიკის ელემენტები* – თეზისი, არგუმენტი, კონტრარგუმენტი, რიტორიკული ხერხები (მაგ., რიტორიკული შეკითხვა); რიტორიკული სტილის მახასიათებლები.

*საკომუნიკაციო სიტუაცია* – თემა, მიზანი, აუდიტორია, კომუნიკაციის სახეები, არხები, ფორმები; სოციოკულტურული გარემო.

**კონტექსტი**

*ისტორიული და სოციოკულტურული* – ქართული ლიტერატურის პერიოდები; თხზულების თანადროული ეპოქის ისტორიული ვითარება/ისტორიული რეალიები, საზოგადოებრივი ცხოვრების რეალიები; ეპოქისთვის დამახასიათებელი თემატიკა/პრობლემატიკა, ღირებულებები; წარმოდგენები სამყაროზე, ადამიანზე, დამოკიდებულებები, შეხედულებები განათლებაზე/სწავლა-აღზრდაზე; მსოფლმხედველობრივი და მორალურ-ეთიკური ორიენტირები; ლიტერატურული მიმდინარეობები.

*ბიოგრაფიული კონტექსტი* – მწერლის ბიოგრაფიის კონკრეტული ფაქტები, მოვლენები, სოციალური გარემო, განათლება, სულიერი გამოცდილება; კულტურათა დიალოგი.

**თემა: V-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა**

**თემის ფარგლებში განიხილება:**

*V-X საუკუნეები* (შესაძლებელია ისწავლებოდეს X კლასის სასწავლო წლის პირველ სემესტრში)

სასულიერო მწერლობა; ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ქვეჟანრები; ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ინტერტექსტუალურობა; ჰაგიოგრაფიული გმირი/პერსონაჟი (გმირის იდეალი); სულიერი ავტორიტეტი; სულიერების, სიწმინდის/წმინდანობის გაგება; დამოკიდებულება ღმერთთან (/„მიბაძვა"), ხსნის გზის ძიება; ჰაგიოგრაფიული თხზულება, როგორც ისტორიული წყარო.

*XII-XVIII საუკუნეები* (შესაძლებელია ისწავლებოდეს X კლასის მეორე სემესტრში)

აზროვნების სეკულარიზაცია და ქართული საერო მწერლობა; ახალი ჟანრები (საგმირო-სამიჯნურო ეპოსი, იგავ-არაკები, ლირიკა, ისტორიული პოემა); ლიტერატურული გმირის/ადამიანის ახალი იდეალი (რენესანსული იდეალები – ადამიანის ფიზიკური და სულიერი ჰარმონიულობა, თავისუფალი არჩევანი); ინტერტექსტუალურობა; თვითშემეცნების გზების ძიება; დამოკიდებულება სამყაროსთან, ცოდნასთან.

სტანდარტის ზოგადი კრიტერიუმები დაკონკრეტდება ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით.

**თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით**

**ჟანრი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესწავლა-დამუშავება, ცალკეული ჟანრის დანიშნულებისა და არსობრივი მახასიათებლების განსაზღვრა; მსჯელობა ერთი რომელიმე ჟანრისთვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებზე;
- სხვადასხვა ჟანრის მახასიათებლების შედარებითი ანალიზის საფუძველზე საერთო ან/და განსხვავებული ჟანრული მახასიათებლების განსაზღვრა ამა თუ იმ ჟანრისთვის დამახასიათებელი უნიკალურობის/სპეციფიკურობის წარმოჩენით;
- მსჯელობა იმაზე, თუ რა ურთიერთმიმართებაა ჟანრებს შორის ან/და რა განსხვავებული მიდგომებია გამოყენებული სხვადასხვა ჟანრის ტექსტებში ერთი და იმავე თემის/საკითხის, პრობლემის წარმოსაჩენად;
- დასახული ამოცანის შესაბამისი ჟანრის შერჩევა და შესაბამისი ჟანრული მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებული გამოყენება.

**კომპოზიცია –** მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ნაწარმოების გაანალიზება კომპოზიციის ელემენტებზე დაკვირვების მეშვეობით, მსჯელობა კომპოზიციის ელემენტებზე მათი ურთიერთკავშირის წარმოჩენით;
- ტექსტების შედარება კომპოზიციის ელემენტების კუთხით, მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენა, მსჯელობა, ინტერპრეტირება სხვადასხვა პერსპექტივიდან და დასკვნების გამოტანა;
- მსჯელობა ავტორის პოზიციისა და იმის შესახებ, როგორ გამოიხატება ეს პოზიცია ნაწარმოებში;
- ტექსტების შედგენისას კომპოზიციის ელემენტების ურთიერთდაკავშირებულად წარმოჩენა მთლიან ტექსტში.

**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების რაობისა და ფუნქციის განსაზღვრა (მაგ., განწყობის, ემოციური ფონის შექმნა; მკითხველზე შთაბეჭდილების, ზეგავლენის მოხდენა);
- მსჯელობა პოეტური ნაწარმოების რიტმზე, ბგერწერით ეფექტებზე (მაგ., ასონანსზე, ალიტერაციაზე, რითმაზე);
- ტექსტებში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების შეფასება მათი ეფექტიანობის, მკითხველზე ზეგავლენის მოხდენის კუთხით.
- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების, მათ შორის გრამატიკული ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების ადეკვატური გამოყენება სხვადასხვა მიზნით (მაგ., წაკითხულის ინტერპრეტირების, შეფასების, საკუთარი პოზიციის წარმოჩენის, თვითგამოხატვის);

- ენის, როგორც აზრის გამოხატვის ინსტრუმენტის მიზანმიმართული გამოყენება;
- საკომუნიკაციო ფაქტორების (მაგ., თემის, აუდიტორიის, კომუნიკაციის არხის) გათვალისწინებით ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა-გამოყენება წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად;
- ქართული სალიტერატურო ენის, მართლწერისა და მართლმეტყველების ნორმების, პუნქტუაციის წესების დაცვა.

**კონტექსტი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ტექსტში კონტექსტური ფაქტორების განსაზღვრა, მსჯელობა კონტექსტის (მაგ., ავტორის სულიერი თუ ცხოვრებისეულ გამოცდილებისა) და ტექსტის ურთიერთმიმართებაზე;
- მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის გააზრება ტექსტის თანადროული ეპოქის კონტექსტში;
- მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად და როგორაა ასახული კონტექსტური ფაქტორები სხვადასხვა ტექსტში;
- მსჯელობა იმაზე, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ნაწარმოების შინაარსი დრო-სივრცითი ფაქტორების ცვლილებამ;
- ერთსა და იმავე ან/და სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ტექსტებში ასახული მსგავსი თემების, იდეების, პრობლემების ინტერპრეტაციის ურთიერთშედარება, მსჯელობა მსგავსება-განსხვავებაზე და დასკვნების გამოტანა;
- მსჯელობა ტექსტზე, მისი შეფასება თანამედროვეობის გადასახედიდან.

**თემა: XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა**

**თემის ფარგლებში განიხილება:**

*რომანტიზმი* – რომანტიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის მთავარი მოტივები (მაგ., სწრაფვა უსაზღვროებისკენ, აწმყოთი უკმაყოფილება, გაიდეალება წარსულის, სიყვარულის, ბუნების), ჟანრები; რომანტიკული გმირი/პერსონაჟი და მისი ტრაგიზმი; კონფლიქტი/გაუცხოება საზოგადოებასთან, რომანტიკული მსოფლაღქმა: ფოკუსირება ინდივიდზე/ინდივიდუალურზე, ემოციებზე, სუბიექტურზე; ორი სამყაროს (ცნობიერისა და იდეალურის/ცნობიერების მიღმა არსებულის) კონცეპტი.

*რეალიზმი* – რეალიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის სახასიათო ჟანრები; რეალისტური ნაწარმოებების პერსონაჟი, ტიპობრივი პერსონაჟი; კომპლექსური ურთიერთობები რეალისტური კონცეფციის გმირებს/პერსონაჟებსა და საზოგადოებას შორის; თერგდალეულთა მოძრაობა.

სტანდარტის ზოგადი კრიტერიუმები დაკონკრეტდება ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით.

**თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით**

**ჟანრი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესწავლა-დამუშავება, ცალკეული ჟანრის დანიშნულებისა და არსობრივი მახასიათებლების განსაზღვრა; მსჯელობა ერთი რომელიმე ჟანრისთვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებზე;
- სხვადასხვა ჟანრის მახასიათებლების შედარებითი ანალიზის საფუძველზე საერთო ან/და განსხვავებული ჟანრული მახასიათებლების განსაზღვრა ამა თუ იმ ჟანრისთვის დამახასიათებელი უნიკალურობის/სპეციფიკურობის წარმოჩენით;
- მსჯელობა იმაზე, თუ რა ურთიერთმიმართებაა ჟანრებს შორის ან/და რა განსხვავებული მიდგომებია გამოყენებული სხვადასხვა ჟანრის ტექსტებში ერთი და იმავე თემის/საკითხის, პრობლემის წარმოსაჩენად;
- დასახული ამოცანის შესაბამისი ჟანრის შერჩევა და შესაბამისი ჟანრული მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებული გამოყენება.

**კომპოზიცია** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ნაწარმოების გაანალიზება კომპოზიციის ელემენტებზე დაკვირვების მეშვეობით, მსჯელობა კომპოზიციის ელემენტებზე მათი ურთიერთკავშირის წარმოჩენით;
- ტექსტების შედარება კომპოზიციის ელემენტების კუთხით, მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენა, მსჯელობა, ინტერპრეტირება სხვადასხვა პერსპექტივიდან და დასკვნების გამოტანა;
- მსჯელობა ავტორის პოზიციისა და იმის შესახებ, როგორ გამოიხატება ეს პოზიცია ნაწარმოებში;
- ტექსტების შედგენისას კომპოზიციის ელემენტების ურთიერთდაკავშირებულად წარმოჩენა მთლიან ტექსტში.

**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების რაობისა და ფუნქციის განსაზღვრა (მაგ., განწყობის, ემოციური ფონის შექმნა; მკითხველზე შთაბეჭდილების, ზეგავლენის მოხდენა);
- მსჯელობა პოეტური ნაწარმოების რიტმზე, ბგერწერით ეფექტებზე (მაგ., ასონანსზე, ალიტერაციაზე, რითმაზე);
- ტექსტებში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების შეფასება მათი ეფექტიანობის, მკითხველზე ზეგავლენის მოხდენის კუთხით.
- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების, მათ შორის გრამატიკული ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების ადეკვატური გამოყენება სხვადასხვა მიზნით (მაგ., წაკითხულის ინტერპრეტირების, შეფასების, საკუთარი პოზიციის წარმოჩენის, თვითგამოხატვის);
- ენის, როგორც აზრის გამოხატვის ინსტრუმენტის მიზანმიმართული გამოყენება;
- საკომუნიკაციო ფაქტორების (მაგ., თემის, აუდიტორიის, კომუნიკაციის არხის) გათვალისწინებით ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა-გამოყენება წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად;
- ქართული სალიტერატურო ენის, მართლწერისა და მართლმეტყველების ნორმების, პუნქტუაციის წესების დაცვა.

**კონტექსტი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ტექსტში კონტექსტური ფაქტორების განსაზღვრა, მსჯელობა კონტექსტის (მაგ., ავტორის სულიერი თუ ცხოვრებისეული გამოცდილების) და ტექსტის ურთიერთმიმართებაზე;
- მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის გააზრება ტექსტის თანადროული ეპოქის კონტექსტში;
- მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად და როგორაა ასახული კონტექსტური ფაქტორები სხვადასხვა ტექსტში;
- მსჯელობა იმაზე, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ნაწარმოების შინაარსი დრო-სივრცითი ფაქტორების ცვლილებამ;
- ერთსა და იმავე ან/და სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ტექსტებში ასახული მსგავსი თემების, იდეების, პრობლემების ინტერპრეტაციის ურთიერთშედარება, მსჯელობა მსგავსება-განსხვავებაზე და დასკვნების გამოტანა;
- მსჯელობა ტექსტზე, მისი შეფასება თანამედროვეობის გადასახედიდან.

**თემა: XX-XXI საუკუნეების ქართული ლიტერატურა**

**თემის ფარგლებში განიხილება:**

მოდერნიზმი – ახალი ფორმების, ახალი პოეტური ტექნიკების ძიება; მოდერნისტული ნაწარმოებების გმირი/პერსონაჟი; ორი სამყაროს (ცნობადისა და ცნობიერების მიღმა არსებულის) კონცეპტი; ფოკუსირება ინდივიდზე, მის შინაგან სამყაროზე (/არაცნობიერზე); ასოციაციურობა (ასოციაციური თხრობა, ცნობიერების ნაკადი); სამყარო/საზოგადოება, როგორც გამოწვევა ინდივიდის მთლიანობისთვის; ცისფერყანწელთა ორდენი.

პოსტმოდერნიზმი – პოსტმოდერნიზმის მახასიათებლები: მაგ.: თამაში, ფრაგმენტულობა, პირობითობა, ირონია; სუბიექტური მთხრობელი, თვითრეფლექსია; ინტერტექსტუალურობა; პოსტმოდერნიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის ეკლექტური ბუნება.

სტანდარტის ზოგადი კრიტერიუმები დაკონკრეტდება ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით.

**თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით**

**ჟანრი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესწავლა-დამუშავება, ცალკეული ჟანრის დანიშნულებისა და არსობრივი მახასიათებლების განსაზღვრა; მსჯელობა ერთი რომელიმე ჟანრისთვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებზე;
- სხვადასხვა ჟანრის მახასიათებლების შედარებითი ანალიზის საფუძველზე საერთო ან/და განსხვავებული ჟანრული მახასიათებლების განსაზღვრა ამა თუ იმ ჟანრისთვის დამახასიათებელი უნიკალურობის/სპეციფიკურობის წარმოჩენით;
- მსჯელობა იმაზე, თუ რა ურთიერთმიმართებაა ჟანრებს შორის ან/და რა განსხვავებული მიდგომებია გამოყენებული სხვადასხვა ჟანრის ტექსტებში ერთი და იმავე თემის/საკითხის, პრობლემის წარმოსაჩენად;
- დასახული ამოცანის შესაბამისი ჟანრის შერჩევა და შესაბამისი ჟანრული მახასიათებლების ურთიერთდაკავშირებული გამოყენება.

**კომპოზიცია** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ნაწარმოების გაანალიზება კომპოზიციის ელემენტებზე დაკვირვების მეშვეობით, მსჯელობა კომპოზიციის ელემენტებზე მათი ურთიერთკავშირის წარმოჩენით;
- ტექსტების შედარება კომპოზიციის ელემენტების კუთხით, მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენა, მსჯელობა, ინტერპრეტირება სხვადასხვა პერსპექტივიდან და დასკვნების გამოტანა;
- მსჯელობა ავტორის პოზიციისა და იმის შესახებ, როგორ გამოიხატება ეს პოზიცია ნაწარმოებში;
- ტექსტების შედგენისას კომპოზიციის ელემენტების ურთიერთდაკავშირებულად წარმოჩენა მთლიან ტექსტში.

**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების რაობისა და ფუნქციის განსაზღვრა (მაგ., განწყობის, ემოციური ფონის შექმნა; მკითხველზე შთაბეჭდილების, ზეგავლენის მოხდენა);
- მსჯელობა პოეტური ნაწარმოების რიტმზე, ბგერწერით ეფექტებზე (მაგ., ასონანსზე, ალიტერაციაზე, რითმაზე);
- ტექსტებში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების შეფასება მათი ეფექტიანობის, მკითხველზე ზეგავლენის მოხდენის კუთხით.
- ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების, მათ შორის გრამატიკული ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების ადეკვატური გამოყენება სხვადასხვა მიზნით (მაგ., წაკითხულის ინტერპრეტირების, შეფასების, საკუთარი პოზიციის წარმოჩენის, თვითგამოხატვის);
- ენის, როგორც აზრის გამოხატვის ინსტრუმენტის მიზანმიმართული გამოყენება;

- საკომუნიკაციო ფაქტორების (მაგ., თემის, აუდიტორიის, კომუნიკაციის არხის) გათვალისწინებით ვერბალური და არავერბალური საშუალებების შერჩევა-გამოყენება წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად;
- ქართული სალიტერატურო ენის, მართლწერისა და მართლმეტყველების ნორმების, პუნქტუაციის წესების დაცვა.

**კონტექსტი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ტექსტში კონტექსტური ფაქტორების განსაზღვრა, მსჯელობა კონტექსტის (მაგ., ავტორის სულიერი თუ ცხოვრებისეულ გამოცდილებისა) და ტექსტის ურთიერთმიმართებაზე;
- მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციის გააზრება ტექსტის თანადროული ეპოქის კონტექსტში;
- მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად და როგორაა ასახული კონტექსტური ფაქტორები სხვადასხვა ტექსტში;
- მსჯელობა იმაზე, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ნაწარმოების შინაარსი დრო-სივრცითი ფაქტორების ცვლილებამ;
- ერთსა და იმავე ან/და სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ტექსტებში ასახული მსგავსი თემების, იდეების, პრობლემების ინტერპრეტაციის ურთიერთშედარება, მსჯელობა მსგავსება-განსხვავებაზე და დასკვნების გამოტანა;
- მსჯელობა ტექსტზე, მისი შეფასება თანამედროვეობის გადასახედიდან.

# თემატური მატრიცები სახელმძღვანელოსთვის

ამ თავში წარმოდგენილია თემატური მატრიცები, სახელმძღვანელოს თითოეულ თავზე თითო მატრიცაა, რომელიც მოიცავს თავში შემავალ ყველა ტექსტს.
მატრიცებში შეტანილია მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული ყველა აქტივობა და კომპლექსური დავალება, რომლებიც აუცილებელია სამიზნე ცნებების დასაფარად.

**მატრიცის სტრუქტურა**

მატრიცის პირველ სვეტში მოცემულია ქართულის საგნობრივი სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. სახელმძღვანელოში შეტანილი კომპლექსური დავალებების უმეტესობა პოლიცნებურია. უკეთ ორიენტირებისთვის დავალებები ჩავსვით სახელმძღვანელოს მიმდევრობის მიხედვით.

შუა ნაწილი ეთმობა სახელმძღვანელოდან გადმოტანილ აქტივობებს, რომლებიც ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება და ამზადებს მოსწავლეს, მოცემული კომპლექსური დავალება დამოუკიდებლად შეასრულოს. თითოეულ ტექსტს ახლავს ერთი ან მეტი კომპლექსური დავალება და რამდენიმე აქტივობა. რუბრიკა **„ტექსტის გასააზრებლად“** არა მხოლოდ კითხვებს მოიცავს, არამედ მცირე აქტივობებსაც და ის ეხმარება მოსწავლეს ტექსტის სიღრმისეულად დამუშავებაში. მატრიცაში მითითებულია ამ რუბრიკის გვერდები.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ორი სისტემური სახის რუბრიკა **„კრიტიკული აზროვნებისთვის“** და **„ლექსიკაზე მუშაობა“** არ შეგვიტანია მატრიცებში, რადგანაც ისინი მიემართება არა რომელიმე კონკრეტულ კომპლექსურ დავალებას, არამედ ხელს უწყობს ტექსტის სიღრმისეულად გააზრებას, ლექსიკაზე სათანადოდ დაკვირვებასა და რაც მთავარია, საგნობრივი ცნებების გაცნობიერებას.
განსხვავებული ფუნქცია აქვს რუბრიკას **„გაიფართოვე თვალსაწიერი“**, ის ზოგჯერ უშუალოდ კომპლექსურ დავალებას უკავშირდება, ზოგჯერ კი ეხმარება მოსწავლეს საგნობრივი სამიზნე ცნებების, კომპოზიციისა (თემა, იდეა, პერსონაჟი) და კონტექსტის (ნაწარმოების შექმნის ეპოქა, ავტორი) გააზრებაში. მაგალითად, ინფორმაცია მაზდეანობის შესახებ (გვ.23-24) ეხმარება მოსწავლეს, გაიაზროს, რას წარმოადგენდა რელიგია, რომელიც ვარსქენმა აღიარა. 51-ე გვერდზე იმავე რუბრიკაში მოქცეული ინფორმაცია კი სჭირდება მოსწავლეს უშუალოს სინთეზურ ესეზე (კომპლექსურ დავალებაზე) სამუშაოდ.
ძალიან საჭირო რუბრიკაა **„ლიტერატურის თეორია“**. ამ რუბრიკაში მოქცეული საკითხები ეხმარება მოსწავლეს ტექსტის კონკრეტული მონაკვეთისა და სამიზნე ცნებების სიღრმისეულ გააზრებაში თანდართული სავარჯიშოების დახმარებით. მაგრამ, შესაძლოა, არ უკავშირდებოდეს კომპლექსურს უშუალოდ. მაგალითად, მოსწავლის წიგნში, მე-16 გვერდზე, მოცემული ინფორმაცია ჰაგიოგრაფიული ჟანრის მახასიათებლებზე პირდაპირ ვერ დაუკავშირდება კომპლექსურ დავალებას, სინთეზურ ესეს, რომელიც მოსწავლემ რამდენიმე აქტივობის შესრულების შემდეგ უნდა დაწეროს, თუმცა, ზოგადად, ჰაგიოგრაფიული გმირის მხატვრული სახის გაგებისთვის უმნიშვნელოვანესია.
აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსწავლის წიგნში სისტემურადაა მოცემული ენობრივ-გრამატიკული ნაწილი **„ენის სამყარო“**, რომელიც წინა კლასებში შესწავლილი საკითხების ერთგვარი გამეორება-გააქტიურებაა. საშუალო საფეხურის სტანდარტში ცნება გრამატიკა ცალკე არ არის, თუმცა შევიტანეთ ისეთი კომპლექსური დავალებებიც, რომლებიც მოსწავლეს დაეხმარება, დააკვირდეს მწერლის ენას და რიგ გრამატიკულ საკითხებში დაინახოს განსხვავება ძველსა და ახალ ქართულს შორის.

# I თავი – პრინციპების ერთგულება

▶ მატრიცის ჩამოტვირთვა შეგიძლიათ აქ:

**ტექსტი:** იაკობ ხუცესის „წამებაი წმიდისა შუშანიკისი, დედოფლისაი“, იოანე საბანისძის „წამებაი წმიდისა და ნეტა-რისა აბოისი“

**თემა:** პრინციპების ერთგულება

**კლასი:** მე-10

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**

- რატომ არის მნიშვნელოვანი ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის გაცნობა?
- რა განსაზღვრავს ამ ლიტერატურის ზედროულ მნიშვნელობას?
- როგორ მოგვითხრობს ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა ადამიანების ცხოვრების გზაზე, მრავალფეროვან ცხოვრები-სეულ გამოცდილებაზე? რა მიმართებაა ჰაგიოგრაფიაში ასახულ ცხოვრებას/ ადამიანებსა და რეალურ ცხოვრებას/ ადამიანებს შორის?
- რის გამო მიიჩნევა ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის გმირი სულიერ ავტორიტეტად?
- რატომ არის მნიშვნელოვანი მორალური პრინციპების ერთგულება? რა გზას გადის გმირი ამ ერთგულების გამო?
- რამდენად დამეხმარება ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში წარმოჩენილი ისტორიული და სოციოკულტურული რეალიები რიგი საკითხების სწორად გააზრებაში?

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები:**

- უძველესი პერიოდის (V-X სს-ის) ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ჰაგიოგ-რაფიულ ლიტერატურას (ეკლესიის წმინდანთა „ცხოვრებებსა“ და „წამებებს“), რომელიც სასულიერო მწერლობის ერთ-ერთი დარგია.
- ჰაგიოგრაფიის გმირი წარმოადგენს სულიერ ავტორიტეტს, რომელიც ეძიებს ხსნის გზებს და თავისი მოქმედებებითა და ღვაწლით იმეორებს/ ჰბაძავს ქრისტიანულ ლიტერატურაში აღწერილ საკრალურ მაგალითებს, რაც განაპირობებს ამ ჟანრის ლიტერატურის ინტერტექსტუალობას.
- ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია გმირის ღვაწლის არსსა და ზედროულ მნიშვნელობა-ზე, რაც განაპირობებს საერთო ლიტერატურულ მოტივებს, სიუჟეტებისა და სხვა ელემენტების მსგავსებას.
- ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა წარმოადგენს მდიდარ წყაროს ისტორიული და სოციოკულტურული რეალიების (მაგ., რელიგიის ისტორიის, შესაბამისი ეპოქის სოციალური ფენების, რელიგიური და კულტურული წარმოდგენების) შესასწავლად.

| კომპლექსური დავალებები (დასახელება) | სამიზნე ცნებები და ქვეცნებები | საკითხები | საკვანძო შეკითხვები |
|---|---|---|---|
| 1. სინთეზური ესე | **კომპოზიცია** – თემა, თვალ-საზრისი, მაგალითები;<br>**ენობრივ-გამომსახველო-ბითი საშუალებები:** თეზისი, არგუმენტები;<br>**ჟანრი:** სინთეზური ესე, მისი სტრუქტურა და მახასიათებლე-ბი. | „შუშანიკის წამების“ ტექსტსა და რუბრიკა „გაიფართოვე თვალ-საწიერში“<br>თავმოყრილ ინფორ-მაციაზე დაყრდნო-ბით სინთეზური ესეს დაწერა. | • როგორ ავაგო სინთეზური ესე?<br>• როგორ წარმოვაჩინო და დავასაბუთო ჩემი მოსაზრე-ბები პრინციპების ერთ-გულების გამო ადამიანის თავგანწირვის შესახებ?<br>• როგორ გამოვიყენო წაკითხული ლიტერატურის ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება ჩემი შეხედ-ულების დასასაბუთებლად? |

| | | | |
|---|---|---|---|
| **2. პრეზენტაცია – ნაწარმოების ავტორი, მწერლის ენა და ეპოქა** | **ენობრივ-გამომსახველობითი** – თემა, მიზანი, აუდიტორია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები.<br>**კონტექსტი** – თხზულების თანადროული ეპოქის ისტორიული ვითარება/ისტორიული რეალიები, საზოგადოებრივი ცხოვრების რეალიები; ეპოქისთვის დამახასიათებელი თემატიკა/პრობლემატიკა, ღირებულებები;<br>მწერლის ბიოგრაფიის კონკრეტული ფაქტები, მოვლენები, სოციალური გარემო. | ნაწარმოების შექმნის დროისა და იოანე საბანისძის ტექსტში მოცემული ბიოგრაფიული ელემენტების საფუძველზე ზეპირი პრეზენტაციის მომზადება. | • როგორ ავაგო ზეპირი პრეზენტაცია ტექსტში მოცემული კონკრეტული ფაქტების/მინიშნებებისა და ეპოქის გათვალისწინებით?<br>• როგორ დავაკვირდე მწერლის ენას?<br>• როგორ წარმოვაჩინო კონტექსტის ზეგავლენა ნაწარმოებზე?<br>• როგორ გამოვიყენო საკომუნიკაციო სიტუაციის მახასიათებლების ცოდნა წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად? |
| **3. პერსონაჟის უბის წიგნაკის შექმნა (მემუარული ტექსტი)** | **კომპოზიცია:** პერსონაჟები, მათი ქცევა, მოტივაცია, შინაგანი სამყარო – ფასეულობები, დამოკიდებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ემოციები, მეტყველება, ურთიერთობები \სხვა პერსონაჟებთან;<br>**კონტექსტი:** კონკრეტული ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი, კულტურული არეალი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციოკულტურული რეალიები, ფასეულობები.<br>**ჟანრი:** მემუარული ლიტერატურა და მისი მახასიათებლები. | ნაწარმოების II-III თავებიდან შერჩეული ყველაზე მნიშვნელოვანი და საკვანძო 3 ეპიზოდის მიხედვით აბო თბილელის უბის წიგნაკის შექმნა. | • როგორ, რა ხერხების გამოყენებით დავწერო მემუარული ტექსტი – მთავარი გმირის უბის წიგნაკი?<br>• როგორ გავითვალისწინო აბო თბილელთან დაკავშირებული მინიშნებები უბის წიგნაკის შედგენისას?<br>• როგორ წარმოვაჩინო აბო თბილელის სახის ჩემეული ინტერპრეტაცია? |
| **4. მწერლის ენაზე დაკვირვება – ანალიზის დაწერა** | **ენობრივ-გამომსახველობითი** – ტროპის სახეები, მრავლობითი რიცხვის გამომხატველი სიტყვები და ფრაზები, მსაზღვრელ-საზღვრული. | ორი ნაწარმოებიდან („შუშანიკის წამება“, „აბოს წამება“) კონკრეტული ამონარიდების მიხედვით მწერალთა ენაზე დაკვირვება და ანალიზის დაწერა. | • როგორ გავაანალიზო მწერლების მიერ გამოყენებული ტროპის სახეები?<br>• როგორ გამოვიყენო მწერლის ენაზე დასაკვირვებლად შესწავლილი გრამატიკული საკითხები? |
| **გრძელვადიანი მიზნები**<br><br>**სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები** | **საკითხი:** „შუშანიკის წამების“ ტექსტსა და რუბრიკა „გაიფართოვე თვალსაწიერში“ თავმოყრილ ინფორმაციაზე დაყრდნობით სინთეზური ესეს დაწერა.<br><br>**ცნებები**<br>კომპოზიცია – თემა, იდეა.<br><br>**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები:** თეზისი, არგუმენტები;<br><br>**ჟანრი:** სინთეზური ესე, მისი სტრუქტურა და მახასიათებლები. | **საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები**<br>• როგორ ავაგო სინთეზური ესე?<br>• როგორ წარმოვაჩინო და დავასაბუთო ჩემი მოსაზრებები პრინციპების ერთგულების გამო ადამიანის თავგანწირვის შესახებ?<br>• როგორ გამოვიყენო წაკითხული ლიტერატურის ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება ჩემი შეხედულების დასასაბუთებლად? | **შუალედური სასწავლო მიზანი**<br><br>**კომპლექსური დავალების პირობა** |

| | | |
|---|---|---|
| **1) ჟანრი**<br>(ქართ.საშ.1,4,6,7)<br>1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.<br>2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის გასააზრებლად, ტექსტების შესადგენად. | **კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):**<br><br>**I ეტაპი: კომპლექსური დავალების გაცნობა**<br>• როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?<br>• რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?<br>• სახელმძღვანელოში მოცემული რომელი რუბრიკები დაგჭირდებათ დავალების შესრულებისას?<br>• თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ? რის შესწავლა დაგჭირდებათ / რაში დაგჭირდებათ დახმარება? | **კომპლექსური დავალება:<br>სინთეზური ესე**<br>„შუშანიკის წამების“ ტექსტსა და რუბრიკა „გაიფართოვე თვალსაწიერში“თავმოყრილ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაწერე სინთეზური ესე:<br>*ადამიანები, რომლებიც ერთგულობენ რწმენას, პრინციპს, საკუთარ შეხედულებებს და სიცოცხლის ფასად იცავენ მათ – გმირებად ირაცხებიან.* |
| **2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**<br>(ქართ.საშ.1,3,4,6,7)<br>1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის ერთობლიობა:<br>• ლექსში – თემის, იდეის, მხატვრული საშუალებების, სხვა სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების – მეტრის, რითმის;<br>• პოემაში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, მოქმედების დროისა და ადგილის, პერსონაჟთა სახეების, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების – მეტრისა და რითმის;<br>• მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, მოქმედების დროისა და ადგილის, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების;<br>• არამხატვრულ ტექსტებში – იდეების/საკითხების, თემის, ხედვის კუთხის, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების;<br><br>2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო | **II ეტაპი. კომპლექსური დავალების განხორციელება**<br>**აქტივობები:**<br>**აქტივობა 1.** ტექსტის გააზრებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში „ტექსტის გასააზრებლად“ (გვ.15)<br>**აქტივობა 2.** ტექსტის კვლევა: ცალკეულ ეპიზოდებზე დაკვირვება, მსჯელობა მთავარ და მეორეხარისხოვან პერსონაჟებზე.<br>**აქტივობა 3.** ზეპირი მოხსენება – ჰაგიოგრაფიული გმირის ცხოვრების ერთი ეტაპი (პერსონაჟის ფიზიკური თუ სულიერი მდგომარეობა. ჰაგიოგრაფიული გმირის მოწამეობრივი გზის უმნიშვნელოვანესი ეტაპის გააზრება).<br>**აქტივობა 4.** რუბრიკა „მედიაწიგნიერების“ დამუშავება.<br>**აქტივობა 5.** რუბრიკა „გაიფართოვე თვალსაწიერის“ გაცნობა და რუბრიკაში მითითებულ კითხვებზე პასუხი გაცემა.<br>**აქტივობა 6.** თემატურ პარალელზე მსჯელობა რუბრიკაში მოცემული კითხვების საშუალებით (დამატებითი საკითხავი).<br>**აქტივობა 7.** სინთეზურის ესეს თეორიის გაცნობა და დამუშავება რუბრიკაში მოცემული სავარჯიშოს დახმარებით.<br>**აქტივობა 8.** რუბრიკაში „ჩვენ გირჩევთ“ მოცემული სინთეზურ ესეზე მუშაობის სტრატეგიების გაცნობა-გაანალიზება.<br>**აქტივობა 9.** უშუალოდ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა.<br>• იდეების წამოყენება მოსამზადებელ დავალებასთან დაკავშირებით;<br>• პირველადი ვერსიის შექმნა;<br>• საბოლოო ვერსიის მომზადება;<br>• დავალების წარდგენა, უკუკავშირის მიღება.<br><br>**კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასასმელი შეკითხვების ბანკი<br>(შეირჩევა საჭიროებისამებრ):** | დაეთანხმე ან უარყავი მოცემული მოსაზრება. შენი თვალსაზრისი დაასაბუთე.<br>წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.<br><br>**ნამუშევარში:**<br>• არგუმენტირებულად გადმოეცი საკუთარი თვალსაზრისი მოცემულ თეზისზე; თვალსაზრისის გადმოცემისა და არგუმენტირებისას გამოიყენე პირობაში მითითებული მასალა; (კომპოზიცია, კონტექსტი, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები)<br>• მითითებული მასალიდან მოიყვანე კონკრეტული მაგალითები, რომლებითაც დაასაბუთებ შენს მოსაზრებებს (ჟანრი);<br>• დაიცავი ესეს სამი ნაწილი: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა (ჟანრი, კომპოზიცია).<br><br>**ნამუშევრის პრეზენტაციისას წარმოაჩინე:**<br>• რატომ არის შენი ნაშრომი სინთეზური ესე?<br>• რა ხერხები და საშუალებები გამოიყენე მკითხველის დასარწმუნებლად; რომელ მათგანს გამოარჩევდით და რატომ?<br>• სახელმძღვანელოს ამ ნაწილში თავმოყრილი რომელი მასალა გამოიყენე შენი პოზიციისა და არგუმენტების ჩამოსაყალიბებლად? რა ფორმით? |

| | | | |
|---|---|---|---|
| ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით.<br><br>3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების უფრო ღრმად/მრავალმხრივად გააზრებისთვის, მისი ახლებურად ინტერპრეტირებისთვის.<br><br>4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი ელემენტების, ასევე სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად. | • აღწერეთ, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი, რა ნაბიჯები გადადგით, რა თანამიმდევრობით;<br>• რა დაბრკოლებებს წააწყდით დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერით? რატომ ვერ გადაჭერით? როგორ მოიქცევით მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრათ? რა გაგიძნელდათ, რა გაგიადვილდათ? რატომ?<br>• მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებიათ?<br>• რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვთ დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყოთ წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხათ?<br>• თქვენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად თქვენი ყურადღება? რატომ? რით?<br>• რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდეთ დავალებაზე მუშაობას?<br>• როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებდით მიღწევებს/როგორ მიაღწევთ უკეთეს შედეგს? | | |
| **3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**<br>(ქართ.საშ.4,6,7)<br>1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.<br>2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.<br>3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. | **საკითხი**<br>ნაწარმოების შექმნის დროისა და იოანე საბანისძის ტექსტში მოცემული ბიოგრაფიული ელემენტების საფუძველზე ზეპირი პრეზენტაციის მომზადება.<br><br>**ცნებები/ქვეცნებები**<br>**ენობრივ-გამომსახველობითი** – თემა, მიზანი, აუდიტორია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები.<br>**კონტექსტი** – თხზულების თანადროული ეპოქის ისტორიული ვითარება/ისტორიული რეალიები, საზოგადოებრივი ცხოვრების რეალიები; ეპოქისთვის დამახასიათებელი თემატიკა/პრობლემატიკა, ღირებულებები; მწერლის ბიოგრაფიის კონკრეტული ფაქტები, მოვლენები, სოციალური გარემო. | **საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები**<br>• როგორ ავაგო ზეპირი პრეზენტაცია ტექსტში მოცემული კონკრეტული ფაქტების/მინიშნებებისა და ეპოქის გათვალისწინებით?<br>• როგორ დავაკვირდე მწერლის ენას?<br>• როგორ წარმოვაჩინო კონტექსტის ზეგავლენა ნაწარმოებზე?<br>• როგორ გამოვიყენო საკომუნიკაციო სიტუაციის მახასიათებლების ცოდნა წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად? | **შუალედური სასწავლო მიზანი**<br><br>**კომპლექსური დავალების პირობა** |
| **4) კონტექსტი**<br>(ქართ.საშ.2,5)<br>1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.<br>2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა. | **კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):**<br>**I ეტაპი: კომპლექსური დავალების გაცნობა**<br>• როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?<br>• რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?<br>• თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ? რის შესწავლა დაგჭირდებათ / რაში დაგჭირდებათ დახმარება? | | **კომპლექსური დავალება – ნაწარმოების ავტორი, მწერლის ენა და ეპოქა**<br><br>„აბოს წამების“ შესავალი წერილებისა და I თავის მიხედვით მომზადე პრეზენტაცია თემაზე - ნაწარმოების ავტორი და ეპოქა.<br><br>პრეზენტაციაში შეგიძლია გამოიყენოთ ვიზუალური მასალა (მაგ., სლაიდები, სქემა, ცხრილი...). მეტყველებისას დაიცავი სალიტერატურო ენის ნორმები.. |

| | | |
|---|---|---|
| 3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად. | **II ეტაპი: კომპლექსური დავალების განხორციელება**<br>**აქტივობები:**<br>**აქტივობა 1.** რუბრიკაში „კითხვის დაწყებამდე“ ქვერუბრიკების დამუშავება: როგორ დაიწერა აბოს წამება და ავტორი.<br>**აქტივობა 2.** ავტორის შესახებ ორმხრივ ჩანაწერთა დღიურის შევსება.<br>**აქტივობა 3.** ტექსტის გააზრებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში „ ტექსტის გასააზრებლად“ (გვ.60-61)<br>**აქტივობა 4.** – რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“ – ქართველთა მაშინდელი ყოფასა და ავტორის შეხედულებებზე დაკვირვება.<br><br>**აქტივობა 5.** მწერლის ენა და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები<br>მუშაობა კითხვებით:<br>დააკვირდი, როგორია ამ მწერლის ენა, სტილი?<br>მისმა რომელმა სიტყვებმა მიიქცია შენი ყურადღება და რატომ?<br>ავტორის რომელი ნათქვამი აღმოჩნდა ყველაზე მარტივად გასაგები?<br>შენთვის რომელი ფრაზა წარმოაჩენს იოანე საბანისძის შინაგან სამყაროს?<br>**აქტივობა 6.** – ავტორი კრიტიკოსთა თვალით – არგუმენტირებული მსჯელობა სხვადასხვა შეხედულებაზე იოანე საბანისძის შესახებ;<br>დაკვირვება კონკრეტულ ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებზე.<br>**აქტივობა 7.** რუბრიკაში „ჩვენ გირჩევთ“ მოცემული პრეზენტაციაზე (ავტორი და ეპოქა) მუშაობის სტრატეგიების განხილვა-გაანალიზება.<br>**აქტივობა 8. უშუალოდ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა.**<br>• იდეების წამოყენება მოსამზადებელ დავალებასთან დაკავშირებით;<br>• პირველადი ვერსიის შექმნა;<br>• საბოლოო ვერსიის მომზადება;<br>• დავალების წარდგენა, უკუკავშირის მიღება.<br>**კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ):**<br>• აღწერეთ, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი, რა ნაბიჯები გადადგით, რა თანამიმდევრობით;<br>• რა დაბრკოლებებს წააწყდით დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერით? რატომ ვერ გადაჭერით? როგორ მოიქცევით მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრათ? რა გაგიძნელდათ, რა გაგიადვილდათ? რატომ?<br>• მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებიათ?<br>• რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვთ დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყოთ წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხათ?<br>• თქვენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად თქვენი ყურადღება? რატომ? რით?<br>• რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდეთ დავალებაზე მუშაობას?<br>• როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებდით მიღწევებს/როგორ მიაღწევთ უკეთეს შედეგს? | **ნამუშევრის წარდგენისას:**<br>• გადმოეცი ფაქტობრივი ინფორმაცია იოანე საბანისძის შესახებ (ისაუბრე, როდის, როგორ და რატომ დაწერა „აბოს წამება“); (კონტექსტი)<br>• ტექსტზე დაყრდნობით იმსჯელე იოანე საბანისძის პიროვნების შესახებ, შეაფასე მისი როლი იმდროინდელი და დღევანდელი საზოგადოებისათვის; (კონტექსტი)<br>• წარმოაჩინე, რა ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს იყენებს მწერალი სათქმელის გადმოსაცემად, რამდენად გასაგებია შენთვის, XXI საუკუნის მოქალაქისთვის, მისი ენა; (ენობრივ-გამომსახველობითი)<br>• *მიმოიხილე ნაწარმოების შექმნის ეპოქა, გააანალიზე, მაშინდელი საზოგადოების რა პრობლემები წარმოაჩინა I თავში ავტორმა; (კონტექსტი)<br>• *გაითვალისწინე მსმენელთა ინტერესი და შეარჩიე მეტყველების შესაბამისი სტილი. (ენობრივ- გამომსახველობითი)) |

<table>
<tr>
<td></td>
<td>საკითხი<br><br>ნაწარმოების II-III თავე-ბიდან შერჩეული ყველაზე მნიშვნელოვანი და საკვან-ძო 3 ეპიზოდის მიხედვით აბო თბილელის უბის წიგნაკის შექმნა.<br><br>ცნებები/ქვეცნებები:<br>კომპოზიცია: პერსო-ნაჟები, მათი ქცევა, მოტი-ვაცია, შინაგანი სამყარო – ფასეულობები, დამოკი-დებულებები; პიროვნული მახასიათებლები, ემოციე-ბი, მეტყველება, ურთიერ-თობები\სხვა პერსონაჟებ-თან;<br>კონტექსტი: კონკრე-ტული ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი, კულ-ტურული არეალი, საზო-გადოებრივ-პოლიტიკური და სოციოკულტურული რეალიები,ფასეულობები.<br>ჟანრი: მემუარული ლიტერატურა და მისი მახასიათებლები.</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები<br><br>• როგორ, რა ხერხების გამოყენებით დავწერო მემუარული ტექსტი – მთავარი გმირის უბის წიგნაკი?<br>• როგორ გავითვალის-წინო აბო თბილელთან დაკავშირებული მინიშ-ნებები უბის წიგნაკის შედგენისას?<br>• როგორ წარმოვაჩინო აბო თბილელის სახის ჩემეუ-ლი ინტერპრეტაცია?</td>
<td>შუალედური სასწავლო მიზანი<br><br>კომპლექსური დავალების პირობა</td>
</tr>
<tr>
<td></td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):<br><br>I ეტაპი: კომპლექსური დავალების გაცნობა<br>• როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოით-ხოვს თქვენგან დავალება?<br>• რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?<br>• თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელ-დებათ? რის შესწავლა დაგჭირდებათ / რაში დაგჭირდე-ბათ დახმარება?<br><br>II ეტაპი: კომპლექსური დავალების განხორციელე-ბა<br>აქტივობები:<br>აქტივობა 1. ტექსტის გააზრებაზე მიმართული ინტერაქ-ცია რუბრიკაში „ტექსტის გასააზრებლად“ (გვ. 68)<br>აქტივობა 2. ტექსტი, კონტექსტი, ინტერპრეტაცია – ჰაგიოგრაფიული ტექსტი, როგორც ისტორიული წყარო – დამუშავება და მსჯელობა;<br>აქტივობა 3. 5 წუთიანი ესე – ფიქრები აბო თბილელის შესახებ;<br>აქტივობა 4. მსჯელობა ლიტერატორის შეხედულებაზე (ამონარიდი ოქტაი ქაზუმოვის სტატიიდან „აბოს „ღა-ლატი“)<br>აქტივობა 5. შინაგანი მონოლოგი – აბო თბილელის ფიქრები გარდაუვალი სიკვდილის წინ – პერსონაჟის განცდების წარმოდგენა.<br>აქტივობა 6. რუბრიკა „გაიფართოვე თვალსაწიერის“ მიხედვით დაწერის თარიღზე მსჯელობა;<br>აქტივობა 7: რუბრიკაში „ჩვენ გირჩევთ“ მოცემული „ჟან შარდენის ჩანაწერების“ საფუძველზე ჟანრის თავისებუ-რებებზე დაკვირვება და ანალოგიური ჟანრის ნაწარმოე-ბის შექმნის სტრატეგიების შემუშავება.</td>
<td>პერსონაჟის უბის წიგ-ნაკის შექმნა (მემუა-რული ტექსტი)<br>წინა კლასებიდან შენთვის უკვე ცნობილია მემუარუ-ლი ჟანრის ლიტერატურა და მისი მახასიათებლები.<br>ამჯერად შექმენი აბოს თბილელის უბის წიგნაკი, მოამზადე ჩანაწერები შემდეგნაირად: II-III თავე-ბიდან შეარჩიე შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საკვანძო 3 ეპიზოდი და გადმოეცი თითოეული მთავარი გმირის, აბოს, პერსპექტივიდან.<br><br>ნამუშევარში:<br>• წარმოაჩინე აბო თბილელის განცდები, ფიქრები, სურვილები, ქცევის მოტივაცია შენი წარმოსახვით ისე, რომ არ დაშორდე ეპოქას, ტექსტის კონტექსტს, ნაწარმოებში გადმოცე-მულ ფაქტებს; (კონტე-ქსტი, კომპოზიცია)<br>• ასახე აბო თბილელისა და სხვა პერსონაჟების ურთიერთმიმართება, დამოკიდებულებები; (კომპოზიცია)</td>
</tr>
</table>

<table>
<tr>
<td></td>
<td colspan="2">აქტივობა 8. უშუალოდ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა.<br>• იდეების წამოყენება მოსამზადებელ დავალებასთან დაკავშირებით;<br>• პირველადი ვერსიის შექმნა;<br>• საბოლოო ვერსიის მომზადება;<br>• დავალების წარდგენა, უკუკავშირის მიღება.<br><br>კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ):<br>• აღწერეთ, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი, რა ნაბიჯები გადადგით, რა თანამიმდევრობით;<br>• რა დაბრკოლებებს წააწყდით დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერით? რატომ ვერ გადაჭერით? როგორ მოიქცევით მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრათ? რა გაგიძნელდათ, რა გაგიადვილდათ? რატომ?<br>• მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებიათ?<br>• რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვთ დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყოთ წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხათ?<br>• თქვენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად თქვენი ყურადღება? რატომ? რით?<br>• რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდეთ დავალებაზე მუშაობას?<br>• როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებდით მიღწევებს/როგორ მიაღწევთ უკეთეს შედეგს?</td>
<td>• წარმოადგინე აბოს თვალით დანახული საქართველო, ქართული საზოგადოება, მისი, როგორც უცხოელის შთაბეჭდილებები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობისას (რა შეიძლებოდა ენახა, მაგ., იმ დროის თბილისში, ხაზარეთისკენ მიმავალ გზაზე, აფხაზეთში); (კონტექსტი)<br>• გაითვალისწინე მემუარული ჟანრის ტექსტის მახასიათებლები (პირველ პირში თხრობა, სინამდვილის ასახვა, დათარიღება და ა.შ.); (ჟანრი)<br><br>ნამუშევრის პრეზენტაციისას წარმოაჩინე:<br>• რა ადასტურებს, რომ შენ მიერ დაწერილი ტექსტი მემუარული ჟანრისაა?<br>• რომელ მინიშნებებს დაეყრდენი აბო თბილელის განცდების, ფიქრების, სურვილებისა და ქცევის მოტივაციის წარმოსაჩენად და რა ახალი დეტალებით/ნიუანსებით გაამდიდრე პერსონაჟის სახე?<br>• რა ხერხებით წარმოაჩინე უბის წიგნაკში ეპოქის თავისებურებები?<br><br>შენიშვნა: სასურველია, უბის წიგნაკს დაურთო ჩანახატები, დიაგრამები, მარშრუტის აღწერილობა, აბოს ხელით შედგენილი რუკა.</td>
</tr>
<tr>
<td></td>
<td>საკითხი:<br>ორი ნაწარმოებიდან („შუშანიკის წამება“, „აბოს წამება“) კონკრეტული ამონარიდების მიხედვით მწერალთა ენაზე დაკვირვება და ანალიზის დაწერა.<br>ცნება/ქვეცნებები:<br>ენობრივ-გამომსახველობითი – ტროპის სახეები, მრავლობითი რიცხვის გამომხატველი სიტყვები და ფრაზები, მსაზღვრელ-საზღვრული</td>
<td>საკვანძო შეკითხვები:<br>• როგორ გავაანალიზო მწერლების მიერ გამოყენებული ტროპის სახეები?<br>• როგორ გამოვიყენო მწერლის ენაზე დასაკვირვებლად შესწავლილი გრამატიკული საკითხები?</td>
<td>შუალედური სასწავლო მიზანი<br><br>კომპლექსური დავალების პირობა</td>
</tr>
<tr>
<td></td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):<br>I ეტაპი: კომპლექსური დავალების გაცნობა<br>• რომელი გრამატიკული საკითხები შევისწავლეთ?<br>• რამდენად დავინახეთ განსხვავება ამ საკითხების დახმარებით ძველსა და ახალ ქართულს შორის?<br>• რამდენად გვეხმარება ნაწარმოების უკეთ გაგება-გააზრებაში მწერლის ენაზე დაკვირვება?</td>
<td>მწერლის ენაზე დაკვირვება – ანალიზის დაწერა<br>წაიკითხე მოცემული მონაკვეთები ყურადღებით, დააკვირდი მწერლის ენას და დაწერე მოკლე ანალიზი.</td>
</tr>
</table>

**II ეტაპი: კომპლექსური დავალების განხორციელება**

**აქტივობები:**

**აქტივობა 1.** მწერლის ენა და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები( გვ.62)

**აქტივობა 2.** განყოფილება „ენის სამყაროში“ ( გვ.90-92) განხილული თეორიული მასალისა და სავარჯიშოების შესრულება.

**აქტივობა 3.** უშუალოდ კომპლექსურ დავალებაზე

მუშაობა.

- იდეების წამოყენება მოსამზადებელ დავალებასთან დაკავშირებით; პირველადი ვერსიის შექმნა;
- საბოლოო ვერსიის მომზადება;
- დავალების წარდგენა, უკუკავშირის მიღება.

**კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში**

**მასწავლებლის მიერ დასასმელი შეკითხვების**

**ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ):**

- აღწერეთ, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი, რა ნაბიჯები გადადგით, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდით დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- როგორ გადაჭერით? რატომ ვერ გადაჭერით?
- როგორ მოიქცევით მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრათ?
- რა გაგიძნელდათ, რა გაგიადვილდათ? რატომ?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებიათ?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვთ დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით?
- რამ შეგიწყოთ წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხათ?
- თქვენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად თქვენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდეთ დავალებაზე მუშაობას?
- როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებდით მიღწევებს/როგორ მიაღწევთ უკეთეს შედეგს?

**„შუშანიკის წამება“**

„ღუაწლსა დიდსა შესლვად ხარ, დედოფალო, ეკრძალე სარწმუნოებასა ქრისტჱსსა, ნუუკუე მტერმან ვითარცა სრსჳლმან საძოვარი პოოს შენ თანა.“

„შენ ჩემი ხატი დაამჴუ და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ, და შენი ადგილი დაგიტევებიეს, და სხუად წარსრულ ხარ.“

„ვითარცა კრავი მგელსა, გამოუღო ჴელთა მისთა. და ვითარცა მკუდარი იდვა წმიდაჲ შუშანიკ ქუეყანასა ზედა.“

„მიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააჭნო, შუენიერებაჲ სიკეთისა ჩემისაჲ დააბნელა და დიდებაჲ ჩემი დაამდაბლა. და ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემ შორის.“

„ესე ყოველი ცხორებაჲ ვითარცა ყუავილი ველთაჲ წარმავალ არს და დაუდგრომელ, და ვინ სთესა – მოიმკო და ვინ განაბნია გლახაკთათჲს – შეიკრიბა, და რომელმან წარიწყმიდოს თავი თჳსი, მან პოოს იგი, რომელმან ადიდა იგი.“

„აბოს წამება“

„რომელნი ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა ქუეშე დამონებულ[ნი] და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძჳრ-ძჳრად ზღვეულნი, შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა.“

„რაჲ გეგულების ჩემ ზედა, იქმოდე, რამეთუ მე, ვითარცა კედელსა მაგას, რომელსა მიყრდნობილ ხარ, ეგრე არა მესმიან ცუდნი ეგე სიტყუანი შენნი. რამეთუ გონებაჲ ჩემი ქრისტჱს თანა არს ზეცას!“

**ნამუშევარში:**

- გადმოეცი, ტროპის რომელი სახეებია ტექსტში გამოყენებული, დააჯგუფე ისინი.
- ისაუბრე, აღნიშნული ტროპის სახეები რა ემოციებს აღძრავს მკითხველში.
- ამოწერე მრავლობითი რიცხვის გამომხატველი სიტყვები და ფრაზები.
- როგორ მსაზღვრელ-საზღვრულს იყენებენ ჰაგიოგრაფი ავტორები? ამოწერე პირდაპირი და შებრუნებული წყობის მსაზღვრელ-საზღვრულები;
- ამოწერილი მსაზღვრელ-საზღვრულები შეადარე ახალ ქართულ ენას, გამოიყენება თუ არა მსგავსი ფორმები დღეს?

**ნამუშევრის წარდგენისას:**

- რამდენად დაგეხმარა ენობრივ-გამომსახველობით და გრამატიკულ საშუალებებზე დაკვირვება მწერლის ენის უკეთ გააზრებაში?
- რა აღმოაჩინე ახალი ნაწარმოებში გრამატიკულ საშუალებებზე დაკვირვების შედეგად ძველსა და ახალ ქართულთან მიმართებით?

# II თავი – უდაბნოთა ქალაქმყოფელი

▶ მატრიცის ჩამოტვირთვა შეგიძლიათ აქ:

**ტექსტი: გიორგი მერჩულის** „ცხოვრებაჲ წმიდისა გრიგოლისა“
**თემა:** უდაბნოთა ქალაქმყოფელი

**კლასი:** მე-10

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**

- რატომ არის მნიშვნელოვანი ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის გაცნობა?
- რა განსაზღვრავს ამ ლიტერატურის ზედროულ მნიშვნელობას?
- როგორ მოგვითხრობს ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა ადამიანების ცხოვრების გზაზე, მრავალფეროვან ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე? რა მიმართებაა ჰაგიოგრაფიაში ასახულ ცხოვრებას/ ადამიანებსა და რეალურ ცხოვრებას/ ადამიანებს შორის?
- რის გამო მიიჩნევა ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის გმირი სულიერ ავტორიტეტად?
- როგორ/რა გზებით შეუძლია ცალკეულ ადამიანს, ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის გმირს, წვლილის შეტანა ქვეყნის ცხოვრებაში?
- რამდენად დამეხმარება ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში წარმოჩენილი ისტორიული და სოციოკულტურული რეალიები რიგი საკითხების სწორად გააზრებაში?

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები:**

- უძველესი პერიოდის (V-X სს-ის) ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურას (ეკლესიის წმინდანთა „ცხოვრებებსა“ და „წამებებს“), რომელიც სასულიერო მწერლობის ერთ-ერთი დარგია.
- ჰაგიოგრაფიის გმირი წარმოადგენს სულიერ ავტორიტეტს, რომელიც ეძიებს ხსნის გზებს და თავისი მოქმედებებითა და ღვაწლით იმეორებს/ ჰბაძავს ქრისტიანულ ლიტერატურაში აღწერილ საკრალურ მაგალითებს, რაც განაპირობებს ამ ჟანრის ლიტერატურის ინტერტექსტუალობას.
- ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია გმირის ღვაწლის არსსა და ზედროულ მნიშვნელობაზე, რაც განაპირობებს საერთო ლიტერატურულ მოტივებს, სიუჟეტებისა და სხვა ელემენტების მსგავსებას.
- ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა წარმოადგენს მდიდარ წყაროს ისტორიული და სოციოკულტურული რეალიების (მაგ., რელიგიის ისტორიის, შესაბამისი ეპოქის სოციალური ფენების, რელიგიური და კულტურული წარმოდგენების) შესასწავლად.

| კომპლექსური დავალებები (დასახელება) | სამიზნე ცნებები და ქვეცნებები | საკითხები | საკვანძო შეკითხვები |
|---|---|---|---|
| 1. სამოტივაციო სიტყვა | **კომპოზიცია** – თემა, იდეა; პერსონაჟი, მისი თვისებები, დამოკიდებულებები, შეხედულებები; შესავალი და დასკვნა.<br><br>**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები:** შესაბამისი სტილი, რიტორიკული შეკითხვა, მიმართვა. | გრიგოლის მიერ წარმოთქმული სამოტივაციო სიტყვის შექმნა წერილობით ან ზეპირად (სამონასტრო მშენებლობასთან დაკავშირებით) | • როგორ წარმოვაჩინო, პერსონაჟის დამოკიდებულებები, შეხედულებები, გამოცდილება სამონასტრო მშენებლობასთან დაკავშირებით?<br>• როგორ შევარჩიო შესაბამისი სტილი, რა ენობრივი საშუალებები გამოვიყენო მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად? |
| 2. ტექსტისა და ანიმაციის შედარება (ანალიტიკური ესე) | ჟანრი – ანალიტიკური ესე და მისი მახასიათებლები<br>კომპოზიცია – თემა, იდეა, პერსონაჟი – მისი თვისებები, დამოკიდებულებები, შეხედულებები<br>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები – თეზისი და არგუმენტები, მაგალითები. | ანალიტიკური ესეს დაწერა: ანიმაციის („ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა“) შედარება ტექსტთან („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“) თემაზე, იდეაზე მსჯელობისა და მთავარი პერსონაჟის დახასიათების საფუძველზე. | • როგორ დავწერო ანალიტიკური ესე?<br>• რა კავშირია პერსონაჟსა და ნაწარმოების მთავარ იდეას შორის?<br>• როგორ/რის საფუძველზე შევადარო ერთმანეთს ანიმაცია და ტექსტი?<br>• როგორ გადმოვცე წერილობით ჩემი სათქმელი არგუმენტირებულად? |

**გრძელვადიანი მიზნები**

**სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**

**საკითხი:** გრიგოლის მიერ წარმოთქმული სამოტივაციო სიტყვის შექმნა წერილობით ან ზეპირად (სამონასტრო მშენებლობასთან დაკავშირებით)

**ცნებები**

**კომპოზიცია** – თემა, იდეა; პერსონაჟი, მისი თვისებები, დამოკიდებულებები, შეხედულებები; შესავალი და დასკვნა.

**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები:** შესაბამისი სტილი, რიტორიკული შეკითხვა, მიმართვა.

**საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები**

- როგორ წარმოვაჩინო, პერსონაჟის დამოკიდებულებები, შეხედულებები, გამოცდილება სამონასტრო მშენებლობასთან დაკავშირებით?
- როგორ შევარჩიო შესაბამისი სტილი, რა ენობრივი საშუალებები გამოვიყენო მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად?

**შუალედური სასწავლო მიზანი**

**კომპლექსური დავალების პირობა**

---

**1) ჟანრი**

(ქართ.საშ.1,4,6,7)

1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.

2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის გასააზრებლად, ტექსტების შესადგენად.

**2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**

(ქართ.საშ.1,3,4,6,7)

1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის ერთობლიობა:

- ლექსში – თემის, იდეის, მხატვრული საშუალებების, სხვა სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების – მეტრის, რითმის;
- პოემაში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, მოქმედების დროისა და ადგილის, პერსონაჟთა სახეების, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების – მეტრისა და რითმის;

**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):**

**I ეტაპი: კომპლექსური დავალების გაცნობა**

- როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- სახელმძღვანელოში მოცემული რომელი რუბრიკები დაგჭირდებათ დავალების შესრულებისას?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ? რის შესწავლა დაგჭირდებათ / რაში დაგჭირდებათ დახმარება?

**II ეტაპი. კომპლექსური დავალების განხორციელება**

**რესურსები/აქტივობები:**

**აქტივობა 1.** ტექსტის გააზრებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში „ ტექსტის გასააზრებლად“ (გვ.105-106)

**აქტივობა 2. პერსონაჟის რუკის შევსება (გრიგოლის დახასიათება). წარდგენა კლასის წინაშე და მოსაზრებების შეჯერება.**

**რესურსი 1.** პერსონაჟის რუკა

| გრიგოლის დახასიათება | განათლება | უნარები | თვისებები | მიზნები |
|---|---|---|---|---|
| ციტატები ტექსტიდან | | | | |
| შენი კომენტარი – ციტატის ანალიზი | | | | |

**აქტივობა 3** – გრიგოლ ხანძთელის გალაქტიკის შექმნა – პერსონაჟთა როლისა და ურთიერთდამოკიდებულების გარკვევისთვის.

**აქტივობა 4.** სამოტივაციო სიტყვა და მის მახასიათებლებზე დაკვირვება.

**რესურსი 2** – ადმირალ უილიამ ჰ. მაკრეივენის მიმართვა სტუდენტებისადმი, ვიდეორგოლი: https://www.myvideo.ge/v/3581721

**აქტივობა 5.** რუბრიკის **„ჩვენ გირჩევთ“** – ზეპირმეტყველების სტრატეგიები გაცნობა – დამუშავება (როგორ მოამზადონ სამოტივაციო სიტყვა).

**სამოტივაციო სიტყვის შექმნა (წერილობით ან ზეპირად)**

შენ უკვე იცი, რა გზა გაიარა გრიგოლმა სამონასტრო ცხოვრების დაწყებისას, რა გამოცდილება შეიძინა, რა წინააღმდეგობები შეხვდა. ბევრ სიტუაციაში გამოჩნდა მისი ავტორიტეტი.

წარმოიდგინე თავი გრიგოლის ადგილას, რომელიც სამოტივაციო სიტყვით მიმართავს სულიერ ძმებს, ადამიანებს, რომელთაც, ქრისტეფორესა და თეოდორეს მსგავსად, მონასტერთა შენების „საღვთო შური“ ამოძრავებთ.

**ნამუშევარში:**

- წარმოაჩინე გრიგოლის შეხედულება სამონასტრო აღმშენებლობის მნიშვნელობაზე; (კომპოზიცია)
- აჩვენე მისი გამოცდილება ამ გზაზე: სავარაუდო წინააღმდეგობები და რჩევები მათ დასაძლევად; (კომპოზიცია)
- მკაფიოდ გამოკვეთე გრიგოლის დამოკიდებულება თავისი სულიერი ძმების მიმართ; (კომპოზიცია)
- გაითვალისწინე აუდიტორია, წარმოსახვითი მსმენელების ინტერესები და შეარჩიე მეტყველების შესაბამისი სტილი; (ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები)

<table>
<tr>
<td>• მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, მოქმედების დროისა და ადგილის, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების;<br><br>• არამხატვრულ ტექსტებში – იდეების/საკითხების, თემის, ხედვის კუთხის, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების;<br><br>2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით.<br><br>3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების უფრო ღრმად/მრავალმხრივად გააზრებისთვის, მისი ახლებურად ინტერპრეტირებისთვის.<br><br>4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი ელემენტების, ასევე სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.</td>
<td colspan="2">აქტივობა 6. უშუალოდ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა.<br>• იდეების წამოყენება მოსამზადებელ დავალებასთან დაკავშირებით;<br>• პირველადი ვერსიის შექმნა;<br>• საბოლოო ვერსიის მომზადება;<br>დავალების წარდგენა, უკუკავშირის მიღება.<br><br>კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ):<br>• აღწერეთ, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი, რა ნაბიჯები გადადგით, რა თანამიმდევრობით;<br>• რა დაბრკოლებებს წააწყდით დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერით? რატომ ვერ გადაჭერით? როგორ მოიქცევით მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრათ? რა გაგიძნელდათ, რა გაგიადვილდათ? რატომ?<br>• მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებიათ?<br>• რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვთ დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყოთ წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხათ?<br>• თქვენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად თქვენი ყურადღება? რატომ? რით?<br>• რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდეთ დავალებაზე მუშაობას?<br>• როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებდით მიღწევებს/როგორ მიაღწევთ უკეთეს შედეგს?</td>
<td>• ეცადე, მიმართვის ტექსტი იყოს ლოგიკურიც და ემოციურიც, გამოიყენე შესაბამისი ლექსიკა, რიტორიკული შეკითხვა. მიმართვა... (ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები)<br>• გამოიყენე ეფექტური, არაშაბლონური დასაწყისი და დასკვნა; (კომპოზიცია)<br><br>ნამუშევრის პრეზენტაციისას წარმოაჩინე:<br>• რატომ არის შენი ნაშრომი სამოტივაციო სიტყვა?<br>• ტექსტიდან რა მინიშნებებს დაეყრდენი გრიგოლის შეხედულებების, გამოცდილებისა და დამოკიდებულებების საჩვენებლად?<br>• რომელი მხატვრული ხერხები გამოიყენე, მიმართვა რომ ემოციური გამოსულიყო?<br>• რა პრინციპით იხელმძღვანელე ეფექტიანი დასაწყისისა და დასასრულის ჩამოყალიბებისას?</td>
</tr>
<tr>
<td>3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები<br>(ქართ.საშ.4,6,7)<br>1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.<br>2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.<br>3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების აღმოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.</td>
<td>საკითხი/ქვესაკითხები<br>ანალიტიკური ესეს დაწერა: ანიმაციის („ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა“) შედარება ტექსტთან („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“) თემაზე, იდეაზე მსჯელობისა და მთავარი პერსონაჟის დახასიათების საფუძველზე.<br>ცნებები/ქვეცნებები:<br>ჟანრი – ანალიტიკური ესე და მისი მახასიათებლები<br>კომპოზიცია – თემა, იდეა, პერსონაჟი – მისი თვისებები, დამოკიდებულებები, შეხედულებები<br>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები – თეზისი და არგუმენტები, მაგალითები.</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები<br>• როგორ დავწერო ანალიტიკური ესე?<br>• რა კავშირია პერსონაჟსა და ნაწარმოების მთავარ იდეას შორის?<br>• როგორ/ რის საფუძველზე შევადარო ერთმანეთს ანიმაცია და ტექსტი?<br>• როგორ გადმოვცე წერილობით ჩემი სათქმელი არგუმენტირებულად?</td>
<td>შუალედური სასწავლო მიზანი<br><br>კომპლექსური დავალების პირობა</td>
</tr>
</table>

4) კონტექსტი

(ქართ.საშ.2,5)

1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.

2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.

3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად.

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):

I ეტაპი: კომპლექსური დავალების გაცნობა

ნაბიჯი 1.

- როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ? რის შესწავლა დაგჭირდებათ / რაში დაგჭირდებათ დახმარება?

**II ეტაპი: კომპლექსური დავალების განხორციელება**

**რესურსები/აქტივობები:**

**აქტივობა 1.** ტექსტის გააზრებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში „ ტექსტის გასააზრებლად“ (გვ.145)

**აქტივობა 2.** რუბრიკა „კრიტიკული აზროვნებისთვის“ – გრიგოლის, როგორც „უდაბნოთა ქალაქმყოფელის“, ღვაწლის შეფასება (გვ.146)

**აქტივობა 3.** თემატური პარალელი – ბენჯამინ ფრანკლინის ბიოგრაფიის გაცნობა. პარალელების გავლება კითხვების მეშვეობით. პიროვნების ღვაწლი, მისი დამოკიდებულებების, მიზნის მიღწევის გზების ანალიზი.

**აქტივობა 4.** ანიმაციის „ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა“ ნახვა და გაანალიზება.

**რესურსი:** https://www.youtube.com/watch?v=eU6j-4QwGV

**აქტივობა 5.** რუბრიკაში „ჩვენ გირჩევთ“ მოცემული სქემის დახმარებით ტექსტისა და ანიმაციის მთავარ პერსონაჟებზე დაკვირვება და ნაწარმოებთა იდეის გამოკვეთა.

| ნიმუში | „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ | ანიმაცია – „კაცი, რომელიც ხეებს რგავდა“ |
|---|---|---|
| მთავარი პერსონაჟი, მისი თვისებები, დამოკიდებულებები. | | |
| ნაწარმოების იდეა, მთავარი სათქმელი | | |
| მთავარი სათქმელის გადმოცემის ხერხები, რომლებსაც შემოქმედი ირჩევს. | | |

**აქტივობა 6.** უშუალოდ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა.

- იდეების წამოყენება მოსამზადებელ დავალებასთან დაკავშირებით;
- პირველადი ვერსიის შექმნა;
- საბოლოო ვერსიის მომზადება;
- დავალების წარდგენა, უკუკავშირის მიღება.

**ტექსტისა და ანიმაციის შედარება (ანალიტიკური ესე)**

უყურე ანიმაციას „ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა“, გაავლე იდეური პარალელი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასთან“ და დაწერე ანალიტიკური ესე – ტექსტისა და ანიმაციის შედარებითი ანალიზი.

წერისას გამოკვეთე აბზაცები, დაიცავი სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.

**ნამუშევარში:**

- ჩამოაყალიბე, რა არის ანიმაციის მთავარი თემა და სათქმელი; (კომპოზიცია)
- გაავლე პარალელი და იმსჯელე, რა იდეური კავშირია ანიმაციასა და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ შორის (კომპოზიცია);
- ისაუბრე, რა მსგავსებაა ანიმაციის მთავარ გმირსა და გრიგოლ ხანძთელს შორის, დაეყრდენი კონკრეტულ დეტალებს, მინიშნებებს; (კომპოზიცია)
- მოიყვანე კონკრეტული არგუმენტები, მაგალითები და ციტატები ტექსტიდან, რომლებითაც დაასაბუთებ შენს მოსაზრებებს (კომპოზიცია, ჟანრი, ენობრივ-გამომსახველობითი);
- გაითვალისწინე ესეს სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა. (ჟანრი)

**ნამუშევრის პრეზენტაციისას წარმოაჩინე:**

- რატომ მიიჩნევ, რომ შენი ნაშრომი ანალიტიკური ესეა?
- რომელ მინიშნებებზე დაყრდნობით იმსჯელე ნაწარმოებისა და ანიმაციის მთავარ გმირებზე?
- ტექსტისა თუ ანიმაციის რომელი ეპიზოდები გამოიყენე შენი არგუმენტების ჩამოსაყალიბებლად?

| | | |
|---|---|---|
| | **კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პრო-ცესში მასწავლებლის მიერ დასასმელი შეკითხვე-ბის ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ):**<br><br>• აღწერეთ, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი, რა ნაბიჯები გადადგით, რა თანამიმდევ-რობით;<br>• რა დაბრკოლებებს წააწყდით დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერით? რატომ ვერ გადა-ჭერით? როგორ მოიქცევით მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრათ? რა გაგიძნელდათ, რა გაგიად-ვილდათ? რატომ?<br>• მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ? მსგავსი სტრატეგიები გამოგი-ყენებიათ?<br>• რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვთ დავალების კრი-ტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყოთ წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხათ?<br>• თქვენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად თქვენი ყურადღება? რატომ? რით?<br>• რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლა რომ იწყებ-დეთ დავალებაზე მუშაობას?<br>• როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმ-ჯობესებდით მიღწევებს/როგორ მიაღწევთ უკეთეს შედეგს? | |

# III თავი – სიბრძნის წიგნი „ვეფხისტყაოსანი“

▶ მატრიცის ჩამოტვირთვა შეგიძლიათ აქ:

**ტექსტი: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“**
**თემა: სიბრძნის წიგნი „ვეფხისტყაოსანი“**

**ქვეთემები – I ქვეთავი**
დასაწყისი
სტროფები 1-32

**II ქვეთავი**
„იგი წავა და სხვა მოვა
ტურფასა საბაღნაროსა“
(ლიდერი და სახელმწიფო)

**III ქვეთავი**
„გიამბო ჩემი ამბავი,
განა რაზომცა ძნელია“ –
(განდობა – მეგობრობის განმაპირობებელი)

**IV ქვეთავი**
„ბედითი ბნედა, სიკვდილი, რა
მიჯნურობა გგონია“
(სიყვარული და
პასუხისმგებლობა)

**V ქვეთავი**
„დიადი სისხლი უბრალო
კაცმანცა ვით იტვირთაო“
(სიყვარული, განსაცდელი და დანაშაული)

**კლასი: მე-10**

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**

- რა არსებითი სხვაობაა საერო და სასულიერო ლიტერატურას შორის?
- როგორი პერსონაჟების წარმოშობა განაპირობა აზროვნების სეკულარიზაციამ?
- როგორ უნდა ამოვიცნოთ რენესანსული პასაჟები?
- როგორია სამყაროს შეცნობის გზები XII საუკუნის საერო ლიტერატურის პერსონაჟებისთვის? რა თვისებებს ავლენენ რაინდები?
- რამდენად და როგორ უპასუხებს XII საუკუნის ტექსტი კითხვებს, რომლებიც ჩნდება თანამედროვე სამყაროში ზნეობრივ საკითხებთან კავშირებით?

**ქვეთემების საკვანძო კითხვები:**

- როგორია საზოგადოების დამოკიდებულება ლიდერის მიმართ? როგორ და რით ვლინდება ლიდერის პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე?
- რა პასუხისმგებლობას გულისხმობს მეგობრობა? როგორ ავლენენ ადამიანების დამეგობრების სურვილს?
- როგორ შეიძლება ამოვიცნოთ ნამდვილი სიყვარული?
- რამდენად ცვლის/არ ცვლის ადამიანს სიყვარული და რატომ?
- რა მიმართებაა სიყვარულსა და მსხვერპლის გაღებას/სხვის მსახურებას შორის?
- რამდენად უპასუხებს XII საუკუნის ტექსტი კითხვებს, რომლებიც მაქვს სამართლიანობასთან დაკავშირებით?

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები:**

- XII საუკუნიდან მოყოლებული წარმოიშვა ახალი ლიტერატურული ჟანრები (საგმირო-სამიჯნურო ეპოსი, იგავ-არაკები, ლირიკა, ისტორიული პოემა), აზროვნების სეკულარიზაციასთან ერთად დაიბადა ლიტერატურული გმირის/ადამიანის ახალი სახე, რომლისთვისაც დამახასიათებელია რენესანსული იდეალები – ფიზიკური და სულიერი ჰარმონიულობა, თავისუფალი არჩევანის ნების ქონა.
- ლიტერატურული გმირის/ადამიანის ახალი იდეალს აქვს ინდივიდუალური თვისებები, მისთვის სამყარო წარმოადგენს შესწავლის ობიექტს, რისთვისაც ეძიებს საჭირო ცოდნას.

| კომპლექსური დავალე-ბები (დასახელება) | სამიზნე ცნებები და ქვეცნებები | საკითხები | საკვანძო შეკითხვები |
|---|---|---|---|
| 1. მოთხრობის დაწერა (მეორეხარისხოვანი პერსონაჟის მთავარ პერსონაჟად ქცევა) | **ჟანრი** – მოთხრობა და მისი მახასიათებლები;<br>**კომპოზიცია** – თემა, იდეა; პერსონაჟი, მისი თვისებები, დამოკ-იდებულებები, შეხედულე-ბები, სიუჟეტის განვი-თარების საფეხურები;<br>**კონტექსტი** – ტექსტის შექმნის ეპოქა, სოციო-კულტურული რეალიები, ფასეულობები;<br>**ენობრივ-გამომსახვე-ლობითი საშუალებები:** ტროპის სახეები. | მოთხრობის დაწერა, რო-მელშიც შერმადინი მთავარ პერსონაჟად უნდა იქცეს. | • როგორ გარდავქმნა მეორეხარისხოვანი პერსონაჟი შერმადინი, მთავარ პერსონაჟად ჩემ მიერ დაწერილ მოთ-ხრობაში?<br>• როგორ წარმოვაჩინო მოთხრობაში პერსო-ნაჟები, მათი ქმედებები, ფიქრები, ემოციები, მეტყველება, ურთიერთ-დამოკიდებულებები, მოქმედების დრო და ადგილი?<br>• როგორ გამოვიყენო ტროპის სახეები? |
| 2. კამათი წყაროების მოშველიებით | **კომპოზიცია** – თემა, იდეა;<br>**ენობრივ-გამომსახვე-ლობითი საშუალებები –** თეზისი და არგუმენტები, მაგალითები. | კამათის წარმართვა უკვე შესწავლილი წყაროების გამოყენებით. | • როგორ გამოვიყენო კა-მათისას არგუმენტებად წყაროები, რომლებიც შევისწავლე?<br>• როგორ ავაგო არგუმენ-ტირებული მსჯელობა როგორ წარმოვაჩინო და დავასაბუთო ჩემი მოსაზრებები? |
| 3. მწერლის ენაზე დაკვირ-ვება, ანალიზის დაწერა | **ენობრივ- გამომსახველო-ბითი –** ტროპის სახეები, სიტყვათა წარმოქმნა, კომ-პოზიტების მართლწერა. | „ვეფხისტყაოსნიდან“ კონკრეტული ამონა-რიდების მიხედვით მწერ-ლის ენაზე დაკვირვება და ანალიზის დაწერა. | • როგორ გავაანალიზო მწერლის მიერ გამო-ყენებული ტროპის სახეები?<br>• როგორ გამოვიყენო მწერლის ენაზე დასაკ-ვირვებლად შესწავლილი გრამატიკული საკით-ხები? |
| გრძელვადიანი მიზნები<br><br>სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებუ-ლი მკვიდრი წარმოდ-გენები | **I ქვეთავი – დასაწყისი**<br>**სტროფები 1-32**<br><br>**II ქვეთავი**<br>**„იგი წავა და სხვა მოვა**<br>**ტურფასა საბაღნაროსა“**<br>**(ლიდერი და სახელმწიფო)**<br><br>**III ქვეთავი**<br>**„გიამბო ჩემი ამბავი,**<br>**განა რაზომცა ძნელია“ –**<br>**(ნდობა – მეგობრობის**<br>**განმაპირობებელი)** | | |

**საკითხი:**

მოთხრობის დაწერა, რომელშიც შერმადინი მთავარ პერსონაჟად უნდა იქცეს.

**ცნებები**

ჟანრი – მოთხრობა და მისი მახასიათებლები;

**კომპოზიცია** – თემა, იდეა; პერსონაჟი, მისი თვისებები, დამოკიდებულებები, შეხედულებები, სიუჟეტის განვითარების საფეხურები;

**კონტექსტი** – ტექსტის შექმნის ეპოქა, სოციოკულტურული რეალიები, ფასეულობები;

**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები:** ტროპის სახეები.

**საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები**

- როგორ გარდავქმნა მეორეხარისხოვანი პერსონაჟი შერმადინი, მთავარ პერსონაჟად ჩემ მიერ დაწერილ მოთხრობაში?
- როგორ წარმოვაჩინო მოთხრობაში პერსონაჟები, მათი ქმედებები, ფიქრები, ემოციები, მეტყველება, ურთიერთდამოკიდებულებები, მოქმედების დრო და ადგილი?
- როგორ გამოვიყენო ტროპის სახეები?

**შუალედური სასწავლო მიზანი**

**კომპლექსური დავალების პირობა**

---

**1) ჟანრი**

**(ქართ.საშ.1,4,6,7)**

1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან.

2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის გასააზრებლად, ტექსტების შესადგენად.

**2) კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე**

**(ქართ.საშ.1,3,4,6,7)**

1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის ერთობლიობა:

- ლექსში – თემის, იდეის, მხატვრული საშუალებების, სხვა სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების – მეტრის, რითმის;
- პოემაში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, მოქმედების დროისა და ადგილის, პერსონაჟთა სახეების, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების – მეტრისა და რითმის;

**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):**

**I ეტაპი: კომპლექსური დავალების გაცნობა**

- როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- სახელმძღვანელოში მოცემული რომელი რუბრიკები დაგჭირდებათ დავალების შესრულებისას?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ? რის შესწავლა დაგჭირდებათ / რაში დაგჭირდებათ დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსური დავალების განხორციელება

**რესურსები/აქტივობები:**

**აქტივობა 1.** ტექსტის გააზრებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში „ტექსტის გასააზრებლად“ (გვ.176-177).

**აქტივობა 2.** აფორიზმი და პერსონაჟი – მოცემული აფორიზმების პერსონაჟებზე შესაბამება და მსჯელობა მათ შეხედულებებზე, დამოკიდებულებებზე. პერსონაჟის კონკრეტული თვისების წარმოჩენის მიზნით აფორიზმის შექმნა.

**რესურსი 1.** აფორიზმი და პერსონაჟი

| პერსონაჟი | აფორიზმ(ებ)ი | კომენტარი (როგორ ახასიათებს აფორიზმ(ებ)ი პერსონაჟს |
|---|---|---|
| როსტევანი | | |
| თინათინი | | |
| ავთანდილი | | |
| ვეზირები | | |

**მოთხრობის დაწერა (მეორეხარისხოვანი პერსონაჟის მთავარ პერსონაჟად ქცევა)**

წინა მონაკვეთზე მუშაობისას შენ წაიკითხე **ირაკლი ქასრაშვილის მოთხრობა „მონა“**, რომელშიც „ვეფხისტყაოსნის“ მეორეხარისხოვანი პერსონაჟი ქცეული იყო მთავარ პერსონაჟად. ამ გზით წარმოაჩინა მწერალმა მისი ემოციები, დამოკიდებულებები, შეხედულებები.

მიუხედავად იმისა, რომ მკითხველს გარკვეული წარმოდგენა ნამდვილად ექმნება ავთანდილისა და შერმადინის ურთიერთობაზე, ამ პერსონაჟთან დაკავშირებით მაინც უამრავი კითხვა ჩნდება.

დაწერე მოთხრობა, რომელშიც **შერმადინს** მთავარ პერსონაჟად აქცევ, ტექსტზე დაყრდნობითა და შენი ფანტაზიის დახმარებით უკეთ წარმოაჩენ.

- მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებში – თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, მოქმედების დროისა და ადგილის, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების;
- არამხატვრულ ტექსტებში – იდეების/საკითხების, თემის, ხედვის კუთხის, სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების;

2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია წამოვაყენო ტექსტთან დაკავშირებული იდეები, წარმოვაჩინო ტექსტი ახალი კუთხით/ფორმით.

3. ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების უფრო ღრმად/მრავალმხრივად გააზრებისთვის, მისი ახლებურად ინტერპრეტირებისთვის.

4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი ელემენტების, ასევე სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.

**აქტივობა 3.** თემატური პარალელი – ირაკლი ქასრაშვილის მოთხრობა „მონისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ერთი თავის შედარება კოგნიტური სქემის მიხედვით და მსჯელობა შეკითხვების საშუალებით:

ცხრილის შევსების შემდეგ იმსჯელე:

რა გზით მოახერხა მწერალმა, მეორეხარისხოვანი პერსონაჟის მთავარ მოქმედ გმირად ქცევა?

რამდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა შენთვის, როგორც მკითხველისთვის, პერსონაჟის ამგვარი გარდასახვა?

როგორ ფიქრობ, რატომ გაუჩნდა ეს იდეა ავტორს?

**რესურსი 2.**

| | |
|---|---|
| ტექსტებში ასახული პრობლემა<br>(მხოლოდ მითითებული მონაკვეთისა<br>და ნოველის მიხედვით) | |
| მხატვრული სახეები<br>(რამდენად ხშირად იყენებს მწერალი მხატვრულ სახეებს და რომელ ხერხებს იყენებს?) | |
| ემოციურობა (რომელი ტექსტი/ტექსტის მონაკვეთი აღმოჩნდა შენთვის ემოციური? ახსენი, რა განაპირობებს მის ემოციურობას) | |
| პერსონაჟები<br>(ხასიათი, დამოკიდებულებები) | |

**აქტივობა 4.** რუბრიკა **„გაიფართოვე თვალსაწიერის“** დამუშავება (პატრონყმობა „ვეფხისტყაოსანში“) თანდართული კითხვების საშუალებით.

**აქტივობა 5.** პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულება – კოგნიტური სქემის დახმარებით პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულებაზე დაკვირვება.

**რესურსი 3.** კოგნიტური სქემა

| პერსონაჟთა წყვილები | რას ფიქრობენ ისინი ერთმანეთზე? | როგორ მიმართავენ ერთმანეთს? | რას აკეთებენ ერთმანეთისთვის? |
|---|---|---|---|
| ავთანდილი და შერმადინი | | | |
| ავთანდილი და ასმათი | | | |
| ასმათი და ტარიელი | | | |
| ტარიელი და ავთანდილი | | | |
| სარიდანი და ფარსადანი | | | |
| ფარსადანი და ტარიელი | | | |
| ნესტან-დარეჯანი და ტარიელი | | | |

ნამუშევარი სრულყოფილი რომ გამოგივიდეს:

- წარმოაჩინე მოთხრობის ძირითადი მახასიათებლები – სიუჟეტის განვითარება, მთავარი და არამთავარი პერსონაჟები...; (ჟანრი, კომპოზიცია)
- გამოკვეთე პერსონაჟის თვისებები ქმედებების საშუალებით, დაეყრდენი ტექსტში არსებულ მინიშნებებს; (კომპოზიცია)
- წარმოაჩინე დამოკიდებულება სხვა პერსონაჟებთან; (კომპოზიცია)
- გამოიყენე მხატვრული საშუალებები პერსონაჟების ემოციების გადმოსაცემად; (ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები)
- ამბის შექმნისას გაითვალისწინე „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიული კონტექსტი. (კონტექსტი)

**ნამუშევრის პრეზენტაციისას წარმოაჩინე:**

- რატომ ფიქრობ, რომ შენი ნაშრომი მოთხრობაა?
- ტექსტში არსებულ რომელ მინიშნებებს დაეყრდენი პერსონაჟების წარმოჩენისას?
- რა ხერხებით აქციე პოემის მეორეხარისხოვანი პერსონაჟი შენი მოთხრობის მთავარ გმირად?
- როგორ დაგეხმარა მოთხრობის შექმნისას ნაწარმოების ისტორიული კონტექსტის გათვალისწინება?
- რომელი მხატვრული ხერხებით გადმოეცი პერსონაჟის ემოციები და რატომ?

<table>
<tr>
<td></td>
<td colspan="3">

**აქტივობა 6.** სიუჟეტური ხაზი –
ორ სიუჟეტურ ხაზზე დაკვირვება;

**აქტივობა 7.** მხატვრულ ხერხებზე მუშაობა;

**აქტივობა 8.** ლიტერატორის თვალით დანახული პერსონაჟები (ლევან გიგინეიშვილის სტატიის „არშემჩნეული პოლიტიკური ავანტიურა „ვეფხისტყაოსანში“ წაკითხვა და დამუშავება);

**აქტივობა 9.** რუბრიკის „ჩვენ გირჩევთ“ დახმარებით მოთხრობის სიუჟეტის განვითარების ეტაპებისა და ჟანრობრივი მახასიათებლების გახსენება.

**აქტივობა 10.** უშუალოდ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა.

- იდეების წამოყენება მოსამზადებელ დავალებასთან დაკავშირებით;
- პირველადი ვერსიის შექმნა;
- საბოლოო ვერსიის მომზადება;
- დავალების წარდგენა, უკუკავშირის მიღება.

**კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ):**

- აღწერეთ, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი, რა ნაბიჯები გადადგით, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდით დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერით? რატომ ვერ გადაჭერით? როგორ მოიქცევით მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრათ? რა გაგიძნელდათ, რა გაგიადვილდათ? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებიათ?
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვთ დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყოთ წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხათ?
- თქვენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად თქვენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდეთ დავალებაზე მუშაობას?
- როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებდით მიღწევებს/როგორ მიაღწევთ უკეთეს შედეგს?

</td>
<td></td>
</tr>
<tr>
<td rowspan="2">

**3) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები**

**(ქართ.საშ.4,6,7)**

1. მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს,გამოცდილებას, დამოკიდებულებებს, განწყობასა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული ენობრივი საშუალებების – სიტყვების, ფრაზების – გამოყენებით.
2. მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.
3. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, ნიუანსების ამოსაჩენად; მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.

</td>
<td colspan="4">

**IV ქვეთავი**
**„ბედითი ბნედა, სიკვდილი, რა მიჯნურობა გგონია“**
**(სიყვარული და პასუხისმგებლობა)**
**V ქვეთავი**
**„დიადი სისხლი უბრალო კაცმანცა ვით იტვირთაო“**
**(სიყვარული, განსაცდელი და დანაშაული)**

</td>
</tr>
<tr>
<td>

**საკითხი**

კამათის წარმართვა უკვე შესწავლილი წყაროების გამოყენებით.

**ცნებები/ქვეცნებები:**

კომპოზიცია – თემა, იდეა;

**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები –** თეზისი და არგუმენტები, მაგალითები.

</td>
<td>

**საკვანძო შეკითხვები**

- როგორ გამოვიყენო კამათისას არგუმენტებად წყაროები, რომლებიც შევისწავლე?
- როგორ ავაგო არგუმენტირებული მსჯელობა როგორ წარმოვაჩინო და დავასაბუთო ჩემი მოსაზრებები?

</td>
<td colspan="2">

**შუალედური სასწავლო მიზანი**

**კომპლექსური დავალების პირობა**

</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| **4) კონტექსტი (ქართ.საშ.2,5)**<br><br>1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი – ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.<br><br>2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა.<br><br>3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად. | **კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):**<br><br>**I ეტაპი: კომპლექსური დავალების გაცნობა**<br><br>**ნაბიჯი 1.**<br><br>• როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?<br>• რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?<br>• თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ? რის შესწავლა დაგჭირდებათ/რაში დაგჭირდებათ დახმარება?<br><br>**II ეტაპი: კომპლექსური დავალების განხორციელება**<br><br>**რესურსები/აქტივობები:**<br><br>**აქტივობა 1.** ტექსტის გააზრებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში „ტექსტის გასააზრებლად“ (გვ. 190)<br><br>**აქტივობა 2.** ლიტერატორის შეხედულებები (ლევან გიგინეიშვილის სტატიის „არშემჩნეული პოლიტიკური ავანტიურა „ვეფხისტყაოსანში“ წაკითხვა და დამუშავება – მე-2 ნაწილი);<br>**აქტივობა 3.** პერსონაჟის ქცევა, ქცევის გამომწვევ მიზეზებზე დაკვირვება.<br>**აქტივობა 4.** ტექსტის გააზრებაზე მიმართული ინტერაქცია რუბრიკაში „ტექსტის გასააზრებლად“ (გვ. 202-203)<br>**აქტივობა 5.** წყაროების დამუშავება;<br>**აქტივობა 6.** კამათის წესების შემუშავება;<br><br>**აქტივობა 7.** რუბრიკის „ ჩვენ გირჩევთ" საშუალებით არგუმენტების რაობაზე, ტიპებზე კიდევ ერთხელ დაკვირვება, არგუმენტების ჩამოყალიბების სტრატეგიების გაცნობა.<br><br>**აქტივობა 8.** უშუალოდ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა.<br><br>კამათის დასრულების შემდეგ შეჯამება:<br><br>• რამდენად იცავდნენ მონაწილეები წესებს?<br>• რამდენად არგუმენტირებული იყო თითოეული მოსწავლის მოსაზრება, როგორ აბათილებდნენ კონტრარგუმენტებს, რამდენად დამაჯერებელი მაგალითები მოჰყავდათ?<br>• რა დასკვნებამდე მივიდნენ საბოლოოდ მონაწილეები?<br><br>**კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ):** | **კამათი წყაროების მოშველიებით**<br><br>ჩაუღრმავდი საკამათო დებულებას. გაიაზრე: სასიძოს მკვლელობა – „ქმნა მართლისა სამართლისა“ თუ „უბრალო სისხლის ვალად ალება“?<br><br>მოცემული დებულების მიხედვით, ან ეთანხმები პოემის გმირების პოზიციას და მკვლელობა გარდაუვალ აუცილებლობად, სამართლიან გადაწყვეტილებად მიგაჩნია ან ემიჯნები ამ თვალსაზრისს და ხვარაზმელი სასიძოს მკვლელობას უპატიებელ დანაშაულად მიიჩნევ. წყაროების შესწავლისა და პოზიციის გამოკვეთის შემდეგ გამოხატე საკუთარი თვალსაზრისი.<br><br>**კამათისას:**<br>• აირჩიე ზემოთ მოცემული წყარო/ წყაროები და მასზე დაყრდნობით ჩამოაყალიბე შენი მოსაზრება და მოიყვანე შესაბამისი არგუმენტები მის დასასაბუთებლად. (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები)<br>• მოიშველიე კონკრეტული მაგალითები, რომლებითაც გაამყარებ შენს არგუმენტებს; (კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები)<br>• გამოიყენე კონტრარგუმენტების გაბათილების წესი; (ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები)<br>• დაიცავი კამათის წესები.<br><br>**კამათის დასრულების შემდეგ, შეაჯამე:**<br>• რომელი წყაროები გამოიყენე შენი არგუმენტების ჩამოსაყალიბებლად და კონტრარგუმენტების გასაბათილებლად?<br>• რამდენად შეძელი საბოლოო დასკვნების ჩამოყალიბება?<br>• შეგეცვალა თუ არა შეხედულება კამათის მსვლელობისას ან შემდეგ?<br>• კამათის რომელი წესის დაცვა აღმოჩნდა ყველაზე მარტივი/ რთული? |

<table>
<tr>
<td></td>
<td colspan="2">
<ul>
<li>აღწერეთ, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი, რა ნაბიჯები გადადგით, რა თანამიმდევრობით;</li>
<li>რა დაბრკოლებებს წააწყდით დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერით? რატომ ვერ გადაჭერით? როგორ მოიქცევით მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრათ? რა გაგიძნელდათ, რა გაგიადვილდათ? რატომ?</li>
<li>მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებიათ?</li>
<li>რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვთ დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყოთ წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხათ?</li>
<li>თქვენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად თქვენი ყურადღება? რატომ? რით?</li>
<li>რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდეთ დავალებაზე მუშაობას?</li>
<li>როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებდით მიღწევებს/როგორ მიაღწევთ უკეთეს შედეგს?</li>
</ul>
</td>
<td></td>
</tr>
<tr>
<td></td>
<td>საკითხი:<br>„ვეფხისტყაოსნიდან“ კონკრეტული ამონარიდების მიხედვით მწერლის ენაზე დაკვირვება და ანალიზის დაწერა.<br>ცნება/ქვეცნებები:<br>ენობრივ-გამომსახველობითი – ტროპის სახეები, სიტყვათა წარმოქმნა, კომპოზიტების მართლწერა.</td>
<td>საკვანძო შეკითხვები:
<ul>
<li>როგორ გავაანალიზო მწერლის მიერ გამოყენებული ტროპის სახეები?</li>
<li>როგორ გამოვიყენო მწერლის ენაზე დასაკვირვებლად შესწავლილი გრამატიკული საკითხები?</li>
</ul>
</td>
<td>შუალედური სასწავლო მიზანი<br><br>კომპლექსური დავალების პირობა</td>
</tr>
<tr>
<td></td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):<br>I ეტაპი: კომპლექსური დავალების გაცნობა
<ul>
<li>რომელი გრამატიკული საკითხები შევისწავლეთ?</li>
<li>რამდენად დავინახეთ განსხვავება ამ საკითხების დახმარებით ძველსა და ახალ ქართულს შორის?</li>
<li>რამდენად გვეხმარება ნაწარმოების უკეთ გაგება-გააზრებაში მწერლის ენაზე დაკვირვება?</li>
</ul>
II ეტაპი: კომპლექსური დავალების განხორციელება<br>აქტივობები:<br>აქტივობა 1. მხატვრულ ხერხებზე მუშაობა ( გვ.194-195).<br>აქტივობა 2. „ენის სამყაროში“( გვ.221-228) შემავალი თეორიული  საკითხებისა და დავალებების დამუშავება.<br>აქტივობა 3. უშუალოდ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა.
<ul>
<li>იდეების წამოყენება მოსამზადებელ დავალებასთან დაკავშირებით;</li>
<li>პირველადი ვერსიის შექმნა;</li>
<li>საბოლოო ვერსიის მომზადება;</li>
<li>დავალების წარდგენა, უკუკავშირის მიღება.</li>
<li>კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასასმელი შეკითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ):</li>
<li>აღწერეთ, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი, რა ნაბიჯები გადადგით, რა თანამიმდევრობით;</li>
</ul>
</td>
<td>მწერლის ენაზე დაკვირვება, ანალიზის დაწერა<br>წაიკითხე მოცემული მონაკვეთები ყურადღებით, დააკვირდი მწერლის ენას და დაწერე მოკლე ანალიზი.<br>1. „მონა მოვიდა, მიამბო ამბავი მე მართალია:<br>„თქვენსა ამბავსა იკითხავს აჯიღოსანი ქალია“.<br>მაშინვე ვიცან, ავიჭერ, ჩქარ-ჩქარად გულ-გამკრთალია;<br>მოვიდა, ვნახე ასმათი ჩემთანა მომავალია.<br>2. „წიგნი მომართვა, ჩავხედენ, პირისა თემთა მთენისა.<br>ეწერა: „ვნახე სიტურფე წყალ-ჯავარისა შენისა.<br>ომ-გარდახდილი ჰშვენოდი, შენატევები ცხენისა,<br>არ-ავი მიჩანს მიზეზი ჩემისა ცრემლთა დენისა.“</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| | • რა დაბრკოლებებს წააწყდით დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერით?<br>• რატომ ვერ გადაჭერით? როგორ მოიქცევით მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრათ? რა გაგიძნელდათ, რა გაგიადვილდათ? რატომ?<br>• მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებიათ? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებიათ?<br>• რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვთ დავალების კრიტერიუმებთან მიმართებით? რამ შეგიწყოთ წინსვლაში ხელი? რამ შეგაფერხათ?<br>• თქვენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მიიპყრო ყველაზე მეტად თქვენი ყურადღება? რატომ? რით?<br>• რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდეთ დავალებაზე მუშაობას?<br>• როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებდით მიღწევებს/როგორ მიაღწევთ უკეთესშედეგს? | 3. „იყო არ-ნათლად ნათელი, ფარდაგსა შემომდგომელი;<br>ებურა მოშლით პირ-ოქრო რიდე, მე მივეც რომელი;<br>მითვე მწვანითა უებრო მიწოლით ტახტსა მჯდომელი,<br>ცრემლისა ღვარსა მოეცვა პირი, ელვათა მკრთომელი.<br>ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირ-გამეხებული,<br>არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებული;<br>ასმათმან დამსვა შორს-გვარად გულსა მე ლახვარხებული;<br>მერმე წამოჯდა წარბ-შერჭმით, გამწყრალი, გარისხებული.“<br><br>4. „კვლაცა ვჰკადრე: „მე თუ, მზეო, შენთვის ფიცი გამეტეხოს,<br>ღმერთმან აწვე რისხვა მისი ზეცით ჩემთვის გაამეხოს!<br>ვისი გინდა უშენოსა პირი მემზოს, ტანი მეხოს?!<br>მაშა მაშინ რაგვარ დავრჩე, რა ლახვარი გულსა მეხოს!“<br><br>**ნამუშევარში:**<br>• ამოწერეთ ტროპის სახეები და გააანალიზეთ, რას გამოხატავს თითოეული მათგანი.<br>• დააკვირდი, როგორი ტიპის კომპოზიტებია გამოყენებული ეპიზოდებში, როგორ იწარმოება?<br>• აღნიშნე, როგორ იწერებოდა ძველ ქართულში და ახლა როგორ დაიწერება.<br>• დააკვირდი აფიქსებით წარმოებულ სიტყვებს, იმსჯელე, რა თავისებურებას ქმნის რუსთაველის ენა ამ თვალსაზრისით?<br><br>**ნამუშევრის წარდგენისას:**<br>• დააკვირდი, რამდენად არგუმენტირებულია შენი მოსაზრებები.<br>• რამდენად დაგეხმარა ენობრივ- გამომსახველობით და გრამატიკულ საშუალებებზე დაკვირვება მწერლის ენის უკეთ გააზრებაში?<br>• რა აღმოაჩინე ახალი „ვეფხისტყაოსანში“ გრამატიკულ საშუალებებზე დაკვირვების შედეგად ძველსა და ახალ ქართულთან მიმართებით?<br>• რატომ არის შენი ნაშრომი სინთეზური ესე?<br>• რა ხერხები და საშუალებები გამოიყენე მკითხველის დასარწმუნებლად;<br>• რომელ მათგანს გამოარჩევდი და რატომ?<br>• სახელმძღვანელოს ამ ნაწილში თავმოყრილი რომელი მასალა გამოიყენე შენი პოზიციისა და არგუმენტების ჩამოსაყალიბებლად? რა ფორმით? |

# კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა

ჩვენი სახელმძღვანელო აგებულია კომპლექსურ დავალებებზე. ისინი შეტანილია მასწავლებლის წიგნში მოცემულ თემატურ მატრიცებში, რომლებიც აჩვენებს, თუ როგორ უკავშირდება აქტივობები და კომპლექსური დავალებები ერთმანეთს და როგორ მოიცავს თითოეული თემა ყველა ცნებას. თუმცა თქვენ, მასწავლებლები, აბსოლუტურად თავისუფალი ხართ სასკოლო კურიკულუმის შედგენისას და შეგიძლიათ, თვითონაც შექმნათ კომპლექსური დავალებები და შეიტანოთ მასში.
ამიტომაც მატრიცებს თან დავურთავთ კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რათა შედგენისას დარწმუნდეთ, რომ ნამდვილად სწორი გზით მიდიხართ.

| კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები | არ აკმაყოფილებს | ნაწილობრივ აკმაყოფილებს | სრულად აკმაყოფილებს | კომენტარი |
|---|---|---|---|---|
| კონტექსტი | | | | |
| 1) მკაფიოა რა ფორმით/რა პროდუქტის სახით უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ დავალება (რა ფორმაში უნდა გამოხატოს საკუთარი ცოდნა); | | | | |
| 2) კომპლექსური დავალების კონტექსტი ახლოს დგას მოსწავლის ყოველდღიურ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან:<br>• მოსწავლისთვის ნაცნობია/იოლად აღქმადია დავალების ფორმა (არ სჭირდება იმაზე დაფიქრება, თუ რა ფორმაში უნდა გამოხატოს საკუთარი ცოდნა);<br>• მოსწავლისთვის ნაცნობია/იოლად აღქმადია ცხოვრებისეული სფერო/კონტექსტი, რომელშიც მას ახალი ცოდნის ტრანსფერი ევალება (ბუნებრივი და იოლად აღქმადია ცხოვრებისეული სიტუაცია, რომელსაც მოსწავლეს კომპლექსური დავალების პირობა სთავაზობს). | | | | |
| 3) კომპლექსური დავალებისთვის კონტექსტი იმგვარადაა შერჩეული, რომ ის ბუნებრივად უკავშირდება საგნობრივ საკითხს, რომლის შესწავლასაც კომპლექსური დავალება ემსახურება ახალი ცოდნა | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4) მკაფიოდ ჩანს ერთი კონკრეტული (და არა ზოგადი) საგნობრივი საკითხი, რომელსაც კომპლექსური დავალება შეეხება. | | | | |
| 5) საკითხი იმგვარადაა შერჩეული, რომ ლოგიკურია მისთვის სასწავლო პროცესის ვრცელი მონაკვეთის დათმობა. | | | | |
| 6) დავალების პირობა იმგვარადაა ჩამოყალიბებული, რომ მოსწავლეს მის შესასრულებლად აუცილებლად სჭირდება საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი ცოდნის შეძენა და პროცედურებზე მუშაობა. | | | | |
| 7) მკაფიოა, თუ რა რესურსზე დაყრდნობით უნდა შეძლოს მოსწავლემ კომპლექსური დავალების პირობასთან მიმართებით საგნობრივი საკითხის შესწავლა. | | | | |
| განზოგადება | | | | |
| 8) შეფასების კრიტერიუმები მკაცრ კორელაციაშია სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან. | | | | |
| 9) შეფასების კრიტერიუმები ბუნებრივად ერწყმის კომპლექსური დავალების პირობას. | | | | |
| 10) შეფასების კრიტერიუმები ფორმულირებულია იმგვარად, რომ მათი დაკმაყოფილებისთვის მოსწავლეს ფაქტობრივი და პროცედურული ცოდნა სჭირდება. | | | | |

# განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, სოლოტაქსონომია

**რა არის სოლოტაქსონომია (ანუ დაკვირვებადი სწავლის შედეგების ტაქსონომია)?**

სოლოტაქსონომია არის შეფასების მოდელი, რომელიც უფრო კოგნიტურ პროცესებზეა ორიენტირებული, ვიდრე – მიღწეულ შედეგებზე. მისი გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია, უკეთ გააანალიზოს მოსწავლის პასუხები და გაიგოს, რომელ დონეს მიაღწია და როგორი პროგრესი აქვს სააზროვნო პროცესებში კონკრეტულ მოსწავლეს.

სწავლების კონსტრუქტივისტულ თეორიაზე დაფუძნებით. სოლოტაქსონომია მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს, დააკვირდეს მოსწავლის კოგნიტური განვითარების პროცესს და მისცეს კონსტრუქციული უკუკავშირი, რომელიც სწავლაში დაეხმარება.

**სოლოტაქსონომიაში გამოიყოფა 5 ძირითადი დონე:**

- პრესტრუქტურული დონე – მოსწავლეს არ ესმის დავალების პირობა, საკითხები, რომლებსაც დავალება უკავშირდება, მისთვის სრულიად უცნობია, ამიტომ ვერ ახერხებს გაგებას და შესაბამისად, შესრულებას.
- უნისტრუქტურული დონე – მოსწავლეს აქვს მხოლოდ ძირითადი კონცეფცია საგნის ან დავალების შესახებ; მას შეუძლია მარტივი, აშკარა, ზედაპირული კავშირის დამყარება, მაგრამ ინფორმაციის ფართო მნიშვნელობას ვერ იგებს.
- მულტისტრუქტურული დონე – მოსწავლე აცნობიერებს საგნის ან დავალების რამდენიმე ასპექტს, მაგრამ ვერ იაზრებს მას ცნებების დონეზე. ის ამყარებს მთელ რიგ კავშირებს, მაგრამ მთლიანობის მნიშვნელობა არ ესმის. მოსწავლეს შეუძლია ჩამოთვალოს, განსაზღვროს, აღწეროს, დააკავშიროს, შეუსაბამოს ან გააკეთოს ალგორითმები. ამ დონის შეფასება, პირველ რიგში, რაოდენობრივია.
- მიმართებითი დონე – მოსწავლეს შეუძლია სწორად გაიგოს საკითხი, ინფორმაცია. მისი ცოდნა არ არის დანაწევრებული, ის ასრულებს დავალებას არა რაოდენობრივად, არამედ მთლიანობაში; არსობრივად, საგნობრივი ცნებების დონეზე აქვს გააზრებული, რასაც აკეთებს.
- მოსწავლეთა სწავლის შედეგები აჩვენებს შედარების, მიზეზ-შედეგობრივი აზროვნების, თანმიმდევრობის, ანალიზის, მთლიანი აზროვნების, ანალოგის გამოყენებისა და კითხვების ფორმულირების მტკიცებულებებს. ეს ის დონეა, რომელიც საგნის ადეკვატურ გაგებას გულისხმობს.
- გაფართოებული აბსტრაქტული – ამ დონეზე მოსწავლე იაზრებს საკითხს, ინფორმაციას, დავალებას არა მარტო მოცემულ საგნობრივ ჭრილში. მას შეუძლია განაზოგადოს, შეიტანოს თავისი პირადი გამოცდილებაც, გამოამჟღავნოს ზოგადი განათლება, შექმნას ახალი იდეები და კონცეფციები; შეუძლია პროგნოზირება, განზოგადება, შეფასება, თეორიზაცია, ჰიპოთეზირება, შექმნა და ასახვა.

სოლოტაქსონომია იძლევა შესაძლებლობას, რომ დავაკვირდეთ არა მხოლოდ მოსწავლის კოგნიტურ შესაძლებლობებს და კონსტრუქციული კომენტარებით დავეხმაროთ მას, უკეთ გაიაზროს ესა თუ ის საკითხი, არამედ ძალიან კარგი ინდიკატორია მასწავლებლისთვის, შეაფასოს, სწორად წარმართა თუ არა სწავლების ეტაპები კომპლექსურ დავალებამდე. მაგალითად, თუკი სოლოტაქსონომიით შეფასებული ნაშრომების უმეტესობა ვერ სცდება მულტისტრუქტურულ დონეს, ეს უნდა იყოს მინიშნება მასწავლებლისთვის, რომ მეტი იმუშაოს ცნებების თვალსაზრისით თავის მოსწავლეებთან, უფრო მეტი აქტივობა გააკეთებინოს მათ, სანამ კომპლექსურ დავალებას შეასრულებდნენ.

საგულისხმო და გასათვალისწინებელია, რომ სოლოტაქსონომია ძალიან საჭირო და კარგი ინსტრუმენტია მხოლოდ განმავითარებელი შეფასებისთვის და მისი განმსაზღვრელ შეფასებად გამოყენება (დონეების მიხედვით ქულების განაწილება) დაუშვებელია.

# სოლო ტაქსონომია

რუბრიკა ივსება თითოეულ მოსწავლეზე ინდივიდუალურად

მოსწავლის სახელი, გვარი _______________________

საგანი _______________ ქართული ენა და ლიტერატურა _______________

საკითხი _________________________________________

კომპლექსური დავალების პირობა: _____________________

| კრიტერიუმი --/-- სამიზნე ცნება | ჟანრი | კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე | ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები | კონტექსტი | |
|---|---|---|---|---|---|
| აბსტრაქტული დონე<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | ***მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე*** | | | | |
| მიმართებითი დონე<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. | ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. | ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. | ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მულტისტრუქტურული დონე<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იგივე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იგივე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იგივე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იგივე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით<br>მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე. | |
| უნისტრუქტურული დონე<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეაგირებით (მაგ. სათაურის პერიფრაზირებით) | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეაგირებით (მაგ. სათაურის პერიფრაზირებით) | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეაგირებით (მაგ. სათაურის პერიფრაზირებით) | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეაგირებით (მაგ. სათაურის პერიფრაზირებით) | |
| პრე-სტრუქტურული დონე<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს / კომპლექსური დავალების პირობას. |

**SOLO** ტაქსონომიის გამოყენებისას ყურადღება მიაქციეთ რამდენიმე გარემოებას:

4. რუბრიკაში მოცემულია საგნის ყველა სამიზნე ცნება. მასწავლებელს ყველა მათგანის შევსება არ ევალება, რუბრიკაში ის სამიზნე ცნების სვეტი უნდა შეავსოს, რომელსაც კომპლექსური დავალება ეხება;

5. კომენტარის გაკეთებისას მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს რომელ ცნებასთან და რომელ დონესთან მიმართებით აღიწერება მოსწავლის მიღწევები და შემდეგ შესაბამის გრაფაში ჩაწეროს კომენტარი. ამდენად, მასწავლებელი ავსებს მხოლოდ და მხოლოდ ერთ გრაფას;

6. მასწავლებელი განმავითარებელ შეფასების კომენტარს წერს არა ყოველი გაკვეთილის ბოლოს, არამედ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დასრულების შემდეგ.

# განმსაზღვრელი შეფასება

კომპლექსური დავალებებით მუშაობისას უპირატესობა ენიჭება განმავითარებელ შეფასებას, მასწავლებლის კომენტარს, რომელიც ეხმარება მოსწავლეს, გააუმჯობესოს თავისი ცოდნა და მიღწევები, უჩვენებს გზას, როგორ მოახერხოს ეს. განმსაზღვრელი შეფასება კი ზომავს შედეგებს. დღესდღეობით სასწავლო პროცესში ორივე გამოიყენება. კომპლექსური დავალება, პირობის გარდა, მოიცავს კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია განმსაზღვრელი შეფასების გაკეთებაც – კრიტერიუმებზე კონკრეტული ქულების განაწილება.

გთავაზობთ ერთ ნიმუშს: **სინთეზური ესე**

„შუშანიკის წამების“ ტექსტსა და რუბრიკა „გაიფართოვე თვალსაწიერში“

თავმოყრილ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაწერე სინთეზური ესე:

***ადამიანები, რომლებიც ერთგულობენ რწმენას, პრინციპს, საკუთარ***

***შეხედულებებს და სიცოცხლის ფასად იცავენ მათ – გმირებად ირაცხებიან.***

***საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ადამიანისთვის უმთავრესი***

***ღირებულება სიცოცხლეა. არაფერი ღირს სიცოცხლის დათმობად.***

დასაბუთებული მსჯელობით დაეთანხმე ან უარყავი მოცემული მოსაზრება.

წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.

**ნამუშევარში:**

- არგუმენტირებულად გადმოეცი საკუთარი თვალსაზრისი მოცემულ თეზისზე;
- თვალსაზრისის გადმოცემისა და არგუმენტირებისას გამოიყენე პირობაში
- მითითებული მასალა; (კომპოზიცია, კონტექსტი, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები)
- მოიყვანე კონკრეტული მაგალითები მითითებული მასალიდან, რომლებითაც დაასაბუთებ შენს მოსაზრებებს (ჟანრი);
- დაიცავი ესეს სამი ნაწილი: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა (ჟანრი, კომპოზიცია).

**ნამუშევრის პრეზენტაციისას წარმოაჩინე:**

- რატომ არის შენი ნაშრომი სინთეზური ესე?
- რა ხერხები და საშუალებები გამოიყენე მკითხველის დასარწმუნებლად;
- რომელ მათგანს გამოარჩევდი და რატომ?
- სახელმძღვანელოს ამ ნაწილში თავმოყრილი რომელი მასალა გამოიყენე შენი პოზიციისა და არგუმენტების ჩამოსაყალიბებლად? რა ფორმით?

## I კრიტერიუმი

| საკუთარი თვალსაზრისის არგუმენტირებულად გადმოცემა მითითებულ მასალაზე დაყრდნობით | 4 ქულა |
|---|---|
| ნაშრომში ნათლადაა ჩამოყალიბებული მოსწავლის თვალსაზრისი, რომელიც გამყარებულია დამაჯერებელი არგუმენტებით და არგუმენტები გამომდინარეობს მითითებული მასალიდან. | 4 ქულა |
| ნაშრომში ნათლადაა ჩამოყალიბებული მოსწავლის თვალსაზრისი, მსჯელობა არგუმენტირებულია, თუმცა ზოგიერთი მათგანი არ ეყრდნობა მითითებულ მასალას. | 3 ქულა |
| ნაშრომში ნათლადაა ჩამოყალიბებული მოსწავლის თვალსაზრისი, მსჯელობა არგუმენტირებულია, თუმცა არგუმენტების უმრავლესობა არ ეყრდნობა მითითებულ მასალას/ ან არგუმენტირება არასრულყოფილია, თუმცა ეყრდნობა მითითებულ მასალას. | 2 ქულა |
| ნაშრომში ჩამოყალიბებული თვალსაზრისი ბუნდოვანია, არ არის არგუმენტები ან არგუმენტაციისთვის არ იყენებს მითითებულ მასალას. | 1 ქულა |
| მსჯელობა ზედაპირულია, არ არის არგუმენტირებული. | 0 ქულა |

## II კრიტერიუმი

| არგუმენტების გამყარება კონკრეტული მაგალითებით მითითებული მასალიდან | 3 ქულა |
|---|---|
| არგუმენტები გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით  მითითებული მასალიდან. | 3 ქულა |
| არგუმენტების უმრავლესობა გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით მითითებული მასალიდან. | 2 ქულა |
| მსჯელობისას მოყვანილია მხოლოდ ერთი მაგალითი მითითებული მასალიდან. | 1 ქულა |
| მსჯელობა არ არის გამყარებული მაგალითებით. | 0 ქულა |

## III კრიტერიუმი

| ესეს სტრუქტურა | 2 ქულა |
|---|---|
| ნაშრომში დაცულია ესეს სტრუქტურა, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. | 2 ქულა |
| ნაშრომში ნაწილობრივ დარღვეულია ანალიტიკური ესეს სტრუქტურა/ან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი | 1 ქულა |
| ნაშრომში არ არის დაცული ანალიტიკური ესეს სტრუქტურა, აბზაცები არასწორად ან საერთოდ არ არის გამოყოფილი. | 0 ქულა |

# პროექტი
## ჰაგიოგრაფიის უკეთ შესასწავლად

**როგორ მიმდინარეობს პროექტი** – კლასი იყოფა 4 ძირითად ჯგუფად: ბიოგრაფები, გეოგრაფები, ისტორიკოსები,ლიტერატორები. სათითაოდ გაწერილია თითოეული ჯგუფის მოვალეობები, რომელიც ამობეჭდილი უნდა ედოთ თითოეულ საქაღალდეში. აქვე გთავაზობთ მათ.

**ჯგუფების მოვალეობანი**

**ბიოგრაფების ჯგუფი** – იმუშავებენ სამივე ნაწარმოების ავტორზე, ისაუბრებენ მათ მიმართებაზე ნაწარმოებებთან და მოიძიებენ დამატებით ცნობებს თითოეულ მათგანზე;

- ამოიწერენ ტექსტში მოცემულ ყველა ცნობას ავტორის შესახებ (ვინაობა, ხასიათი, ქცევა, დამოკიდებულება, პრობლემა) და გვერდით თითოეული წევრი თავის ინტერპრეტაციასა და ანალიზს მიუწერს;
- მოიძიებენ დამატებით ცნობებს **ჯერ დამოუკიდებლად**, შემდეგ კი ისტორიის მასწავლებელთან ერთად გააანალიზებენ და დაადგენენ მოძიებულ ცნობათა სანდოობას;
- მოიძიებენ და შეაგროვებენ თემასთან დაკავშირებულ ფოტოებსა და ვიდეო მასალას.
- დაწერენ რეფერატს, სადაც დაწვრილებით და არგუმენტირებულად ისაუბრებენ ავტორის ფსიქოლოგიურ პორტრეტზეც.
- შეუძლიათ, შექმნან მხატვრული ტექსტიც, რომელშიც მათ მიერ დანახული ავტორი წარმოჩინდება (ეს პუნქტი განსაკუთრებით მოეწონათ).

**გეოგრაფების ჯგუფი** – მოინიშნავენ სამივე ნაწარმოებში გეოგრაფიულ პასაჟებს და სახელმძღვანელოების, ენციკლოპედიების, ინტერნეტრესურსებისა და გეოგრაფიის მასწავლებლის დახმარებით მოიძიებენ დამატებით ცნობებს;

- ამოიწერენ ტექსტიდან ყველა გეოგრაფიულ სახელს (ქვეყანა, ქალაქი, დაბა, მხარე ტაძრების, ციხეების, მდინარეების სახელებსაც) და გვერდით მიუწერენ, რა ფუნქცია აკისრია ტექსტში ამა თუ იმ გეოგრაფიულ სახელს;
- მოიძიებენ დამატებით ცნობებს მოცემული გეოგრაფიული სახელების შესახებ **ჯერ დამოუკიდებლად**, შემდეგ კი გეოგრაფიის მასწავლებელთან ერთად გააანალიზებენ და დაადგენენ მოძიებულ ცნობათა სანდოობას;
- ეცდებიან, გეოგრაფიის მასწავლებლის დახმარებით შექმნან პატარა ლოკალური რუკები ამა თუ იმ ეპიზოდისთვის.
- მოიძიებენ და შეაგროვებენ თემასთან დაკავშირებულ ფოტოებსა და ვიდეო მასალას.
- შეგროვილ მასალებს თვალსაჩინოებისთვის გადაიტანენ Power point-ში.

**ისტორიკოსების ჯგუფი** – ყურადღებას მიაქცევენ თითოეული ნაწარმოების ისტორიულ ფონსა და ფაქტებს, ამოიწერენ ეპოქის მარკერებს ნაწარმოებებიდან და სახელმძღვანელოების, ენციკლოპედიების, ინტერნეტრესურსებისა და ისტორიის მასწავლებლის დახმარებით მოიძიებენ დამატებით ცნობებს;

- ამოიწერენ ტექსტში მოცემულ ყველა ისტორიულ ცნობას (ეპოქა, საზოგადოებრივი წყობილება, პოლიტიკური გარემო) და გვერდით **თითოეული წევრი** თავის ინტერპრეტაციასა და ანალიზს მიუწერს;
- მოიძიებენ დამატებით ცნობებს იმავე საკითხებზე **ჯერ დამოუკიდებლად**, შემდეგ კი ისტორიის მასწავლებელთან ერთად გააანალიზებენ და დაადგენენ მოძიებულ ცნობათა სანდოობას;
- მოიძიებენ და შეაგროვებენ თემასთან დაკავშირებულ ფოტოებსა და ვიდეო მასალას.
- შეადგენენ რეფერატს, სადაც გამოკვეთილი იქნება ნაწარმოებში ასახული ეპოქის თავისებურება სხვადასხვა კუთხით.

**ლიტერატორების ჯგუფი** – მათი დაკვირვების საგანი ძირითადად იქნება თითოეული ნაწარმოების მხატვრული მხარე და ბელეტრისტიკული ნაკადი, ამოიწერენ მხატვრულ სახეებს, გააანალიზებენ თითოეული მათგანის შინაარსსა და ფუნქციას.

ჯგუფის წევრები ამოიწერენ და თავიანთ კომენტარებს გაუკეთებენ, გააანალიზებენ ნაწარმოებებში მოცემულ მხატვრულ სახეებსა და ნაწარმოების მხატვრული მხარის ყველა მახასიათებელს (დიალოგი, მონოლოგი, მწერლის ენა, პერსონაჟის მეტყველება, გარეგნობა, პეიზაჟი, ტროპის სახეები: მეტაფორა, შედარება, ეპითეტი, ჰიპერბოლა, სიმბოლო, ალეგორია, ალუზია).

**შენიშვნა:**

- ჯგუფის ხელმძღვანელს დამატებით ევალება თვალი ადევნოს ჯგუფის მუშაობას და პასუხისმგებელი იყოს შეგროვილ მასალაზე.
- ჯგუფს ექნება საერთო საქაღალდე, სადაც შეაგროვებენ **დათარიღებულ მასალებს კვირების მიხედვით**;

მუშაობის მნიშვნელოვანი პრინციპი იყო ის, რომ ჯგუფები იცვლებოდნენ ახალ ნაწარმოებზე გადასვლასთან ერთად. მაგალითად, ვინც „შუშანიკის წამების“ სწავლისას ლიტერატორი იყო, როცა „აბოს წამებაზე“ გადავედით, ისტორიკოსის ან გეოგრაფის როლში აღმოჩნდებოდა.

ყოველკვირეული მუშაობის შეჯამებას დაეთმობა ერთ-ერთი დღე. ისინი ვალდებულნი არიან, დაგროვებულ – დამუშავებული მასალა გააცნონ კლასს, ერთად იმსჯელონ პრობლემებსა და სამომავლო სტრატეგიებზე. კვირის სხვა დღეები მოხმარდება ნაწარმოებში ასახული პრობლემების განხილვისა და სხვადასხვა საინტერესო და საჭირო აქტივობებს.

სამივე ნაწარმოები შესწავლის შემდეგ, ჯგუფები შეაჯამებენ თავიანთ ნამუშევარს, მისცემენ საბოლოო სახეს რეფერატის, სლაიდშოუს, გამოფენის შეუძლიათ, მოიწვიონ სტუმრები და ღია შემაჯამებელი გაკვეთილი ჩაატარონ.

ასევე საინტერესო იქნება საგანგებო ბლოგის შექმნა, რომელზეც ბავშვები პერიოდულად, პროექტის განმავლობაში ატვირთავენ და თავს მოუყრიან თავიანთ მოპოვებულ თუ შექმნილ მასალებს.

პროექტზე მუშაობა საკმაოდ ნაყოფიერი, ფუნქციური, საინტერესო და სახალისო იქნება მოსწავლეებისთვის. შეიძენენ და განივითარებენ ბევრ აუცილებელი უნარ-ჩვევას, შედარებით ადვილად დაძლევენ რთულ ტექსტებს და რაც მთავარია, მათი ყურადღება არ მოდუნდება ერთობლივი მუშაობის წყალობით.

# მეთოდური სტატიები

(იბეჭდება შემოკლებით)

**ჩვენს სახელმძღვანელოში ხშირადაა აქტივობა – ზეპირი მსჯელობა, კამათი, დისკუსია. არგუმენტირებული მსჯელობის სწორად წარმართვისთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა არის არგუმენტი, რა ტიპის არგუმენტები გვხვდება, საჭიროა ასევე დემაგოგიური ხრიკების ამოცნობა. ინტერნეტგაზეთ „maswavlebeli.ge-ში“ გამოქვეყნებულ ამ სტატიებში თავმოყრილია საჭირო ცნობები ამ საკითხების შესახებ.**

# ზადიანი არგუმენტების შესახებ

საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირება საჭირო, მნიშვნელოვანი უნარია.

თუ გვსურს დამაჯერებლად, ნათლად, მკაფიოდ, არგუმენტირებულად გამოვხატოთ თვალსაზრისი, აუცილებლად უნდა მოვიშველიოთ არგუმენტები.

ზოგჯერ განზრახ (როდესაც მსჯელობა დემაგოგიურია) ან უცოდინარობის გამო იყენებენ ე.წ. დეფექტიან (მცდარ, ზადიან) არგუმენტებს.

მცდარი, უმართებულო, დეფექტიანი მსჯელობა, ერთი შეხედვით, დამაჯერებლად „გამოიყურება“, თუმცა რეალურად ზედაპირული, არასარწმუნო და ზადიანია.

განვიხილოთ მცდარი არგუმენტირების ნიმუშები, რათა მათი ამოცნობა და გაბათილება შევძლოთ:

## მცდარი მაგალითი, ანალოგია, ასოციაცია, პარალელი

პარალელის გავლება, ანალოგიის მოშველიება, ასოციაციურად მსგავსი სიტუაციის/ობიექტის დასახელება გავრცელებული პრაქტიკაა არგუმენტირებისას.

ორი ობიექტის/სიტუაციის რაიმე ტიპის მსგავსების წარმოჩენით ან ხაზგასმით გარკვეული დასკვნის გაკეთება არ არის საკმარისი, თუ ამ ორ მოცემულობას შორის განსხვავება უფრო მეტია, ვიდრე მსგავსება. სიტუაციის, კონტექსტის, საკითხის სიმწვავის გათვალისწინების გარეშე, მხოლოდ ზედაპირული მსგავსების მიხედვით გაკეთებული დასკვნა, როგორც არგუმენტი, არ გამოდგება.

მაგალითად, თუ ვამბობთ, რომ მოწევა მავნებელია და იწვევს ნაადრევ სიკვდილს, ხშირად შეიძლება მოვისმინოთ პასუხად, რომ „ჩემი ბაბუა 100 წლამდე ეწეოდა და ჯანმრთელი მოკვდა“. ამ შემთხვევაში ერთი კონკრეტული მაგალითის მოყვანა კონტრარგუმენტად არარელევანტურია და არ ამტკიცებს საპირისპიროს.

ან, სხვა მაგალითი – თუ ვინმეს ადანაშაულებენ კოლაბორაციონიზმში, მტერთან მაამებლურ დამოკიდებულებაში, ოპონენტმა შეიძლება მოიყვანოს მაგალითად იმ მოღვაწეების ბიოგრაფიები, ვინც შორეულ წარსულში იმავე ქვეყანაში ცხოვრობდა და საქმიანობდა და ვისი შემოქმედება/მოღვაწეობაც ყველასთვის ძვირფასია.

ამ შემთხვევაში კონტექსტის, საკითხის სიმწვავის გაუთვალისწინებლად ორი ბიოგრაფიის შედარება, ნიმუშად სხვა მოღვაწის წარმოჩენა მცდარია და კონტრარგუმენტად არ გამოდგება.

## მცდარი დასკვნა

**Non sequitur – „არ გამომდინარეობს“** – მსჯელობისას გარკვეული მოსაზრებების იმგვარად განზოგადება ან იმ დასკვნის გაკეთება, რომელიც არ/ვერ გამომდინარეობს წინაპირობიდან, მცდარი მიმართულებაა. ამ პრიმიტიულ მეთოდს კარგად იყენებდა, მაგალითად, საბჭოთა პროპაგანდა. ნათელი მაგალითია ლოზუნგი – „ვინც ჩვენთან არაა, ჩვენ წინააღმდეგაა“. ზოგადად, რადიკალური, ანგაჟირებული, ტენდენციური მხარეები ხშირად მიმართავენ არგუმენტირების ამ მეთოდს. „თუ აკრიტიკებ ხელისუფლების ინიციატივას, ე.ი. განვითარების წინააღმდეგი ხარ“.

იმისთვის, რომ კონტრარგუმენტი დავახვედროთ და გავაბათილოთ მსგავსი მცდარი განზოგადებები, აუცილებელია, მოვთხოვოთ ოპონენტს მტკიცებულებები – რის საფუძველზე აკეთებს ის კონკრეტულ დასკვნას.

## მცდარი განზოგადება

Fallacia fictae universalitatis – „ყველა კაცი ერთნაირია“, „ყველა ქალი ერთნაირია“ – ეს და ამ ტიპის განზოგადებები მცდარია, რადგან მთქმელი კონკრეტულ გამოცდილებას აზოგადებს და მცდარი დასკვნა გამოაქვს. ზოგადად, მსჯელობაში ყოველთვის საფრთხილოა სიტყვების – „ყველა“ და „ყოველთვის“ – გამოყენება.

## ტრადიციის ფეტიში

**Argumentum ad antiquitatem – „უწინ ასე იყო და ახლაც ასე უნდა იყოს“, „ჩვენი წინაპრები ასე აკეთებდნენ“, „ოდითგანვე ასე მოგვდგამს“, „ჩვენი მამა-პაპები ასე იყვნენ, ჩვენც ასე უნდა ვიყოთ“, „ხალხური სიბრძნე არ ცდება“, „ჭეშმარიტია ის, რაც საუკუნეებითაა გამოცდილი“.**

არგუმენტად და საკუთარი პოზიციის გასამყარებლად ტრადიციაზე აპელირება არ არის სწორი. საუკუნეების განმავლობაში ბევრი რამ იცვლება. პროგრესი სხვადასხვა მიმართულებით (მეცნიერება, ტექნოლოგიები, მორალური ნორმები, კანონი) შეუქცევადია და უწინდელი დროის იდეალიზება, რომანტიზება უსაფუძვლოა. უკან მაცქერალი ადამიანი თვალს ვერ უსწორებს აწმყოს და რეალური გამოწვევების წინაშე მდგარი წარსულისკენ, უკან მიიწევს. ის, რაც მართებული (ჭეშმარიტი, კარგი, სწორი) იყო უწინ, პროგრესისა და სხვადასხვა სფეროში მიღწეული განვითარების დონის გათვალისწინებით, შესაძლოა, აღარ მიიჩნეოდეს ასეთად.

## ერთადერთი მიზეზი

რაიმე მოცემულობის მიზეზად ერთადერთი ფაქტორის დასახელება და იმის მტკიცება, რომ შედეგი განპირობებულია ამ ერთადერთი ფაქტორით, უმეტესწილად, მცდარია, ამგვარი მსჯელობა კი დემაგოგიურია. მაგალითად, იმის მტკიცება, რომ მოზარდებში აგრესიის მატების ერთადერთი მიზეზი კომპიუტერული თამაშებია – მცდარი მსჯელობის ნიმუშია. დისკუსიისას ხშირად ვაწყდებით მოკამათეებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დასახული პრობლემის ერთადერთი მიზეზი არის ის, რაც მათ მიაჩნიათ მიზეზად. „დამიჯერე, ასეა!“ ან „საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს ასეა და არა სხვაგვარად“. ყოველთვის საფრთხილოა მსგავსი განაცხადები და ოპონენტმა უნდა მოსთხოვოს მთქმელს უფრო საფუძვლიანი დასაბუთება, უფრო დამაჯერებელი არგუმენტები, ვიდრე დასახელებული ერთადერთი მიზეზია.

## Reductio ad Hitlerum

არგუმენტის ნაცვლად ჰიტლერის ან ნაცისტურ-ფაშისტური იდეოლოგიის მაკომპრომეტირებელი ფაქტორების ხსენება მსჯელობას მცდარი მიმართულებით წარმართავს. ამგვარი არგუმენტი მიიჩნევა პრიმიტიულ, დეფექტიან საბუთად. ჰიტლერი საყოველთაოდ აღიარებული ოდიოზური ფიგურაა. ყველაფერი, რაც მას უკავშირდება ან შეიძლება დაუკავშირდეს, მიიჩნევა ასევე მიუღებლად. ამ მარტივ მოცემულობაზე დაყრდნობით მსჯელობის დროს ზოგჯერ იშველიებენ გარკვეულ მონაცემებს, რათა შექმნან ნეგატიური განწყობა-დამოკიდებულება განსახილველი საკითხის მიმართ.

მაგალითად, **N**-ი ამტკიცებს, რომ **X** დებულება არის სწორი.

ჰიტლერი ასევე ეთანხმებოდა **X** დებულებას.

სწორედ ამიტომ **X** დებულება მიუღებელია და უნდა გაბათილდეს.

# არგუმენტი – რაობა და სახეები

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე ხშირად ვთხოვთ მოსწავლეებს არგუმენტირებულ მსჯელობას.

რამდენად კარგად ესმით მათ, რას ნიშნავს არგუმენტი?

რამდენად დამაჯერებელია მათი მსჯელობა?

როგორ ასაბუთებენ მოსაზრებებს და იყენებენ თუ არა არგუმენტებს სწორად – ეს კითხვები სწავლა-სწავლების პროცესში ხშირად გვიჩნდება.

თუ მოსწავლეებს არასწორად ესმით არგუმენტის მნიშვნელობა, ისინი ადვილად ურევენ დაშვებას, ვარაუდს ან თეზისს არგუმენტირებულ მსჯელობაში.

ასე რომ არ მოხდეს, მნიშვნელოვანია, მათ კარგად ესმოდეთ ცნების მნიშვნელობა და ასხვავებდნენ არგუმენტის სახეებს.

## რა არის არგუმენტი?

არგუმენტი, განმარტების თანახმად, საბუთია, რომელიც მოჰყავთ რისამე დასამტკიცებლად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არგუმენტი არის ის, რაც ხსნის, ნათელს ჰფენს კითხვას – რატომ უნდა დავიჯეროთ/გავითავისოთ/მივიღოთ/უარვყოთ ან ვირწმუნოთ ნათქვამი. არგუმენტი, ამავდროულად, არის ის, რაც მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს მოსაზრებას, არგუმენტირებული საუბარი და პოზიცია კი პატივისცემასა და მოსმენას იმსახურებს იმის მიუხედავად, ვეთანხმებით თუ არა.

## არგუმენტირებული მსჯელობა

ესე, წაკითხულის ანალიზი, მხატვრული ნაწარმოების ანალიზი, თხზულება, საკუთარი მოსაზრების ზეპირად ან წერილობით ჩამოყალიბება – ყველა ამ მიმართულებით ყოველდღიური მუშაობაა საჭირო, რათა მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს არგუმენტირებული მსჯელობის უნარი და ჩვევა. არგუმენტირებული მსჯელობა მნიშვნელოვანი და გამჭოლი კომპეტენციაა, რაც მთელი ცხოვრების განმავლობაში გვჭირდება მიუხედავად არჩეული პროფესიისა თუ სპეციალობისა.

**არგუმენტირებული მსჯელობა კარგად სტრუქტურირებული მსჯელობაა.**

თავდაპირველად, საჭიროა სამსჯელო თეზისის კარგად გააზრება, ნათლად ჩამოყალიბება, საკუთარი პოზიციის გაცხადება.

ამას მოჰყვება არგუმენტი – ანუ, საბუთი, პასუხი კითხვაზე – რატომ უნდა მივიჩნიოთ ეს (და არა სხვა) პოზიცია მართებულად.

არგუმენტს სასურველია ახლდეს მაგალითი (დემონსტრაცია), რომელიც კიდეც უფრო ცხადს გახდის პოზიციის სისწორეს.

და ბოლოს – დასკვნა – ლოგიკური კავშირი, გამომდინარე ორივე წინადადებიდან, ანუ თეზისის დაკავშირება არგუმენტთან.

ზოგიერთ შემთხვევაში მსჯელობა კონტრარგუმენტების მიმოხილვასაც გულისხმობს, ანუ მსჯელობის დროს პირი თავად წამოაყენებს საკუთარი პოზიციის საწინააღმდეგო არგუმენტებს და ცდილობს გააბათილოს ისინი.

## არგუმენტის სახეები

არსებობს სხვადასხვა ტიპის არგუმენტი. ზოგიერთ შემთხვევაში საკუთარი ნათქვამის დასასაბუთებლად ვიყენებთ ფაქტებს – არსებულ ფაქტობრივ მონაცემებს, სტატისტიკას, მეცნიერებას, აქსიომებს, ერთი სიტყვით, იმას, რაც უკვე დამტკიცებულია, რის მართებულობაც სადავო არ არის და რაც ჩვენს მოსაზრებას რეალურად არსებული ფაქტების მეშვეობით განამტკიცებს.

ხშირად იყენებენ ასევე ფსიქოლოგიურ-ემოციური ტიპის არგუმენტებს, ახსენებენ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს. ამ შემთხვევაში სპეკულაციის, პოპულიზმის, დემაგოგიის რისკი მეტია, ორატორს სიფრთხილე მართებს, რომ მისი მსჯელობა დემაგოგიაში არ გადაიზარდოს და მეტისმეტად პლაკატური არ გახდეს.

არგუმენტებად შეიძლება გამოვიყენოთ აფორიზმები, ცნობილი ადამიანების ბიოგრაფიები, გამონათქვამები, ანდაზები, ეპიზოდები/მონაკვეთები წაკითხული წიგნებიდან, ნანახი ფილმებიდან, პუბლიცისტური წერილებიდან და ა.შ.

ამ შემთხვევაში აუცილებელია წყაროს მითითება, ავტორიტეტის სახელისა და გვარის, მისი ნაშრომის მოხსენება (დაუშვებელია ამ ტიპის განცხადებები – ვიცნობ ერთ კაცს, ან – როგორც ერთმა ცნობილმა ადამიანმა თქვა, ან – ისე, როგორც იმ ფილმშია, სადაც).

საფრთხილოა ასევე სტატისტიკური მონაცემებისა და ციფრების მოშველიება. თუ არ გვინდა, რომ მსჯელობისას ცილი დაგვწამონ უვიცობასა ან უზუსტობაში, არ უნდა გამოვიყენოთ ზოგადი ფრაზები „50 %“, „ნახევარზე მეტი“, „ყველა“ ან „არავინ“

მნიშვნელოვანია, ზუსტად გვახსოვდეს სტატისტიკური მონაცემი ან კვლევის შედეგი. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლია დავიმოწმოთ ის.

არგუმენტებად ხშირად იშველიებენ ხოლმე ანალოგიებსაც – ამ ტიპის არგუმენტის ფორმულირებისას ასეთი ფრაზა გვხვდება „ ეს იგივეა რაც“ – და მთქმელი ცდილობს, მოძებნოს სამსჯელო საკითხის მსგავსი, ანალოგიური სიტუაცია (მოცემულობა), რათა უკვე გადაწყვეტილი/მსგავსი მოცემულობა მოიყვანოს ნიმუშად.

**იმისთვის, რომ არგუმენტი დამაჯერებელი და „წონიანი“ იყოს, მნიშვნელოვანია:**

მარტივად, ნათლად, მკაფიოდ, გასაგებად ჩამოვაყალიბოთ სათქმელი – არგუმენტს ყოველთვის პირდაპირი მიმართება აქვს დასმულ სამსჯელო საკითხთან და არ ცვლის მსჯელობის მიმართულებას;

მოვიშველიოთ ზუსტი ფაქტობრივი მონაცემები – ეფექტიანი არგუმენტი ყოველთვის ზუსტ ფაქტს, მონაცემს, მეცნიერულ ცოდნას ეყრდნობა;

ვიყოთ კორექტულები – დაუშვებელია პიროვნული დამოკიდებულების გამოხატვა, ოპონენტის (საწინააღმდეგო მოსაზრების, კონტრარგუმენტის) დამცირება;

არ გამოვიყენოთ არგუმენტებად დაშვება („დავუშვათ“, „გააჩნია“, „მგონია“ ტიპის მსჯელობა), ვარაუდი, უზუსტობები, მცდარი ანალოგიები, როდესაც ორ საგანს შორის განსხვავება უფრო მეტია, ვიდრე მსგავსება, განზოგადებები (ერთი კონკრეტული მაგალითის მასშტაბური განზოგადება).

# დემაგოგია

დღეს ინფორმაცია სტიქიური ნაკადივით იღვრება, ყველგანაა და ყოველთვის. ამ სტიქიასთან გამკლავება არც თუ ადვილი ამოცანაა. ბუნებრივი სტიქიის მსგავსად, მასაც დამანგრეველი ძალა აქვს, სწორედ ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაციის დამუშავების, კრიტიკული აზროვნების, მედიაწიგნიერების უნარებზე ყოველდღიური მუშაობა.

ერთ-ერთი „დესტრუქციული იარაღი" საინფორმაციო არსენალიდან დემაგოგიაა.

რა არის დემაგოგია? სად, როდის და როგორ შეიძლება გავხდეთ დემაგოგიის „მსხვერპლი"? რა შეიძლება შევუპირისპიროთ დემაგოგიას? როგორ ავირიდოთ დემაგოგიის „მავნე ზემოქმედება"?

სკოლაში ამ კითხვებზე პასუხების მოსაძიებლად და პრობლემაზე სამუშაოდ დროის გამონახვა ყოველდღიურადაა სასურველი.

## რა არის დემაგოგია?

დემაგოგია ბერძნული სიტყვაა. თავდაპირველად ნეგატიური მნიშვნელობა არ ჰქონდა, აღნიშნავდა ხალხის წინამძღოლობას, წარმართვას. ანტიკურ საბერძნეთში დემაგოგს უწოდებდნენ გამორჩეული ორატორული უნარების მქონე პოლიტიკოსს ან მოაზროვნეს, რომელსაც მარტივად შეეძლო ხალხზე სათანადო ზემოქმედება. თანამედროვე განმარტების თანახმად, დემაგოგია ცრუ დაპირებით, ფარისევლობით, ფაქტების განზრახ დამახინჯებით ზეგავლენის მოხდენას გულისხმობს.

შესაძლოა, ადამიანს მცდარი შეხედულებები ჰქონდეს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, ამ მცდარ შეხედულებებს ღიად გამოხატავდეს, ცდილობდეს სხვების დარწმუნებას ან გადარწმუნებას, მაგრამ თუ ის განზრახ, გაცნობიერებულად ამახინჯებს ფაქტებს, იშველიებს ცრუ არგუმენტებს, ცრუ დაპირებებით ცდილობს მსმენელებს თავს მოახვიოს საკუთარი მოსაზრებები, ის დემაგოგია.

სოციალურ ქსელებში, ონლაინ, ბეჭდურ თუ ტელემედიაში ხშირად ვაწყდებით ხოლმე დისკუსიას სხვადასხვა საკითხზე. დისკუსიებს, დებატებსა და დისპუტებს გაკვეთილებზეც ვაწყობთ. ზედაპირული დაკვირვებაც საკმარისია იმის სათქმელად, რომ კამათის კულტურა ჩვენს საზოგადოებაში დასახვეწია.

ბლოგში იმ რამდენიმე გავრცელებულ მეთოდზე მინდა ყურადღების შეჩერება, რასაც ყველაზე აქტიურად იყენებენ ხოლმე დემაგოგები.

## კითხვა კითხვის წილ

მარტივი ფსიქოლოგიური ხრიკი, რასაც დემაგოგები ხშირად მიმართავენ, დასმულ კითხვაზე კითხვისვე შეგებებაა. კითხვა ერთგვარი „შეტევითი აქტია". ვინც კითხვას სვამს, ის უტევს კიდეც. დემაგოგისთვის მნიშვნელოვანი ტაქტიკური პოზიციაა გავლენის მოპოვება, ამიტომ დასმულ კითხვაზე არგუმენტირებული პასუხის გაცემის ნაცვლად ის კითხვას „აიფარებს". ასეთ შემთხვევაში ოპონენტს არ უნდა მივცეთ იმის საშუალება, თავი დაიძვრინოს. გაიმეორეთ თქვენი შეკითხვა და მოითხოვეთ კონკრეტული პასუხი.

## რელატივიზმი

ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფა, ზოგადად, დემაგოგიის საფუძველია. ოპონირებისას „კუთხეში მიმწყვდეული" დემაგოგის ტაქტიკა სწორედ ამას ეფუძნება. ფრაზები „აბსოლუტური ჭეშმარიტება არ არსებობს", „ ყველა თავისებურად მართალია", „ყველაფერი ფარდობითია" – მარტივი გამოსავალია და გამოიყენება ოპონენტის დასაშოშმინებლად. ამ შემთხვევაში კამათის საგანთან დაბრუნება, თეზისის ნათლად, მკაფიოდ გამეორება და კონკრეტული არგუმენტების მოთხოვნაა გამოსავალი.

## „ინვერსიული პრეზუმფცია"

უდანაშაულობის პრეზუმფცია, როგორც ცნობილია, გულისხმობს, რომ ადამიანი უდანაშაულოდ მიიჩნევა მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად. ამასთან, არავინაა ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. საკუთარი პოზიციის გასამართლებელი არგუმენტების წარმოჩენის ნაცვლად დემაგოგი ხშირად მიმართავს პრეზუმფციის ამ ზოგად თეზას და ითხოვს ოპონენტისგან საწინააღმდეგოს დამტკიცებას. „დამიმტკიცეთ საწინააღმდეგო", „მოიყვანეთ საწინააღმდეგო არგუმენტები" . ამ შემთხვევაში საჭიროა სიტუაციის სიტყვიერი ანალიზი, დემაგოგისთვის „კარტების გაშლა" და მითითება, რომ ის „გაშიფრულია".

## ყურადღების კონცენტრირება შეცდომებსა და უზუსტობებზე

გამოცდილი დემაგოგი ყურადღებით უსმენს ოპონენტს, ინიშნავს ყველა უზუსტობას, შეცდომას (მათ შორის, გრამატიკულს, წარმოთქმის დროს დაშვებულს, უმცირესსაც კი), შემდეგ კი „მიჯრით მიაყრის“ ამ უზუსტობებს მსმენელს და ყურადღებას ამახვილებს მათზე, საბოლოოდ, ყველაფერი იქითკენ მიჰყავს, რომ ადამიანს, რომელიც ასეთ შეცდომას უშვებს, ჭკუა არ მოეკითხება, მისი მოსაზრებები და პოზიცია კი სწორი ვერ იქნება. ზოგიერთი კიდევ უფრო შორსაც მიდის და ოპონენტის ცხოვრებისეულ შეცდომებს, ბიოგრაფიულ მონაცემებს იყენებს კონკრეტულ საკითხზე მსჯელობისას. ამრიგად, ყურადღების კონცენტრირება ხდება არა სამსჯელო საკითხზე, არამედ არაარსებით დეტალებზე. უნდა ვიცოდეთ, რომ მონაცემები, რომელიც სამსჯელო საკითხს, თეზისს არ ეხება, არგუმენტებად არ გამოდგება და ეს წმინდა წყლის დემაგოგიაა.

## წყაროები და კვლევები

საერთაშორისო, მასშტაბური, უცხოური, მსოფლიო მკვლევრების და ბრიტანელი/კანადელი/ამერიკელი მეცნიერების კვლევებზე დაყრდნობა დემაგოგების „საყვარელი“ ხრიკია. აქვეა მოძველებული, სტერეოტიპული, სულაც, მოგონილი და არარეალური გამოკითხვების შედეგებიც. ზოგი უფრო შორსაც მიდის – გასაიდუმლოებული, „გრიფით საიდუმლო“, კონფიდენციალური წყაროები – ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში სახელდება, როდესაც შეუძლებელია ზუსტი ფაქტების დამოწმება. მოითხოვეთ ზუსტი წყაროები, ფაქტები, რიცხვები, სტატისტიკური მონაცემები.

## დილემა და ალტერნატივა, როგორც ულტიმატუმი

საკმაოდ გავრცელებულია ასევე უამრავი შესაძლო ვარიანტიდან მხოლოდ იმ ორის წარმოჩენა, რომელიც მთქმელს მიზნის მისაღწევად სჭირდება. ეს ცრუ ალტერნატივა, ცრუ დილემა საკმაოდ ნათელ (უფრო სწორად კი, ბნელ) სურათს ქმნის და ოპონენტს უხშობს სხვა ვარიანტებს, სამსჯელო საკითხი იმდენად და იმ სახით ვიწროვდება, როგორც დემაგოგს „აწყობს“. მაგალითად, პიროვნული თავისუფლების საკითხზე მსჯელობისას დემაგოგიურად ჟღერს ფრაზა „ რა უფრო მნიშვნელოვანია, თავისუფლება თუ უსაფრთხოება? სახელმწიფო ზრუნავს თავისი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე, ამიტომ პიროვნული თავისუფლების გამოხატვა უნდა იზღუდებოდეს. დემოკრატია კარგია, სტაბილურობა კი აუცილებელი“. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმაზე მითითება, რომ ეს ორი რამ ერთმანეთის ალტერნატივად არ უნდა განიხილებოდეს და მსჯელობის საგანი დილემის გადაჭრა არ არის.

ვინც გაფრთხილებულია, ის შეიარაღებულია. კრიტიკული აზროვნება კი ერთ-ერთი ის იარაღია, რაც თანამედროვე ადამიანისთვის შეუცვლელი მნიშვნელობისაა. დემაგოგის არსენალში არსებული ზემოთჩამოთვლილი სტრატეგიების დამუშავება საგაკვეთილო პროცესში საშუალებას მისცემს მოსწავლეს, ადვილად ამოიცნოს დემაგოგიური მსჯელობა და შეუპირისპიროს მას არგუმენტირებული მსჯელობა.

# ძველი ქართულის სწავლებისთვის

ძველი ქართულის სწავლების პრობლემა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა დისტანციური სწავლების დროს. როცა შემცირდა გაკვეთილების რაოდენობა, როცა სწავლების ცოცხალი პროცესი სანატრელი გახდა, მუდმივ შფოთვაში გადამეზარდა ფიქრი, როგორ უნდა მოვასწრო მეათე კლასში შეტანილი საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ურთულესი ტექსტები ისე, რომ ეკრანს მიღმა დარჩენილმა ბავშვებმა წაიკითხონ კიდეც, სათანადოდ გაიაზრონ, დაამუშაონ და ამ ტექსტების ძალა და ხიბლიც იგრძნონ. მით უმეტეს, რომ არც ტექსტებია ისეთი, არც მოსწავლეების ასაკი, რომ მხოლოდ კომპიუტერულ თამაშებად ქცეული აქტივობებით მიაღწიო მიზანს.

ჩემი გამოცდილებიდან ამოვკრიბე რამდენიმე აქტივობა თუ დავალება, რომლებიც დამეხმარა, ბავშვებისთვის მეტნაკლებად საინტერესო გამეხადა ძველი ქართულის სწავლების პროცესი.

**ცნობის ფურცელი აბოს თბილელის წამებასთან დაკავშირებით**

*შექმენი მოკლე „ცნობის ფურცელი“, რომელზეც ასახავ „აბოს წამებაში“ მომხდარ ამბავს ორივე მხრიდან: ქართველებისა და არაბების.*

- ***გაითვალისწინე ეპოქა;***
- ***შეარჩიე შესაბამისი ენობრივი სტილი;***
- ***ყურადღება მიაქციე ვიზუალს: თავად ფურცლის დიზაინი, შრიფტი, მოცულობა.***
- ***წარმოაჩინე ნაწარმოების შინაარსის ცოდნა.***

**რამდენიმე ნიმუში:**









## არაბი თვითმხილველი

წარმოიდგინე, რომ ხარ არაბი, რომელიც აბოს თანამედროვე თბილისში ცხოვრობს. წარმოაჩინე ნაწარმოებში ასახული მთავარი პრობლემა მისი თვალთახედვით. გაითვალისწინე მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.

**ნაშრომი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:**

- შეარჩიე კონკრეტული პერსონაჟი ტექსტიდან (მაგალითად: ერთ-ერთი არაბი, რომელმაც აბო დააბეზღა ან არაბი, რომელიც ტკბილი ენით ურჩევდა აბოს ისლამზე დაბრუნებას);
- აღწერე მისი და აბოს ურთიერთობა შენი წარმოსახვით;
- წარმოაჩინე ნაწარმოების მთავარი პრობლემა, ფაქტები, მოვლენები, სხვა პერსონაჟები შერჩეული პერსონაჟის ხედვის კუთხიდან.
- გამოიყენე თხრობითი ტექსტის აუცილებელი მახასიათებლების (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასკვნა) ცოდნა.

**წარდგენის შემდეგ ისაუბრე:**

- რა გავლენა იქონია მთხრობლის შეცვლამ ნაწარმოების თემისა და იდეის წარმოჩენაზე;
- კონკრეტულად რა მინიშნებებს დაეყრდენი?

**ნააზრევის მოსმენა – გაანალიზება, დაკავშირება ნაწარმოების მთავარ პრობლემასთან**

ნაწარმოების დამუშავების შემდეგ მოისმინეს მწერალ, მთარგმნელ, აღმოსავლეთმცოდნე **გიორგი ლობჟანიძის** მოკლე მონოლოგი, რომელმაც საშუალება მოგვცა, 21-ე საუკუნეში არსებულ პრობლემებზე დაფიქრებულიყვნენ და მრავალმხრივ გაეაზრებინათ უჩვეულო ფაქტი, რომ *„უცხოი უცხოთა შჯულითა მოვიდა და ქრისტესა, ღმერთსა ჩვენსა შეემეცნა“*. (იხ. ბმული https://drive.google.com/file/d/1tXtunGNYFvZgm-gTNczili-holCGUj_iJ/view). მოსმენასთან ერთად ბავშვებს უნდა ეპასუხათ ფორმსის ფორმატში შედგენილი კითხვებისთვის, რომლებიც მონოლოგის გააზრებაში დაეხმარებოდათ.

► იხილე ბმული.

**ფილმი და პარალელები ნაწარმოებთან**

ფილმები ჩემი სწავლების განუყოფელი ნაწილია, ვთვლი, რომ ტექსტებში დანახული პრობლემების კინოენაზე გააზრება ძალიან ეხმარებათ მათ ანალიზის უნარის განვითარებაში, ზოგადად, სწავლის მოტივაციაც უმაღლდებათ (რადგან მათთვის საყვარელი სფეროა კინო) და ხშირ შემთხვევაში, ლიტერატურის, ტექსტის ყოვლისშემძლეობასაც აღიარებენ. მეგობრებს ვთხოვე, დაესახელებინათ ფილმები, რომლებიც ადამიანის არჩევანს, პიროვნულ თავისუფლებას ეხმიანება. შემოთავაზებულთაგან ავირჩიე „მისტერ პიპი“. (https://www.adjaranet.com/movies/8056/Mr-Pip?lang=ENG&quality=S)

ცოტა მძიმე ფილმია, მაგრამ ძალიან კარგად ჩანს, რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისთვის საკუთარი არჩევანი, ცხოვრებისეული გზა, ამ გზაზე შემხვედრი ადამიანები, რამხელა ძალა აქვს რწმენასა და ლიტერატურას.

► იხილე ბმული.

## გრიგოლ ხანძთელის გალაქტიკა

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მთავარი პერსონაჟი თავად გრიგოლია, მაგრამ მასთან ერთად ნაწარმოებში ჩნდება სხვა ბევრი პერსონაჟიც. იმისთვის, რომ წარმოაჩინოთ და გაიაზროთ მათი მიმართება გრიგოლ ხანძთელთან, გთავაზობთ, შექმნათ თქვენი თვალით დანახული „გრიგოლ ხანძთელის გალაქტიკა“, მზის სისტემის მსგავსად, ელექტრონულ ფორმატში (ვორდში, სლაიდის სახით, ფოტოშოპში ან პეინთში).

**ა)** მზის ადგილას გრიგოლი, ხოლო გარშემო ის პერსონაჟები, რომლებიც თანდათან ჩნდებიან ტექსტში – მათი ორბიტებზე განლაგებით გამოხატეთ თითოეულის მიმართება მთავარ პერსონაჟთან;

**ბ)** გარდა განლაგებისა, პერსონაჟები ანუ პლანეტები უნდა დანომროთ და ცალკე, ნომრების მიხედვით, უნდა დაწეროთ თითოეულზე მოკლე, მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რა ადგილი უჭირავს ტექსტში ამა თუ იმ პერსონაჟს;

**გ)** შესაძლებელია, თითოეულ პლანეტა – პერსონაჟს ჰყავდეს თანამგზავრიც (თუ საჭიროდ ჩათვლით);

**დ)** გაითვალისწინეთ, ორბიტების დამატება დაგჭირდებათ ტექსტის თანდათან გაცნობასთან ერთად.

ბავშვებმა ეს დავალება შეასრულეს, როცა ჯერ კიდევ ტექსტის მხოლოდ ნაწილი გვქონდა წაკითხული, ხოლო დასრულების შემდეგ ხელახლა მიუბრუნდნენ და შეავსეს გალაქტიკა. თითოეული დავალება განვიხილეთ გაკვეთილზე. გთავაზობთ მოსწავლის მიერ შექმნილ ერთ-ერთ სრულყოფილ ნიმუშს:

**სიტუაციური ამოცანები**

სიტუაციურ ამოცანებს ხშირად ვიყენებ ხოლმე სწავლების პროცესში. ისინი მეხმარება, ინტერესი გამოვიწვიო ბავშვებში, აღიქვან ტექსტში ასახული პრობლემა ცხოვრებისეულად და შეხედონ კრიტიკული თვალით. თავიდან მე მივაწოდე რამდენიმე ნიმუში, მერე დავავალე, თავადაც შეექმნათ. ეს ამოცანები ემსახურებოდა იმ ბავშვების გააქტიურებასაც, რომლებსაც ტექსტი არ ჰქონდათ წაკითხული. ისინი ხალისით ერთვებოდნენ მსჯელობასა და გამოსავლის ძიებაში. მაგალითები:

- ზენონი

იყო ერთი ახალგაზრდა, შეძლებული და წარჩინებული ოჯახის შვილი. თავიდანვე რელიგიურად აღზრდილს ბერობა უნდოდა. მშობლები ადრე გარდაეცვალა. მას განზრახული ჰქონდა, რომ მთელი ქონება დისთვის დაეტოვებინა და თვითონ ბერად წასულიყო უცხო მხარეში. მაგრამ ეშმაკს არ ეძინა. მისი და შეაცდინა უკეთურმა კაცმა და შავშეთში გაიტაცა. რა უნდა ექნა ზენონს? თუკი იმ კაცს დაედევნებოდა, შეიძლება, მოეკლა კიდეც და სულს სამუდამოდ დაიმძიმებდა უდიდესი ცოდვით. რომ არ გაჰკიდებოდა, შერცხვენილი იქნებოდა.

თქვენი აზრით, რა გზას აირჩევს ზენონი და რატომ?

- ქრისტეფორე და თეოდორე

**ა)** ისინი გრიგოლ ხანძთელის განუყოფელი სულიერი ძმები იყვნენ. ერთად წამოვიდნენ ქართლიდან და ერთადვე ჩაუყარეს საფუძველი ხანძთის მონასტრის შენებას. დროთა განმავლობაში თითოეულ მათგანში უფრო და უფრო იზრდებოდა სურვილი, რომ თვითონ, გრიგოლისაგან დამოუკიდებლად ჩაეყარათ საფუძველი ახალი მონასტრებისთვის. მაგრამ თავიანთი სულიერი ძმისა და მოძღვრის, გრიგოლის ერიდებოდათ. აღარ იცოდნენ, რა ექნათ: არც „საღმრთო შური“ ასვენებდათ და ვერც გრიგოლს შეჰბედეს, ეს უცნაური სურვილი გაემხილათ.

როგორ ფიქრობთ, როგორ მოიქცევიან ისინი?

**ბ)** გრიგოლის თანამოძმეები, ქრისტეფორე და თეოდორე გაიპარნენ მონასტრიდან. მათ გრიგოლისაგან დამოუკიდებლად სურდათ მონასტრების აშენება და თავიანთი მიზნის მისაღწევად აფხაზეთში გაემგზავრნენ. გრიგოლი ამის გაგებისას „შეწუხნა ფრიად“, ანუ დასევდიანდა, ეწყინა. თქვენი აზრით, როგორ მოიქცევა გრიგოლი, „მოღალატეებზე“, რომლებმაც მეგობარსა და მოძღვარს დაუმალეს თავიანთი განზრახვა, გულს აიცრუებს თუ აპატიებს. თვითონაც ხომ გაიპარა სახლიდან მაშინ, როცა მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ? ჩათვლის საჭიროდ მათ მოძებნას თუ არა? თუ ასეა, თვითონ გაემგზავრება საძებრად თუ სხვას გააგზავნის? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

- საბა იშხნელი

ხელმწიფეს გრიგოლმა მოახსენა საბა იშხნელის კარგი საქმეების შესახებ – მან აღადგინა იშხნის მონასტერი და წინამძღვრობდა. მეფეს ძალიან გაუხარდა ასეთი ადამიანის არსებობა და მისი გაცნობა მოიწადინა. დაწერა წერილი და ღირსეული ადამიანის ხელით გაუგზავნა საბას, მაგრამ უცნაური ის იყო, რომ მან მეფესთან

სტუმრობაზე უარი განაცხადა. მოციქულებმა უთხრეს აშოტს: „არა ჰნებავს კაცსა მას ღმრთისასა მოსვლაი აქა“.

**ა)** თქვენი აზრით, რატომ უნდა განეცხადებინა საბას უარი მეფესთან მისვლაზე?

**ბ)** როგორ ფიქრობთ, როგორ მოიქცეოდა ხელმწიფე?

საბოლოოდ საბა მაინც მივიდა სამეფო კარზე.

როგორ ფიქრობთ, რა გარემოებებმა განაპირობა ეს.

**გრიგოლ ხანძთელი და ანიმაცია „ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა“**

ეს ანიმაციას აქტიურად იყენებენ სამოქალაქო განათლებისა და გეოგრაფიის სწავლებისას.

რადგან ისევ ონლაინგაკვეთილი უნდა ჩამეტარებინა და 9 საათზე ეკრანებთან ჯდომა და საგაკვეთილო გან-წყობის პოვნა განსაკუთრებით უჭირთ ბავშვებს, მინდოდა, რაიმე მულტიმედიური აქტივობა შემეთავაზები-ნა. უცებ ამომიტივტივდა თავში ეს ანიმაცია, მას გაკვეთილზე ერთად ვუყურეთ, ვისაუბრეთ, მერე სახლში სამუშაოდ მცირე აქტივობა მივეცი საკვანძო საკითხებზე დასაფიქრებლად და ამის შემდეგ შეასრულეს ასე-თი დავალება:

უყურე ანიმაციას „ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა“, https://www.youtube.com/watch?v=eU6j-4QwGVY დაუკავშირეთ ის იდეურად „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ და დაწერე ანალიტიკური ესე (ანალიზი).

ნაშრომი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:

- ჩამოაყალიბე, რა არის ანიმაციის მთავარი თემა და სათქმელი;
- გაავლე პარალელი და იმსჯელე, რა იდეური კავშირია ანიმაციასა და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ შორის;
- ისაუბრე, რა მსგავსებაა ანიმაციის მთავარ გმირსა და გრიგოლ ხანძთელს შორის. ნაწარმოებიდან მოიყ-ვანე ციტატები.
- გაითვალისწინე ესეს სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.

**სულხან-საბა 21-ე საუკუნეში**

წარმოიდგინე, რომ სულხან-საბა ორბელიანი 21-ე საუკუნეში აღმოჩნდა. ჩამოაყალიბე ანალიტიკური ესეს (იგივე ანალიზი) ფორმით, რას შეცვლიდა ის თავის წიგნში „სიბრძნე სიცრუისა“ ჩვენი საუკუნის ფასეუ-ლობების, ინტერესებისა და პრობლემების გათვალისწინებით, რას დატოვებდა უცვლელად.

**ნაშრომი რომ სრულყოფილი გამოგივიდეს:**

- დააკვირდი ამ თვალით როგორც სიუჟეტსა და პერსონაჟებს, ისე იგავ-არაკებსაც;
- თითოეულ სავარაუდო ცვლილებაზე/ უცვლელობაზე ისაუბრე 21-ე საუკუნის ჭრილში და დაასაბუთე მისი აუცილებლობა;
- გაითვალისწინე სულხან-საბას ინტერესები, დამოკიდებულებები და პიროვნული მახასიათებლებიც (ბიო-გრაფიიდან გამომდინარე);
- ნაშრომს უნდა ჰქონდეს სამნაწილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.

**„სიბრძნის დღიურები“ „სიბრძნე სიცრუისას“ მიხედვით**

- „სიბრძნე სიცრუისას“ შესწავლასთან ერთად უნდა გააკეთოთ მცირე ჩანაწერები შემდეგ საკითხებზე:
- რას გასწავლით ესა თუ ის ეპიზოდი, ესა თუ ის იგავ-არაკი?
- თქვენთვის მისაღებია თუ არა, მოგწონთ თუ არა ის, რასაც გასწავლით? რამდენად აქტუალურია ის თანა-მედროვე ცხოვრებაში?
- რაიმე ამბავი ხომ არ გახსენდებათ თქვენი ან სხვისი ცხოვრებიდან/ ლიტერატურიდან/ ფილმებიდან?

**გაითვალისწინეთ დღიურის მახასიათებლები:**

ა) თითოეული ჩანაწერის დათარიღება;

ბ) წერის უშუალო და გულწრფელი სტილი, თითქოს მხოლოდ საკუთარი თავისთვის წერთ.

მოსწავლეები პერიოდულად ავსებდნენ დღიურს და კვირის ბოლოს გაკვეთილს მხოლოდ დღიურების განხილვას ვუთმობდით.

# დავალებების პასუხები გრამატიკისთვის

## 1-ლი თავი

**დავალება 2.**

**წაიკითხე წინადადებები, გაასწორე შეცდომები და გადაწერე გასწორებული სიტყვები (გაითვალისწინე, რომ ზოგიერთ წინადადებაში შეცდომა არ არის).**

**ა.** **ყოველი თქვენგანი** მეიმედებით, თქვენთან ერთად მინდა ვიბრძოლო ჩვენი ქვეყნის დასაცავად!

**ბ.** იმედი გვქონდა, რომ ყოველი **მათგანი** სამაგალითო იქნებოდა შთამომავლობისათვის.

**გ.** კონფერენციაზე გამომსვლელებმა **თავიანთი** სამეცნიერო ნაშრომები წაიკითხეს.

**დ.** არ არის შეცდომა.

**ე.** არ არის შეცდომა.

**ვ.** სამყარო იცვლება და თითოეული **ჩვენგანი** ვალდებულია ცხოვრების დაჩქარებულ ტემპს ფეხი ავუწყოთ.

**ზ.** არ არის შეცდომა.

**თ.** ყოველი მათგანი მოთმინებით ელოდებოდა **თავის** რიგს.

**დავალება 3.**

**შეუსაბამე ზმნები მართებულად და ჩაწერე რვეულში.**

| | |
|---|---|
| პარტერში მოწვეული სტუმრები | **დასხდნენ** |
| ოთახში საგნები უწესრიგოდ | **ყრია** |
| ბავშვები სიცილით | **იხოცებოდნენ** |
| ხეს რამდენიმე ვაშლი | **ასხია** |
| ქარმა ფანჯრის მინები | **დაამსხვრია** |
| მან ძირს დაყრილი წიგნები | **აკრიფა** |
| არასასურველი სტუმრები სახლიდან | **გაყარა** |

**დავალება** 4.

**ყურადღებით წაიკითხე წინადადებები და გაასწორე შეცდომები.**

**ა.** ქუჩის კუთხეში ბევრი ხალხი ირეოდა: **ვიღაცები** მღეროდნენ, **ვიღაც-ვიღაცები** თბებოდნენ.

**ა.** სპექტაკლის მსვლელობისას მსახიობები კულისებში **გაცვივდნენ თავიანთი** ნიღბების მოსარგებად.

**ბ.** **კვირების** განმავლობაში ფანჯრის რაფაზე **ისხდნენ** ბიჭები და ელოდებოდნენ ცაზე **თავიანთი** ვარსკვლავების გამოჩენას.

**გ.** თითოეული **თქვენგანი** უნდა გრძნობდეს ამ პასუხისმგებლობას.

**დ.** ბებია ძალიან ემდურებოდა ხაზარულას, ნაყოფს აღარ **ისხამსო.**

**ე.** ის გოგო **ვიღაცების** ჭკუაზე არ დადიოდა, თავისი აზრი და შეხედულება ჰქონდა ყველა საკითხთან დაკავშირებით.

**ვ.** მოგზაურობიდან დაბრუნებულმა ოჯახის წევრები მანქანაში **ჩასხა** და სახლისკენ აიღო გეზი.

**ზ.** ბეჭდები, გულსაბნევები და კიდევ **რაღაცები** მაგიდის ქვეშ **ეყარა.**

# მე-2 თავი

**დავალება** 1.

**გაასწორე შეცდომები:**

**ა.** არაბებმა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას დაუწესეს მძიმე გადასახადები – ხარაჯა და ჯიზია. ხალხს აგრეთვე სამხედრო რაზმებისა და მრავალრიცხოვან მოხელეთა შენახვა **დაეკისრა.**

**ბ.** VIII-XIII საუკუნეების არაბულენოვან მწერლობაში ბევრი ავტორი **მოხსენიებული არის,** როგორც ათთი-ფლისი, რაც თბილისელს ნიშნავს. ესენი არიან: ღვთისმეტყველები, იურისტები, მწერლები, ექიმები და ა.შ.

**გ.** VIII საუკუნის ჰაგიოგრაფი იოანე საბანისძე გვაუწყებს, რომ  ჩვენი თანამემამულენი, სხვადასხვა მიზეზ-თა გამო, მუსლიმანები (სარკინოზი, ისმაიტელი, აგარიანი) **გახდნენ.** ცხადია, ბევრი **მათგანი** შემოქმედებითი ნიჭით იყო დაჯილდოებული, ბევრმა შეისწავლა არაბული ენა და საერთო ისლამური კულტურის სალაროში საკუთარი წვლილი **შეიტანა.**

**დ.** მომთაბარე არაბთა დიდი ნაწილი ახალი საძოვრების ძებნაში ბევრს **მოძრაობდა, გადაადგილდებოდა.** ბედუინები ზაფხულის თვეებს უდაბნოში არსებულ ოაზისებში, ჭებთან და წყაროებთან ახლოს **ატარებდნენ.**

**ე.** ქართველი ხალხის ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ, მიუხედავად არა-ერთი მცდელობებისა, არაბთა ლაშქარი დასავლეთ საქართველოს ვერ **იკავებდა.** მათ არც საქართველოს მთიან ზოლზე **მიუწვდებოდათ** ხელი.

**დავალება** 3.

**გაასწორე შეცდომები ზეპირად (გაითვალისწინე, რომ ერთ წინადადებაში შესაძლოა, ერთზე მეტი შეცდომა იყოს).**

**ა.** ქართველი მუსლიმების რიცხვს ის კახელებიც **შეემატნენ, რომლებიც** შაჰ-აბასმა ირანში გადაასახლა და მათი შთამომავალნი დღესაც იქ **ცხოვრობენ** (ფერეიდნელი ქართველები), ასევე – ინგილოები, რომლებიც ორ რაიონში მოსახლეობენ: ზაქათალასა და ბელაქანში (აზერბაიჯანი).

**ბ.** ასურელმა მამებმა, **რომლებმაც/რომელთაც** საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი **მონასტერი** ააშენეს, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში ქრისტიანობა გაავრცელეს.

**გ.** მრავალი აღმოსავლური თუ დასავლური ქართველური ტომი, **რომლებიც მონაწილეობდნენ** ქართველი ერის წარმოქმნაში, ისტორიულ წყაროებშია სხვადასხვა  სახლითაა მოხსენებული.

**დ.** ფეოდალური ხანის ნაქალაქარზე აღმოჩნდა უძველესი ადამიანების ნაშთები, **რომლებიც** მილიონ რვაასი ათასი წლით თარიღდება.

**ე.** ძნელია მოიძებნოს ხალხი, **რომლის** წარმოშობისა და შორეული წარსულის შესახებ შეთხზული არ იყოს ათასგვარი **ზღაპარი** და **ლეგენდა.** ზოგჯერ ამ ლეგენდებში ისტორიული სინამდვილეა არეკლილი, ზოგჯერ კი მოთხრობილი მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს.

**ვ.** ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი არაქართველი, **რომე-ლიც** საქართველოს **მოქალაქეა,** ვალდებულია, შეისწავლოს ქართული ენა.

**ზ.** ცალკე შეიძლება დასახელდეს წოვა-თუშები (ბაცბები), **რომლებსაც/რომელთაც** განსხვავებული ენა **აქვთ,** მაგრამ რელიგიით, კულტურით, ტრადიციებითა და გვარებით არ **განსხვავდება** ქართველებისაგან.

**თ.** XIX საუკუნეში ევროპელმა მეცნიერებმა მიაქციეს ყურადღება იოსებ ფლავიუსის ცნობას და ახლად აღმოჩენილი ასურული ლურსმული წარწერების მონაცემებს, **რომელთა/რომლების** მიხედვით თბაული და მეშეხი **წარმოჩინდნენ** რეალურ და კონკრეტულ ტომთა დიდ გაერთიანებებად და გამოთქვეს მეცნიერული ვარაუდი, რომ ეს ქართველური ტომები მათი გაერთიანებების განადგურების შემდეგ მცირე აზიიდან კავკა-სიაში წამოვიდნენ და იქ დამკვიდრდნენ.

**დავალება** 5.

არაბებმა ქართლი დაიმორჩილეს 654-655 წლებში ჰაბიბ იბნ მასლამის შემოსევის შედეგად. არაბთა და ქარ-თველთა ურთიერთობას განსაზღვრავდა „დაცვის სიგელი“, რომლითაც ქართლის მოსახლეობა არაბების სასარგებლოდ ხარკს **იხდიდა.** ამჯერად არაბთა ბატონობა ქართლში მხოლოდ ორ წელიწადს გაგრძელდა. ქართველებმა, **რომლებმაც/რომელთაც** ისარგებლეს სახალიფოში ტახტისათვის ატეხილი **შინაომით** არა-

ბებს ხარკის მიცემა შეუწყვიტეს. VII საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს არაბებმა აღადგინეს ბატონობა ქართლში. 685 წელს სახალიფოსა და ბიზანტიას შორის დაიდო ზავი, რომლის ძალითაც **კუნძულ** კვიპროსიდან, სომხეთიდან და იბერიიდან მიღებული ხარკი ამ ორ ქვეყანას თანასწორად უნდა გაეყო(თ). ქართველი ხალხი არცერთ **მათგანს** არ ემორჩილებოდა. 686 წელს ქართლში, **სომხეთსა** და ალბანეთში აჯანყებამ იფეთქა. ქართლის ერისმთავარმა ნერსემ სასტიკად დაამარცხა სომხეთში მყოფი არაბთა სარდალი ბარაბა. ამავე ხანებში არაბებს ამიერკავკასიაში ბატონობას **ეცილებოდნენ** ხაზარები. არაბებს მძიმე ბრძოლა მოუხდათ ამიერკავკასიაში შემოჭრილ ხაზარებთან. ქართველები ცდილობდნენ **თავიანთ** სასარგებლოდ **გამოეყენებინათ** ხაზარ-არაბთა მეტოქეობა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს.

## მე-3 თავი

**დავალება 2.**

მეორე, უფერული, სასახლე, ფიჭვნარი, საცურაო, ცოლქმრული.

**დავალება 3.**

**სა**-დაზვერვ-**ო**, **უ**-ჭკუ-**ო**, ბაღ-**ნარ**-ი, იმერ-**ელ**-ი, კახ-**ურ**-ი, სომხ-**ეთ**-ი, **სა**-აღრიცხვ-**ო**, კლდ-**ოვან**-ი, ქვიშ-**იან**-ი, **მე**-შვიდ-**ე**.

**დავალება 6.**

| ერთცნებიანი | მრავალცნებიანი |
|---|---|
| თავდადებული, მზეთუნახავი, ორმოცდაათი, გულნატკენი, თანაცხოვრება, თავგასული, თავაწეული,შვილთაშვილი, თავისუფლება. | ხელ-ფეხი, მიწერ-მოწერა, ღარიბ-ღატაკი, წითელკაბიანი, შავ-თეთრი, ლაგამ-აბჯარ-უნაგირი, ხმალ-კაპარჭი, ფარ-შიმშერი, ულვაშაშლილი. |

**დავალება 7.**

**ა.** ხელქმნის; **ბ.** მამაჩემი; **გ.** საწუთროგაუმწარავი; **დ.** ფერმიხდილი; **ე.** საწუთროგაცუდებული, სულდაღებული; **ვ.** თვალახმული; **ზ.** - **თ.** - **ი.** სულდგმულსა; **კ.** – .

**დავალება 8.**

**ა.** ციხე-გალავნიდან; **ბ.** ლაწალუწი; **გ.** ფუსფუსი, ხანდახან; **დ.** სოფელ-სოფელ, თანდათან; **ე.** დროდადრო; **ვ.** ექიმ-პედიატრების; **ზ.** ალალ-მართალი, მიწა-წყალს; **თ.** სამ-სამი; **ი.** მუზეუმ-ნაკრძალი; **კ.** გზადაგზა, მაინცდამაინც.

**დავალება 9.**

სკამქვეშ, ორცნებიანი, შუაგული, გარეუბანი, წყალწაღებული, შიდასარემონტო, თავლია, პირველკურსელი, უარყოფა, იარაღასხმული, გრძელცხვირიანი.

**დავალება 10.**

**ა.** მიწისქვეშა, სხვადასხვა; **ბ.** ცალ-ცალკე, რასაკვირველია; **გ.** არა მხოლოდ; **დ.** არცერთ; **ე.** არა უგვიანეს; **ვ.** მრავალსართულიან, ცათამბჯენებს; **ზ.** ინტერნეტბანკით; **თ.** სტუმართმასპინძლობა; **ი.** ვერც ერთმა, ვერც მეორე; **კ.** არაერთმა.

**დავალება 12.**

„ვეფხისტყაოსნის“ სიყვარული **ამქვეყნიურ-ადამიანურია,** მისი სიმბოლურად გადააზრების გარეშე. უფრო მეტიც, რუსთაველის კონცეფც**იით** ამქვეყნიური, ადამიანური სიყვარული **თავისთავად** უკვე ღვთაებრივი სიყვარულია. „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარულს არ ზღუდავს ამქვეყნიურ-იმქვეყნიურის ზღვარი, იგი მაღლა დგას **სიკვდილ-სიცოცხლის** მისტერიაზე. ტარიელი მიიჩნევს, რომ ნესტანი აღარაა ცოცხალი, მაგრამ მათი სიყვარული ისევ ცოცხალია. მას თავის წარმოსახვაში **იმ ქვეყნად** მიაქვს ეს სიყვარული და სიყვარულის იმქვეყნიურ ზეიმში დარწმუნებულია.

ადამიანური სიყვარულის ამგვარი გადააზრების პროცესი **ჩანს** გვიანდელი შუასაუკუნეების ევროპულ ლიტერატურაშიც. როგორც მიუთითებენ**,** დანტესთან აშკარაა, რომ **რეალური** ქალის ადამიანური სიყვარული პირველი საფეხურია და ამდენად ნაწილია ღვთაებრივი სიყვარულისა. სიყვარულის გადააზრების ეს პროცესი რენესანსის **უშუალოდ** წინარე ევროპულ ლიტერატურაში გრძელდება და პეტრარკასთან უკვე ადამიანური სიყვარული ღვთაებრივი სიყვარულია.

რუსთაველისეული სიყვარული ძალიან **ფართო** გრძნობაა, **რომელიც** გარკვეული კუთხით მოიცავს საკუთრივ მიჯნურობასაც და მეგობრობასაც. „ვეფხისტყაოსანში“ ჩაქსოვილია მეგობრობის ახლებური, ორიგინალური, ავტორისეული კონცეფცია, რომლის ჩამოყალიბებაში ოთხი ძირითადი **ფაქტორი** დომინირებს. ესენია: ხალხური ძმადნაფიცობის ტრადიციით გამოხატული ქართული ეროვნული ძირი, ქრისტიანული ეთიკის ქართული ტრადიციით მოტანილი მოყვასის სიყვარულის იდეა, რუსთაველის დროინდელი ფეოდალური და სამხედრო არისტოკრატიის რაინდული ეთიკა, ანტიკური **ფილოსოფიიდან** რენესანსის ეპოქაში ნამემკვიდრევი არისტოტელეს მოძღვრება მეგობრობაზე.